ინფრასტრუქტურა

B1+

სახელმძღვანელო

2017

ქვანიას სკოლა

ინფრასტრუქტურა

სახელმძღვანელო

B1+

თბილისი
2017

„ინფრასტრუქტურა“ B1+
სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:
ნანა შავთვალაძე

დარგობრივი ექსპერტი:
ვატო ბაბუციძე

ავტორები:
ნანა შავთვალაძე
გიული შაბაშვილი
გვანცა გოგოლაძე

რედაქტორები:
ნანა ფრუიძე
ნანა ჯირაშვილი

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახემწიფო ადმინისტრირების სკოლა

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „პოლიგრაფში“

ყაზბეგის 24გ. ტელ.: 231 24 72
E-mail: poly@gol.ge www.poly.ge

ISBN 978-9941-27-615-6

სარჩევი:

I თავი გზების მშენებლობა, გაყვანა, შეკეთება

1.1. გზების გაყვანა 5
1.2. ახალი გზები 9
1.3. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: გზების მოწესრიგება 11

II თავი სკოლის ინფრასტრუქტურა

2.1. სკოლის შენობა..... 18
2. 2. ავარიული საჯარო სკოლა 23
2. 3. სკოლის სპორტული დარბაზი და სამედიცინო კაბინეტი..... 27

III თავი საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურა

3.1. საბავშვო ბაღები 32
3.2. საზაფხულო საბავშვო ბაღი 37
3.3. მწვანე საბავშვო ბაღი 41
შემაჯამებელი თავი I 45
ტესტი I 52

IV თავი გარემო და ჯანმრთელობა

4.1. ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი 60
4.2. საავადმყოფოს ინფრასტრუქტურა..... 65
4.3. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი..... 70

V თავი წყლის რესურსები

5.1. სასმელი წყალი თბილისში 74
5.2. საქართველოს წყალსაცავები და ჰესები..... 79
5.3. საირიგაციო სისტემა 84

VI თავი გამწვანებული ქალაქი

6.1. საშემოდგომო გამწვანება 88
6.2. სკვერის მოწყობა 92
6.3. ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია 96
შემაჯამებელი თავი II 102
ტესტი II 110
მოსასმენი დიალოგები 118
დანართი 123

I თავი გზების მშენებლობა, გაყვანა, შეკეთება

1.1. **გზების გაყვანა**

1.2. **ახალი გზები**

1.3. **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: გზების მოწესრიგება**

გრამატიკა

მომავალი დრო

პირობითი წინადადება: კავშირი - **თუ**

წარსული დროის მიმღეობა: სუფიქსი - **ულ**

1.1. გზების გაყვანა

- **სად ცხოვრობთ? როგორია თქვენი სახლის გზა?**
- **მოგწონთ თბილისის გზები?**
- **რა არის საჭირო, რომ საქართველოში უკეთესი გზები იყოს?**

1.1. **წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:**

ნინოწმინდა პატარა ქალაქია საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ **კუთხეში**, ჯავახეთში. ნინოწმინდაში გრძელი ზამთარი იცის. ზამთარში აქ ძალიან ცივა, ხანდახან მინუს 20 **გრადუსია**, ზაფხული კი მოკლე და გრილია, აგვისტოში ჰაერის ტემპერატურა 10 გრადუსია. ქალაქში დაახლოებით ექვსი ათასი ადამიანი ცხოვრობს, აქ ოთხი საჯარო სკოლაა. ბევრი მოსწავლე ჰყავს ნინოწმინდის სპორტულ სკოლასაც, რომელიც ძალიან მოსწონთ ბავშვებსაც და სპორტსმენებსაც.

ახალციხიდან ნინოწმინდამდე ოთხმოცდათერთმეტი კილომეტრია, თბილისიდან ნინოწმინდამდე - 161 კილომეტრი. ადრე გზები ძალიან იყო **გაფუჭებული** და **დანგრეული**, ამიტომ ნინოწმინდაში ჩასვლა არ იყო ადვილი, განსაკუთრებით კი ზამთარში იქმნებოდა გზებზე პრობლემები. დღეს ნინოწმინდელებს ეს პრობლემა აღარ აქვთ. თბილისიდან ნინოწმინდამდე გზები უკვე **შეკეთებულია**. ქალაქში არის **საგზაო ნიშნები**, **აბრები**. **გზაჯვარედინზე დგას შუქნიშანი**. ნინოწმინდელებს უყვართ ქალაქში ფეხით სიარული, ამიტომ გზებზე **გაკეთებულია** ბევრი **გადასასვლელი**. ავტობუსის **გაჩერებებზე** მგზავრებისთვის **გაკეთებულია** კომფორტული **მოსაცდელები**, სადაც ხის სკამებიც დგას. ვინც სამსახურში მანქანით მიდის, ავტომობილს ხშირად ქალაქის **ცენტრალურ** მოედანზე აჩერებს.

ახალი სიტყვები:	
რა? საგზაო ნიშანი აბრა გზაჯვარედინი შუქნიშანი გადასასვლელი კუთხე გრადუსი გაჩერება მოსაცდელი	**როგორი?** ცენტრალური შეკეთებული გაკეთებული გაფუჭებული დანგრეული
ზმნა აჩერებს	

დაიმახსოვრეთ!

გუშინ	დღეს	ხვალ
გააჩერა	აჩერებს	**გა**აჩერებს

1.2. მეწყვილესთან ერთად ხმამაღლა წაიკითხეთ დიალოგი და ისაუბრეთ:

დიალოგი ქუჩაში:

— გამარჯობა, თქვენ აქ ცხოვრობთ?
— კი, მე მარნეულიდან ვარ.
— ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მივდივარ, მაგრამ გზა არ ვიცი.
— არ არის პრობლემა, ცენტრალური მოედანი ახლოსაა. ავტობუსით მიხვალთ. აქვე გაჩერებაც არის და მოსაცდელიც. გზაჯვარედინს ხედავთ?
— სად?
— აი, პირდაპირ. იქვეა ავტობუსის გაჩერებაც.
— იქიდან საით წავიდე?
— გზაჯვარედინზე არის შუქნიშანი და გადასასვლელი. გადასასვლელიდან მარჯვნივ არის ქალაქის ცენტრალური მოედანი და მარცხნივ - ქალაქის მერია. ქალაქის ცენტრალურ მოედანთან თქვენ ძალიან ახლოს ხართ, იქ ბევრი მანქანა დგას, როცა სამსახურში მივდივართ, მანქანებს იქ ვაჩერებთ.
— რამდენ წუთში ვიქნები გადასასვლელთან?
— ხუთ წუთში.
— დიდი მადლობა.
— ნახვამდის!

1.3. შეადგინეთ ტექსტი მოცემული სიტყვებით:

ცენტრალური, გაკეთებული, შეკეთებული, საგზაო ნიშანი, აბრა, გზაჯვარედინი, შუქნიშანი, გადასასვლელი, კუთხე, გრადუსი.

1.4. შეადგინეთ 1.2. ტექსტის მსგავსი დიალოგი თემაზე „ავტობუსის გაჩერება“. ისაუბრეთ წყვილებში:

1.5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები წინადადებაში სწორი ფორმით:

შუქნიშანი	გზაჯვარედინი	გაჩერება	მოსაცდელი	ცენტრალური	აბრა

1. მე კარგად ვიცი _____ ნიშნები.
2. ქალაქის _____ მოედანზე სამუშაო საათებში ბევრი მანქანა დგას.
3. ამ _____ წერია, რომ ქალაქის ცენტრი მარჯვნივაა.
4. ნინოწმინდაში ავტობუსის ბევრი კომფორტული _____.
5. ამ _____ ხანდახან არ მუშაობს.
6. ქალაქის მერია ამ _____ შემდეგაა.

1.6. წყვილებში ისაუბრეთ ქვემოთ მოყვანილი თემების შესახებ, გამოიყენეთ ზმნები: აჩერებს, დგას. შეავსეთ ჩამონათვალი საჭირო სიტყვებით:

1. გზის ინფრასტრუქტურა

შუქნიშანი _____

2. ტრანსპორტი

მანქანა _____

3. გზის მდგომარეობა

გაფუჭებული _____

1.7. მოკლედ აღწერეთ გზების მდგომარეობა თქვენს ქალაქში/ სოფელში:

1. 2. ახალი გზები

2.1. წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

საქართველოში დღეს ერთ-ერთი **სერიოზული** პრობლემა გზების **დაგება** და **შეკეთებაა**. 2016 წელს თბილისში რამდენიმე ახალი გზა **დააგეს**. ახლა თბილისის მერიაში სამება-მახათას მონაკვეთზე გზის დაგების პროექტზე მუშაობენ. ეს გზა ორკილომეტრიანი იქნება და მის მშენებლობას 2017 წლის მარტში **დაასრულებენ**. თბილისში უკვე ბევრი ავტომანქანაა, ქუჩებში **მოძრაობა** ძალიან რთულია, ამიტომ ახალი გზის დაგება **ხელს შეუწყობს** დედაქალაქის **მაცხოვრებლებისა** და **ჩამოსული** სტუმრების კომფორტულ **გადაადგილებას**. ქალაქის მერი ამბობს, რომ თბილისში **მალე** კიდევ ერთ ახალ გზას დააგებენ. ეს იქნება **შემოვლითი ტრანზიტული** გზა **სატვირთო** ავტომობილებისთვის.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასევე **დაგეგმილია საბაგირო** ტრანსპორტის განვითარება. საბაგირო გზის მშენებლობა აუცილებელი გახდა რამდენიმე მიზეზის გამო: თბილისის რთული **რელიეფი**, ტურიზმის განვითარება, მოქალაქეებისა და სტუმრების დიდი **ნაკადი** და სხვა.

ახალი სიტყვები:	
რა? ნაკადი დაგება შეკეთება რელიეფი მშენებლობა მოძრაობა გადაადგილება **ვინ?** მაცხოვრებელი	**როგორი?** სერიოზული ჩამოსული შემოვლითი ტრანზიტული სატვირთო საბაგირო დაგეგმილი **როდის?** მალე
ზმნები ასრულებს აგებს აკეთებს ხელს უწყობს	

დაიმახსოვრეთ!

აგებს მუშა გზას
დააგო მუშამ გზა
დააგებს მუშა გზას

გუშინ	**დღეს**	**ხვალ**
დააგო	**აგებს**	**და**აგებს
დაასრულა	**ასრულებს**	**და**ასრულებს
შეაკეთა	**აკეთებს**	**შე**აკეთებს
შეუწყო	**უწყობს**	**შე**უწყობს

2.2. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა)

1. რა არის დღეს თბილისში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა?
2. რას აკეთებენ დედაქალაქის ქუჩებში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად?
3. რატომ არის თბილისში მანქანით მოძრაობა რთული?
4. რითაა მნიშვნელოვანი სამება-მახათას ახალი გზა დედაქალაქისა და აქ ჩამოსული სტუმრებისთვის?

ბ)

1. რამდენ ახალ გზას დააგებენ თბილისში და სად?
2. რამდენკილომეტრიანი იქნება სამება-მახათას გზა?
3. როდის დაასრულებენ სამება-მახათას გზის მშენებლობას?
4. რისთვის აკეთებენ შემოვლით გზას?

2.3. ა) დააკავშირეთ სიტყვები:

შემოვლითი	დაგება
ფეხით	გადასასვლელი
მიწისქვეშა	პრობლემა
ჩამოსული	მოძრაობა
გზის	**გზა**
სერიოზული	სტუმარი
რთული	სიარული

ბ) დააკავშირეთ ფორმები და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: ახალი გზა ხელს შეუწყობს კომფორტულ გადაადგილებას.

ხელს	აგებენ
გზებს	დაასრულებენ
პროექტს	**შეუწყობს**
გზებს	შეაკეთებენ

2.4. შეავსეთ ტექსტი; წაიკითხეთ შესიტყვებები და შეადგინეთ წინადადებები:

თბილისში რამდენიმე ახალი გზა _____. ახლა თბილისის მერიაში სამება-მახათას გზის _____ პროექტზე მუშაობენ. ეს _____ ორკილომეტრიანი იქნება და მის მშენებლობას ამ წლის მარტში _____. თბილისში უკვე ბევრი ავტომანქანაა, ამიტომ ქუჩებში მოძრაობა ძალიან რთულია. კარგი ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. ჩამოსული სტუმრების ნაკადი დიდი იქნება, როცა ახალ გზებს დააგებენ. ქალაქის მერი ამბობს, რომ თბილისში კიდევ დააგებენ ახალ გზას. ეს იქნება _____ ტრანზიტული გზა _____ ავტომობილებისთვის.

1. ჩამოსული სტუმრები - მოსული სტუმრები
2. ხელს უწყობს - ეხმარება
3. დიდი ნაკადი - ბევრი სტუმარი
4. დაგებული გზა - ახალი გზა.

2.5. გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში:

1. ახალი შემოვლითი გზის გაყვანა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას რეგიონში.
2. საქართველოში ბევრ ახალ გზას აგებენ.
3. თბილისში აშენებენ ახალ საბაგირო გზას.
4. გზების მშენებლობის პროექტს ასრულებენ წლის ბოლოს.
5. გაფუჭებულ შუქნიშანს სწრაფად აკეთებენ.

2.6.

ა) მოისმინეთ ინტერვიუ საბა პეტრიაშვილთან და დაუსვით ერთმანეთს კითხვები:

ბ) ჩამოართვით ინტერვიუ თქვენს კოლეგას თქვენი სკოლის გზის ინფრასტრუქტურის შესახებ:

2.7. წაიკითხეთ ტექსტი და გახაზეთ ზმნები. იმსჯელეთ, რომელ დროს გამოხატავს თითოეული მათგანი:

გუშინ მთელი დღე ჩვენი ფანჯრების წინ მუშები ასფალტს აგებდნენ და დანგრეულ გზას აკეთებდნენ. ჩემი მეგობარი ამბობს, რომ ხვალ ისინი დაასრულებენ მუშაობას. ასფალტს ბოლომდე დააგებენ და გზასაც შეაკეთებენ.

2.8. ისაუბრეთ თქვენი ქალაქის/სოფლის ქუჩების ინფრასტრუქტურის შესახებ:

1.3. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა:გზების მოწესრიგება

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას მოვლა სჭირდება. ამ მიზნით მომავალი წლისთვის ინფრასტრუქტურის სამინისტრო საინტერესო პროექტს **გეგმავს**. მასზე ბიუჯეტიდან 25 მილიონ ლარს **დახარჯავენ**. ეს რიცხვი წელს 10 პროცენტით არის **გაზრდილი**.

როგორც ამ წლის ბიუჯეტის პროექტშია მოცემული, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში ბევრი საკითხი შედის. ამ წელს **მოაწესრიგებენ** შუქნიშნებს, საგზაო ნიშნებს, გზაჯვარედინებს, წყლის სისტემას.

მოაწესრიგებენ, ასევე, **მიწისქვეშა** და **მიწისზედა** გადასასვლელებს. მიწისზედა გადასასვლელებს კვლავ თეთრად **დახაზავენ**. ასე რომ, **დაცული** იქნება ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეების უფლებები, რადგან ისინი შეძლებენ **უსაფრთხო გადაადგილებას. ტროტუარებზე** მოაწყობენ პანდუსებს, რომ **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე** პირებმაც შეძლონ ქალაქის ქუჩებში გადაადგილება.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ინფრასტრუქტურის სამინისტრო ააშენებს ახალ ავტოსადგომებს და **დააგებს შემოვლით** გზებს. ეს კი, როგორც ვიცით, ქალაქში მოძრაობის გაადვილების საუკეთესო საშუალებაა.

ვფიქრობთ, თუ სამინისტრო ამას გააკეთებს, თბილისში ტრანსპორტითა და ფეხით სწრაფად გადაადგილება უკვე ადვილი იქნება. საგრძნობლად **შემცირებული** იქნება ხმაური, **გამონაბოლქვი**, მგზავრობასთან დაკავშირებული დრო და ხარჯები.

დედაქალაქში გზების სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს რამდენიმე ცენტრალურ ქუჩაზე. შეაკეთებენ გზის დაზიანებულ და გაფუჭებულ ნაწილებს, დააგებენ **ასფალტს**. რამდენიმე ადგილას, საგზაო **მონაკვეთში** დადგამენ ახალ შუქნიშანს. მალე ვაჟა-ფშაველას გამზირზე შეაკეთებენ მიწისქვეშა გადასასვლელებსაც. ასე რომ, მალე თბილისში მანქანით მოძრაობა და ფეხით სიარული იქნება ძალიან კომფორტული.

სამინისტრო ამ პროექტის განხორციელებას სექტემბერში **დაიწყებს**, სამუშაოებს მომავალი წლის ნოემბერში **დაასრულებს**.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და შეურჩიეთ სათაური:

- ფეხით მოსიარულეთა უფლებები
- კომპანიების მუშაობა
- საგზაო პროექტი
- პროექტის ბიუჯეტი
- ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამომავლო გეგმები

ახალი სიტყვები:	
რა? გამონაბოლქვი მონაკვეთი ასფალტი ტროტუარი	**როგორი?** გაზრდილი შემოვლითი დაცული შემცირებული გადატვირთული შეზღუდული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მიწისზედა მიწისქვეშა უსაფრთხო ღერძულა წყვეტილი განაპირა
ზმნები: აწესრიგებს გამოდის გეგმავს იწყებს ასრულებს ხარჯავს ხაზავს	

დაიმახსოვრეთ!

აწესრიგებენ მუშები გზებს
მოაწესრიგეს მუშებმა გზები
მოაწესრიგებენ მუშები გზებს

დააკვირდით!

-ულ - შემცირებ**ულ**ი

თუ - // თუ - მაშინ + მომავალი დრო

თუ კარგად **გავაკეთებთ** საქმეს, ხვალ თბილისში **წავალთ**.

თუ კარგად **გავაკეთებთ** საქმეს, **მაშინ** ხვალ თბილისში **წავალთ**.

3.2. ა) ტექსტიდან (3.1. სავარჯიშო) ამოწერილ სიტყვებს მიუწერეთ ანტონიმები:

ნიმუში: გაზრდილი პროცენტი - დაკლებული პროცენტი

ა. მიწისქვეშა გადასასვლელი -

ბ. დაზიანებული ნაწილი -

გ. გაფუჭებული ავტომანქანა -

დ. საშიში გარემო -

ბ) ტექსტში (3.1. სავარჯიშო) მოცემული ფაქტები დაალაგეთ მნიშვნელობის მიხედვით:

- გზების შეკეთება
- ავტოსადგომების მშენებლობა
- ფეხით მოსიარულეთა უფლებების დაცვა
- შუქნიშნების მოწესრიგება

გ) წაიკითხეთ სიტყვები და მიუწერეთ სინონიმები:

გაზრდილი -

დაკლებული -

გადატვირთული -

3.3. დააკვირდით ფოტოებს, აღწერეთ ისინი. შეადგინეთ წინადადებები ახალი სიტყვების გამოყენებით:

ნიშნები გზებზე

ღერძულა ხაზი



წყვეტილი ხაზი



განაპირა ზოლი



3.4. გამოიყენეთ მოცემული ზმნები და შეადგინეთ წინადადებები. ჩასვით სამივე დროში ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ნინიკო ქორწილს გეგმავს;
დაგეგმა ნინიკომ ქორწილი;
დაგეგმავს ნინიკო ქორწილს.

1. გამოდის -
2. იწყებს -
3. ასრულებს -
4. ხარჯავს -
5. ხაზავს -

3.5. წაიკითხეთ აბზაცები ტექსტიდან და აღნიშნეთ, სწორია თუ არა ინფორმაცია:

მომავალი წლისთვის ინფრასტრუქტურის სამინისტრო საინტერესო პროექტს გეგმავს. მასზე ბიუჯეტიდან 30 მილიონ ლარს დახარჯავენ. წელს ეს რიცხვი ოცი პროცენტით არის გაზრდილი.
წელს მოწესრიგებენ მაღაზიებს, შენობებს, წყლის სისტემას.
ფეხით მოასიარულეების უფლებები იქნება დაცული, რადგან მოაწესრიგებენ პანდუსებს.
ქალაქში გადატვირთული მოძრაობის დროს ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა ის არის, რომ არ გვაქვს შემოვლითი გზები.
თბილისში მანქანით მოძრაობა და ფეხით სიარული უსაფრთხო და კომფორტული იქნება, რადგან მოაწესრიგებენ მიწისზედა და მიწისქვეშა გადასასვლელებს.
მალე თბილისში შესაძლებელი იქნება ხმაურის, გამონაბოლქვის, დროისა და ხარჯების შემცირება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

3.6 წაიკითხეთ წინადადებები და ჩასვით ზმნები შესაბამის ადგილას:

დააგებს შეაკეთებს **დავასრულებთ** დავხაზავთ გამოვალთ

თუ დღეს **დავასრულებთ** პროექტს, ხვალ უკვე დავიწყებთ გზის ამ მონაკვეთზე მუშაობას.

თუ სწორად _____ ღერძულა ხაზს, მოძრაობა გზის ამ მონაკვეთზე უფრო ადვილი იქნება.

თუ საგზაო დეპარტამენტი _____ ასფალტს ყაზბეგის ქუჩაზე, მძღოლებისთვის უფრო ადვილი იქნება ქალაქში გადაადგილება.

თუ დილით ადრე _____ მარნეულიდან, შუადღისას უკვე ქუთაისში ვიქნებით.

თუ მერია _____ დაზიანებულ მონაკვეთს, აქ მოძრაობა უფრო უსაფრთხო იქნება.

დაიმახსოვრეთ!

გუშინ	**დღეს**	**ხვალ**
დაგეგმა	**გეგმავს**	**და**გეგმავს
დაიწყო	**იწყებს**	**და**იწყებს
დახაზა	**ხაზავს**	**და**ხაზავს
დახარჯა	**ხარჯავს**	**და**ხარჯავს
მოაწესრიგა	**აწესრიგებს**	**მო**აწესრიგებს
გამოვიდა	**გამოდის**	**გამო**ვა

3.7. გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში, ყურადღება მიაქციეთ სახელის ბრუნვის ფორმებს:

ნიმუში:

ქალაქში გადატვირთული მოძრაობის გამო მერია**მ მოაწესრიგა** შუქნიშნების საკითხი.

ქალაქში გადატვირთული მოძრაობის გამო მერია **მოაწესრიგებს** შუქნიშნების საკითხს.

1. გუშინ ჯვრის უღელტეხილზე მოძრაობა მთელი დღე შეზღუდული იყო.
2. აჭარაში ტრანსპორტის სამინისტრომ დაიწყო ახალი შემოვლითი გზის მშენებლობა.
3. ჩვენ ჩვენს აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებთან ერთად გუშინ უკვე დავიწყეთ ამ პროექტზე მუშაობა.
4. ქალაქის მერი ამბობს, რომ ახალი გზის მშენებლობის პროექტი უკვე დასრულდა.

3.8. ა) მოისმინეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა) ალექსანდრე ლაითაძე – მუშა

- დღეში 40 ლარი გვაქვს ხელფასი. ჩვენ ყოველ დღე გზის 50-მეტრიან _____ ვმუშაობთ. ჩვენ _____ გზას. სამუშაო ნაწილი _____ უნდა იყოს ყოველთვის, ამიტომ ერთი პრობლემა გვაქვს, თუ ცუდი ამინდია, კარგად ვერ _____, დრო კი ცოტა გვაქვს.

გიორგი გეგენავა – ინჟინერი

- მე გიორგი გეგენავა ვარ, პროფესიით - ინჟინერი, საგზაო ინჟინერი. გოდერძის კურორტის პროექტზე კიდევ ერთი წელი _____. ჩვენ გოდერძის უღელტეხილზე ახალ გზას _____, ეს კი რთული საქმეა, გოდერძის უღელტეხილი ძალიან რთული მონაკვეთია თავისი _____. აქ _____ უნდა იყოს უსაფრთხო და კომფორტული. ჩვენ უკვე _____ 10-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა.

დავით დოიჯაშვილი – მენეჯერი

- გამარჯობა, მე დავით დოიჯაშვილი ვარ. გოდერძის _____ მშენებლობაზე უკვე ნახევარი წელია ვმუშაობ. პროექტს _____ ერთ წელიწადში, ჩვენ _____ ხარისხიან გზას, რაც ხელს შეუწყობს _____ განვითარებას ამ რეგიონში. მე პროექტის მენეჯერი ვარ. აქ ყველა დილიდან დაღამებამდე გზის მშენებლობაზე ვმუშაობთ.

ჯემალ დარჩიაშვილი – მღებავი

- მე ჯემალი ვარ, ჩემი საქმე მარტივია, მაგრამ, მე _____, მნიშვნელოვანი. მე _____ გზებს, ეს მნიშვნელოვანი საქმეა, მე ვხაზავ გზის _____ ზოლს, _____ ხაზებს და _____ ხაზებს. მძღოლებმა იციან ამ ხაზების მნიშვნელობა, მაგალითად, ღერძულა ხაზის გადაკვეთა არ შეიძლება...

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ ინტერვიუები და აღნიშნეთ სამი მთავარი ინფორ-მაცია დავით დოიჯაშვილის, გიორგი გეგენავას, ალექსანდრე ლაითაძისა და ჯემალ დარჩიაშვილის შესახებ:

მენეჯერი დავით დოიჯაშვილი	ინჟინერი გიორგი გეგენავა	მუშა ალექსანდრე ლაითაძე	მღებავი ჯემალ დარჩიაშვილი

გ) როგორ ფიქრობთ, ფოტოებზე რომელია დავით დოიჯაშვილი, გიორგი გეგენავა, ჯემალ დარჩიაშვილი და ალექსანდრე ლაითაძე? აღწერეთ ისინი სურათების მიხედვით.



3.9. დაწყვილდით და გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში, ყურადღება მიაქციეთ სახელების ბრუნვის ფორმებს:

ალექსანდრე ლაითაძე – მუშა

- დღეში 40 ლარი გვაქვს ხელფასი. ჩვენ ყოველდღე გზის 50-მეტრიან მონაკვეთზე ვმუშაობთ. ჩვენ ვაგებთ გზას. სამუშაო ნაწილი სუფთა უნდა იყოს ყოველთვის, ამიტომ ერთი პრობლემა გვაქვს, თუ ცუდი ამინდია, კარგად ვერ ვმუშაობთ, დრო კი ცოტა გვაქვს.

გიორგი გეგენავა – ინჟინერი

- მე გიორგი გეგენავა ვარ, პროფესიით - ინჟინერი, საგზაო ინჟინერი. გოდერძის კურორტის პროექტზე კიდევ ერთი წელი ვიმუშავებთ. ჩვენ გოდერძის უღელტეხილზე ახალ გზას ვაგებთ, ეს კი რთული საქმეა, გოდერძის უღელტეხილი ძალიან რთული მონაკვეთია თავისი რელიეფით. აქ გადაადგილება უნდა იყოს უსაფრთხო და კომფორტული. ჩვენ უკვე დავასრულეთ 10-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა.

მენეჯერი – დავით დოიჯაშვილი

- გამარჯობა, მე დავით დოიჯაშვილი ვარ. გოდერძის უღელტეხილის მშენებლობაზე უკვე ნახევარი წელია ვმუშაობ. პროექტს დავასრულებთ ერთ წელიწადში, ჩვენ დავაგებთ ხარისხიან გზას, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ამ რეგიონში. მე პროექტის მენეჯერი ვარ. აქ ყველა დილიდან დაღამებამდე გზის მშენებლობაზე ვმუშაობთ.

მღებავი – ჯემალ დარჩიაშვილი

- მე ჯემალი ვარ, ჩემი საქმე მარტივია, მაგრამ, მე ვფიქრობ, მნიშვნელოვანი. მე ვხაზავ გზებს, ეს მნიშვნელოვანი საქმეა, მე ვხაზავ გზის განაპირა ზოლს, წყვეტილ ხაზებს და ღერძულა ხაზებს. მძღოლებმა იციან ამ ხაზების მნიშვნელობა, მაგალითად, ღერძულა ხაზის გადაკვეთა არ შეიძლება...

II თავი სკოლის ინფრასტრუქტურა

2.1. სკოლის შენობა

2.2. ავარიული საჯარო სკოლა

2.3. სკოლის სპორტული დარბაზი და სამედიცინო კაბინეტი

გრამატიკა

I თურმეობითი: **ჯერ არ გამიკეთებია**

კავშირი: **ანუ**

კონსტრუქცია: **მინდა შენობის შესყიდვა**

თანდებული: **მიმართ**

სხვათა სიტყვის ნაწილაკი: **-ო**

კონსტრუქცია: **უნდა გავაკეთო**

2.1. სკოლის შენობა

- **რამდენი სკოლაა თქვენს სოფელში/ქალაქში?**
- **რამდენი ბავშვი სწავლობს თქვენი სოფლის/ქალაქის სკოლაში?**
- **როდის გააკეთეს რემონტი თქვენს სკოლაში?**
- **როგორი სპორტული დარბაზი აქვს სკოლას?**

1.1. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

სოფელი ასფარა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ნინოწმინდის **მუნიციპალიტეტში**, ფარავნის ტბის პირას მდებარეობს. სოფელში ერთი სკოლის შენობა დგას, რომელშიც მხოლოდ 15 მოსწავლეა. საჯარო სკოლის შენობა პატარაა, მაგრამ კარგადაა **აღჭურვილი**. სკოლას აქვს **გარე** სპორტული მოედანი და **შიდა სპორტული დარბაზი**. სკოლაში საშუალო **ზომის** ნათელი და კომფორტული საკლასო ოთახებია. რამდენიმე საკლასო ოთახში დგას კომპიუტერიც, მაგრამ ზოგი კომპიუტერი **დაზიანებულია**. ხანდახან მოსწავლეები კომპიუტერთან მუშაობენ და ისე **ამზადებენ** გაკვეთილებს. სკოლაში არის ბიბლიოთეკაც, სადაც ბავშვები ხშირად შედიან და კითხულობენ მათთვის საინტერესო წიგნებს. ხანდახან მასწავლებლები გაკვეთილებს ბიბლიოთეკაშიც **ატარებენ**, რადგან მოსწავლეებს ეს ადგილი ძალიან უყვართ.

სკოლის გარშემო დიდი ეზოა. იქ ბევრი ხე და ლამაზი ყვავილია. სკოლის მოსწავლეებს ერთი პრობლემა აქვთ, ეზოში ბილიკები **დანგრეულია**, ამიტომ, მასწავლებლების აზრით, აქ თამაში არ შეიძლება. დანგრეული **ბილიკების** შეკეთება ჯერ არ **დაუწყიათ**. მათ მომავალ წელს შეაკეთებენ და ეზოსაც მოაწესრიგებენ.

- როგორია სკოლის შენობა და სკოლის გარემო?
- რატომ არ შეიძლება ეზოში თამაში?

ახალი სიტყვები:	
რა? მუნიციპალიტეტი დარბაზი ბილიკი ზომა	**როგორი?** აღჭურვილი დაზიანებული დანგრეული საკლასო შიდა გარე
ზმნები: იწყებს ასრულებს ატარებს ამზადებს	

დაიმახსოვრეთ!

აწესრიგებს **მერია** გზებს.
მოაწესრიგა **მერიამ** გზები.
მოუწესრიგებია **მერიას** გზები.

დააკვირდით!

ჯერ არ გაუკეთებია; ჯერ არ დაუწყიათ

მერიას ჯერ **არ მოუწესრიგებია** გზები.
მუშას **ჯერ არ გაუკეთებია** საქმე.
რუსთაველის გამზირზე **ჯერ არ დაუსრულებიათ** გზების შეკეთება.

დაიმახსოვრეთ!

გუშინ	**დღეს**	**ხვალ**	**ჯერ არ**
დაიწყო	**იწყებს**	**და**იწყებს	**და**უწყია
დაასრულა	**ასრულებს**	**და**ასრულებს	**და**უსრულებია
ჩაატარა	**ატარებს**	**ჩა**ატარებს	**ჩა**უტარებია
მოამზადა	**ამზადებს**	**მო**ამზადებს	**მო**უმზადებია

სკოლის **გარშემო** = **სკოლ**ის **ირგვლივ**

1.2. დააკავშირეთ სიტყვები:

ნიმუში: ქარელის რაიონის მუნიციპალიტეტი

ქარელის რაიონის	საკლასო ოთახი
შიდა სპორტული	**მუნიციპალიტეტი**
გარე სპორტული	მოედანი
კარგად აღჭურვილი	სპორტული დარბაზი
საშუალო ზომის	დარბაზი

1.3. ა) გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში:

ნიმუში:

ახალი სპორტული მოედნის მშენებლობას ქალაქის მერია მომავალ წელს **იწყებს**.

ახალი სპორტული მოედნის მშენებლობას ქალაქის მერია მომავალ წელს **დაიწყებს**.

1. მარნეულის რაიონში ახალ შემოვლით გზას აგებენ.
2. სკოლის მოსწავლეები კომპიუტერულ კლასში ამზადებენ გაკვეთილებს.
3. ხანდახან მასწავლებლები გაკვეთილებს ბიბლიოთეკაში ატარებენ.
4. სკოლის ახალი ბიბლიოთეკა შესანიშნავადაა აღჭურვილი.
5. სკოლის ეზოში ააშენეს ახალი დიდი ბიბლიოთეკა, სადაც მოსწავლეები კითხულობენ მათთვის საინტერესო წიგნებს.

ბ) შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

ახალი სპორტული მოედნის მშენებლობას ქალაქის მერია მომავალ წელს **იწყებს**.

ახალი სპორტული მოედნის მშენებლობა ქალაქის მერიას ჯერ არ **დაუწყია**.

1. ახალციხის რაიონში დანგრეულ გზებს მომავალ წელს მოაწესრიგებენ.
2. ქობულეთის ირგვლივ შემოვლით გზას აგებენ.
3. დედა მალე გააკეთებს საჭმელს.
4. სკოლის ახალი ბიბლიოთეკის აღჭურვას თვის ბოლომდე დაასრულებენ.
5. მომავალ კვირას მასწავლებლები გაკვეთილებს კარგად აღჭურვილ სკოლის შენობაში ჩაატარებენ.

1.4. შეაერთეთ წინადადებები მოცემული კავშირებით (რომელიც, სადაც, რადგან, იმიტომ რომ, რომლებიც) და შექმენით რთული წინადადებები:

ნიმუში:

სოფელში ახალ სკოლას აშენებენ. ახალ სკოლაში მხოლოდ ასი მოსწავლე ისწავლის.

სოფელში ახალ სკოლას ააშენებენ, **რომელშიც** ასი მოსწავლე ისწავლის.

1. სკოლაში არის ახალი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში მოსწავლეები მათთვის საინტერესო წიგნებს კითხულობენ.

2. ხანდახან მასწავლებლები გაკვეთილებს ბიბლიოთეკაშიც ატარებენ. ბიბლიოთეკა მოსწავლეებს ძალიან უყვართ.

3. ელიზბარ აჯიევი დაიბადა მარნეულში. მარნეულში ცხოვრობდნენ მისი ბებია და ბაბუა.

4. სოფლის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში მოსწავლეები ყოველდღე თამაშობენ ფეხბურთს. ზამთარში ფეხბურთის ჩემპიონატია.

5. ახალციხის ცენტრალურ მოედანზე დღეს ბევრი მოსწავლე მოვიდა. ამ მოსწავლეებს შეხვედრა აქვთ რაიონის გამგებელთან.

დაიმახსოვრეთ!

ჯერ არ

1. ინჟინერს პროექტი **ჯერ არ** გაუკეთებია.
2. მერიას გზის დაგება **ჯერ არ** დაუსრულებია.

1.5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანში სკოლის შენობა უკვე 22 წელია დაზიანებულია და მოსწავლეებს გაკვეთილები საკრებულოს ძველი შენობის არასტანდარტულ საკლასო ოთახებში უტარდებათ.

მრავალი წლის განმავლობაში მოსწავლეები მძიმე პირობებში სწავლობდნენ, ამ სიტუაციამ დღეს მოსწავლეთა რაოდენობა 200-დან 130-მდე შეამცირა, თუმცა ახალი სკოლის მშენებლობა არ დაუწყიათ.

დეკემბერში ვანის რაიონის გამგეობა სოფელ ზედა ვანში ახალი სკოლის მშენებლობას **დაიწყებს**. **სტანდარტების** მიხედვით, ეს იქნება **თანამედროვე ტექნიკით** აღჭურვილი, კარგად **მოწყობილი** ორსართულიანი შენობა, რომელშიც ისწავლის ორასზე მეტი მოსწავლე. სკოლაში მოსწავლეები მეზობელი სოფლებიდანაც ივლიან. საკლასო ოთახებში **დადგამენ** ახალ კომპიუტერებს, ასევე **დაამონტაჟებენ გათბობის** თანამედროვე **სისტემას**.

ფიქრობენ, რომ სკოლის შენობა მომავალი წლის დეკემბერში იქნება მზად.

- რატომ უტარდებათ მოსწავლეებს გაკვეთილები საკრებულოს ძველ შენობაში?
- სად, რატომ და როგორი სკოლის მშენებლობას დაიწყებენ?

ახალი სიტყვები:	
რა? პირობები გათბობა სისტემა შენობა საკრებულო გამგეობა	**როგორი?** თანამედროვე ყოფილი მოწყობილი არასტანდარტული ახლანდელი
ზმნები: ადგამს ამონტაჟებს	

დაიმახსოვრეთ!

გუშინ	**დღეს**	**ხვალ**	**ჯერ არ**
დადგა	**დგამს**	**და**დგამს	**და**უდგამს
დაამონტაჟა	**ამონტაჟებს**	**და**ამონტაჟებს	**და**უმონტაჟებია

1.6. ჩასვით შესაბამისი სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:

ბიბლიოთეკა	დარბაზი	ყოფილი	აღჭურვილი	მძიმე	ახალი

ნინოწმინდის რაიონის სოფელ ასფარის სკოლაში კარგად აღჭურვილი სპორტული _____, სადაც ბავშვები ყოველ შაბათს თამაშობენ ფეხბურთს.

ჩვენს სკოლაში თანამედროვე _____, სადაც დგას რამდენიმე კომპიუტერი. ამიტომ მოსწავლეები გაკვეთილებს ხშირად აქ ამზადებენ.

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანში სკოლის შენობა უკვე 22 წელია დაზიანებულია და მოსწავლეებს გაკვეთილები საკრებულოს _____ შენობაში კარგად მოწყობილ არასტანდარტულ საკლასო ოთახებში აქვთ.

ამ წლის დეკემბერში ვანის რაიონის გამგეობა სოფელ ზედა ვანში _____ სკოლის მშენებლობას დაიწყებს.

საჯარო სკოლის შენობა პატარაა, მაგრამ კარგადაა _____.

სპორტული დარბაზი დაზიანებულია და ბავშვებისთვის აქ _____ პირობებია.

1.7. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი, დაასათაურეთ და უპასუხეთ შეკითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, რა არის სოფელ ზედა ვანის მთავარი პრობლემა?
- როგორია ახლა სკოლის მდგომარეობა?
- როგორ სკოლას ააშენებენ სოფელ ზედა ვანში?
- რატომაა შემცირებული მოსწავლეების რაოდენობა სკოლაში?
- რას ამონტაჟებენ სკოლის შენობაში და რატომ?

1. 8. ჩასვით ზმნები გამოტოვებულ ადგილას:

დაუსრულებია	დაუწყიათ	ამზადებენ	გეგმავს
დაუმონტაჟებიათ	ახალი	ხელს	უწყობს

ჩვენი სკოლის სპორტული დარბაზის გარემონტება ჯერ არ _____.

ჩემი შვილები ყოველ შაბათ-კვირას _____ გაკვეთილებს.

სკოლის შენობა დაზიანებულია და ბავშვებისთვის აქ მძიმე პირობებია, მაგრამ მისი შეკეთება ჯერ არ _____.

საკრებულო დაზიანებული აფთიაქის შენობის შეკეთებას ამ წლის ბოლოსთვის _____.

ახალი სკოლის მშენებლობა უკვე დაწყებულია, მაგრამ გათბობის სისტემა ჯერ არ _____.

საინტერესო წიგნებით მდიდარი ბიბლიოთეკა _____ მოსწავლეებს ცოდნის მიღებაში.

2.2. ავარიული საჯარო სკოლა

2.1. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარას საჯარო სკოლას 300-მდე მოსწავლე ჰყავს. შენობა 2 344 კვადრატული მეტრია. ამ სკოლაში შვიდი მეზობელი სოფლის ბავშვები სწავლობენ. ეს სკოლა დიდი ხნის წინ ააშენეს და, როგორც სკოლის დირექტორი ლალი ოსეფაშვილი ამბობს, დღეს ის ძალიან დაზიანებულია. მისი აზრით, სკოლა უკვე რამდენიმე წელია **ავარიულ მდგომარეობაშია**, თუმცა შენობა აქამდე არ **შეუკეთებიათ**.

დაზიანებული **სადენების** გამო სკოლის შენობის თითქმის ნახევარს **დენი** არ აქვს. რემონტი სჭირდება სპორტულ დარბაზსაც.

სკოლას დიდი ეზო აქვს, მაგრამ ის არ არის ბოლომდე შემოღობილი, ამიტომ არც ეზოში და არც გარე სპორტულ მოედანზე ბავშვების თამაში არ არის უსაფრთხო.

სკოლაში არ არსებობს გათბობის სისტემა, ამიტომ მოსწავლეები ზამთრის ცივ დღეებში სკოლაში არ დადიან. ცუდ მდგომარეობაშია სკოლის ტუალეტებიც, რომლებიც ეზოშია აშენებული.

სკოლის დირექტორი ასევე ამბობს, რომ დაზიანებულია შენობის კედლები, ჩანს ბზარებიც. დაზიანებულია სკოლის შენობის **საძირკველიც**. ცუდ მდგომარეობაშია კარ-ფანჯრებიც. საჭიროა სკოლის შენობის რემონტი, სასწრაფოდ უნდა შეაკეთონ ყველაფერი - კედლებიც, საძირკველიც და **კარ-ფანჯარაც**. ასევე, მალე უნდა დააგონ ახალი იატაკიც.

დაგეგმილია სოფელ ჯანდარის საჯარო სკოლის შეკეთება. სკოლის შენობას ადგილობრივი ბიზნესმენის დახმარებით **გაარემონტებენ**.

სკოლის შენობის რემონტს სასწავლო წლის ბოლოს დაიწყებენ და დაახლოებით ექვს თვეში დაასრულებენ. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა.

- როგორია სკოლის ეზო და რატომ არ თამაშობენ იქ ბავშვები?
- რის გამო არის დაგეგმილი ჯანდარის სკოლის შეკეთება?

ახალი სიტყვები:	
რა? მდგომარეობა რემონტი ბზარი სადენი დენი კარ-ფანჯარა საძირკველი	**როგორი?** ავარიული შემოღობილი საყურადღებო
როდის? სასწრაფოდ	**ზმნები**: არემონტებს

დაიმახსოვრეთ!

აგებს მუშა გზას - უნდა დააგოს მუშამ გზა
არემონტებს მერია სკოლას - უნდა გაარემონტოს მერიამ სკოლა
ამზადებს ბავშვი გაკვეთილს - უნდა მოამზადოს ბავშვმა გაკვეთილი
ვატარებ მე გაკვეთილს - უნდა ჩავატარო მე გაკვეთილი
ატარებ შენ დროს - უნდა გაატარო შენ დრო

დაიმახსოვრეთ!

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
გაარემონტა	**არემონტებს**	**გ**აარემონტებს	**გ**აურემონტებია

აგებს - **უნდა დააგოს**; დგამს - **უნდა დადგას**

მუშებმა დღის ბოლომდე **უნდა დააგონ** გზის ეს მონაკვეთი.
მერიამ ამ გზაჯვარედინზე **უნდა დადგას** აბრები და საგზაო ნიშნები.

2.2. წაიკითხეთ სიტუაციური დიალოგები; გაითამაშეთ როლები და მიაქციეთ ყურადღება დიალოგში შემდეგი ფორმების გამოყენებას – უნდა + ზმნა:

დიალოგი 1:

— საღამოს რას აკეთებ?
— ხვალისთვის **უნდა მოვამზადო** გაკვეთილი, რადგან ტესტი **უნდა დავწეროთ**.
— კარგი, მეც ბევრი საქმე მაქვს და ახლა სახლში **უნდა წავიდე**.

დიალოგი 2:

— ბევრი საქმე გაქვს დღეს?
— კი, ძალიან ბევრი საქმე მაქვს, ჯერ **უნდა წავიდე** ბანკში, იქიდან სახლში მივდივარ, **უნდა დავასრულო** პროექტზე მუშაობა.
— მეც **უნდა წავიდე** ბანკში, ბევრი საქმე მაქვს.

2.3. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

— რომელია ჯანდარის საჯარო სკოლის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა?
— რატომ არ დადიან სკოლაში მოსწავლეები?
— რა უნდა შეაკეთონ სკოლაში და რატომ?
— რას ამბობს სკოლის დირექტორი, ქალბატონი ლალი ოსეფაშვილი სკოლის პრობლემების შესახებ?

2.4. დააკავშირეთ შესაბამისი სიტყვები:

ა) ნიმუში: გათბობის სისტემა

გათბობის	საძირკველი
ავარიული	ფართი
შენობის	**სისტემა**
სპორტული	მდგომარეობა
დაზიანებული	დარბაზი

ბ) წაიკითხეთ სიტყვები და მიუწერეთ სინონიმები:

გაკეთებული -

დაზიანებული -

გარემონტებული -

2.5. ა) მოუსმინეთ დიალოგს:

— ბატონო გიორგი, ყველამ ვიცით, რომ საქართველოს ბევრ სკოლაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. საჭიროა სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება, რა უნდა გავაკეთოთ დღეს ამ მიზნით?

— დიდი მადლობა ამ საინტერესო კითხვისთვის. დღეს ბევრ სკოლაში მართლაც მძიმე მდგომარეობაა, ზოგ სკოლაში არ არის გათბობის სისტემა, ზოგ სკოლაში არ აქვთ დენი, ზოგ სკოლაში კი დაზიანებულია კედლები. ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის უნდა გავარემონტოთ სკოლები, უნდა შევაკეთოთ დაზიანებული შენობები, კარგად უნდა დავგეგ-მოთ ყველაფერი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ამისთვის. მაგალითად, სოფელ ჯანდარის სკოლაში რემონტი ოცი წლის განმავლობაში ჯერ არავის გაუკეთებია, ჩვენ და ამერიკის ფონდი კი ამ წელს დავიწყებთ ამ სკოლის შენობის შეკეთებას.

— ბატონო გიორგი, გმადლობთ ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციისათვის და იმისთვის, რომ დღეს ჩვენთან იყავით.

— მადლობა თქვენ!

ბ) კიდევ ერთხელ მოუსმინეთ დიალოგს და უპასუხეთ შეკითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, სად მუშაობს ბატონი გიორგი? რატომ ფიქრობთ ასე?
- რა პრობლემებია საქართველოს სკოლებში? როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მთავარი მიზეზი?

2. 6. შეადგინეთ მსგავსი დიალოგი და იმუშავეთ წყვილებში:

დაიმახსოვრეთ!

სხვათა სიტყვის ნაწილაკი – ო

- ნინო, **წადი** სახლში!

- დედამ თქვა, ნინო სახლში **წავიდეს**ო!

დიალოგი 1:

— ნიკო, სად მიდიხარ?

— სახლში.

— რა გინდა სახლში, წამოდი ჩვენთან ერთად, ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ.

— არა, ვერ წამოვალ, დედამ თქვა, სახლში მალე მოდიო!

დიალოგი 2:

— ნატალია, რა თქვა დამრიგებელმა? მშობელთა კრება როდის არის?

— ხვალ, სამზეო.

— საგნის მასწავლებლები იქნებიან?

— კი, ყველა მასწავლებელი იქნებაო. დედა, მასწავლებელმა თქვა, ნატალია კარგი გოგოაო!

დიალოგი 3:

— შენობა დაზიანებულია?

— კი, კედლებიო.

— ვინ გაარემონტებს მერე ამ შენობას?

— მერიაო!

2.7. გადააკეთეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

დავით ჯორჯაძე ხვალ მიდის შეხვედრაზე. დავით ჯორჯაძე ხვალ **უნდა წავიდეს** შეხვედრაზე.

1. ბავშვები გაკვეთილებს კარგად მოწყობილ და თანამედროვედ აღჭურვილ კომპიუტერულ კლასში ამზადებენ.
2. ვანის მუნიციპალიტეტი სოფელ ქვემო ვანში საავადმყოფოს მომავალ წელს შეაკეთებს.
3. ქალაქის მერია სკოლის შიდა სპორტულ მოედანს წლის ბოლომდე გაარემონტებს.
4. მარნეულის ცენტრში აფთიაქის ავარიული შენობის შეკეთებას ორ კვირაში დაიწყებენ.

2.3. სკოლის სპორტული დარბაზი და სამედიცინო კაბინეტი

იღებს – მიღებული – მიღება
დგამს – დადგმული – დადგმა
იწყებს – დაწყებული – დაწყება
ასრულებს – დასრულებული – დასრულება
ამონტაჟებს – დამონტაჟებული – დამონტაჟება
ხარჯავს – დახარჯული – დახარჯვა
არემონტებს – გარემონტებული – გარემონტება
ატარებს – ჩატარებული – ჩატარება

ქალაქის მერიას **უნდა** პროექტის **დასრულება** წლის ბოლომდე.
ჩვენ **გვინდა** სოფელში დიდი სკოლის **აშენება**.

3.1. ა) სპორტსმენი გიორგი ღვედაშვილი, სკოლის ექიმი ირინა კილაძე და მასწავლებელი ნინო იმნაიშვილი საუბრობენ სკოლის პირობების შესახებ. წაიკითხეთ ტექსტები:

სკოლის სპორტული დარბაზი
გიორგი დევდარიანი, სპორტსმენი

ჩვენს სკოლაში ბავშვებს სპორტის მიმართ დიდი ინტერესი აქვთ. ჩვენ თანამედროვე სტანდარტებით კარგად აღჭურვილი სპორტული დარბაზი გვაქვს. აქ ხშირად ვატარებთ სპორტულ თამაშებს. დარბაზში **დამონტაჟებულია** დიდი ტელევიზორი. სკოლაში გარე სპორტული მოედანიც გვაქვს, სადაც ასფალტია დაგებული და როცა კარგი ამინდია, მოსწავლეები გარეთ გადიან და იქ ატარებენ დროს. წლის ბოლოს ჩვენს მოსწავლეებს უნდათ **მონაწილეობის** მიღება რაიონის ჩემპიონატში.

სკოლის სამედიცინო კაბინეტი
ირინა კილაძე, ექიმი

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ყველა სკოლაში მოქმედებს სამედიცინო კაბინეტი. ექიმი და ექთანი სკოლაში უნდა იყოს. **პირველადი სამედიცინო** დახმარების აღმოჩენა ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს. მოსწავლეს როცა მაღალი სიცხე აქვს, სამედიცინო კაბინეტში მიდის, რადგან იქ ყველა საჭირო წამალი აქვთ. ჩვენი კაბინეტი კარგად არის აღჭურვილი, აქ დამონტაჟებულია გათბობის სისტემაც.

სკოლის საკლასო ოთახი
ნინო იმნაიშვილი, მასწავლებელი

ჩვენს სკოლაში 13 მასწავლებელი მუშაობს. მათ ძალიან უყვართ ჩვენი სკოლა. ყველა მასწავლებელი **კეთილგანწყობილია** ბავშვების მიმართ. ჩვენმა მასწავლებლებმა იციან, რომ ბავშვებს **ცოდნის** მიმართ ინტერესი უნდა განუვითარონ და ყველაფერს აკეთებენ ამისთვის. საკლასო ოთახები დიდი და ნათელია. ყველა ბავშვისთვის არის კომპიუტერი და სამუშაო მაგიდა. ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებში ლაბორატორიები, რომლებიც კარგად არის აღჭურვილი საჭირო ნივთებით.

... + ნათ. ბრ. + **ის მიმართ** სპორტ**ის მიმართ**

ფრაზები:

იღებს მონაწილეობას
იღებს განათლებას
იღებს ცოდნას

პირველადი დახმარება
სამედიცინო დახმარება
დახმარების აღმოჩენა
პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა

ახალი სიტყვები:

რა?	**როგორი?**
მონაწილეობა	დამონტაჟებული
კაბინეტი	კეთილგანწყობილი
ცოდნა	პირველადი
	სამედიცინო

დაიმახსოვრეთ!

გუშინ	**დღეს**	**ხვალ**	**ჯერ არ**
მიიღო **მო**ნაწილეობა	**იღებს მონაწილეობას**	**მი**იღებს **მო**ნაწილეობას	**მი**უღია **მო**ნაწილეობა

მინდა + ... ნათ. ბრ. + ის სახელზმნა
მე **მინდა** გაკვეთილ**ის ჩატარება**. მას **უნდა** პროექტ**ის დასრულება**

დაიმახსოვრეთ!

ქალაქის მერია არემონტებს შენობას წლის ბოლომდე.
ქალაქის მერია გაარემონტებს შენობას წლის ბოლომდე.
ქალაქის მერიამ უნდა გაარემონტოს შენობა წლის ბოლომდე.
ქალაქის მერიას უნდა შენობის გარემონტება წლის ბოლომდე.

3.1. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტები და უპასუხეთ შეკითხვებს:

- რის მიმართ აქვთ სკოლის მოსწავლეებს დიდი ინტერესი?
- როგორ მდგომარეობაშია სკოლის სპორტული მოედანი?
- კარგ ამინდში სად ატარებენ დროს სკოლის მოსწავლეები?
- როგორი პირობებია სკოლის სამედიცინო კაბინეტში?
- რისი დამონტაჟება უნდათ სასკოლო ოთახებში ოქტომბრიდან?

3.2. დააკავშირეთ ერთმანეთთან სიტყვები და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: საშუალო განათლების მისაღებად თორმეტი წელი უნდა ვისწავლოთ.

გათბობის	**განათლება**
საშუალო	დამონტაჟება
დახმარების	კაბინეტი
ავარიული	აღმოჩენა
სამედიცინო	მდგომარეობა

კავშირი **ანუ** - საშუალო განათლება, **ანუ** სასკოლო განათლება

სკოლის დირექტორმა თქვა, რემონტი მალე **დასრულდებაო**.
სახლის შეკეთებას, **ანუ** გარემონტებას,
დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კომფორტული ცხოვრებისთვის.

3.3. წაიკითხეთ და დაწერეთ შესატყვისი სიტყვა:

სასკოლო განათლება, **ანუ** _____.

პირველადი დახმარება, ანუ _____

შეკეთებული გზა, ანუ _____

3.4. ჩასვით სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:

სამედიცინო კაბინეტი	კედლები
გათბობის სისტემა	სამედიცინო დახმარების
მოწყობილი	

1. ამ წლის ბოლომდე პარლამენტის შენობაში _____ _____ დამონტაჟებული იქნება.

2. პირველადი _____ _____ აღმოჩენა ყველა მოქალაქემ კარგად უნდა იცოდეს.

3. სკოლაში შარშან გაიხსნა _____ _____.

4. საბავშვო ბაღში დარბაზის _____ დაზიანებულია, უკვე ბევრი ბზარი აქვს.

5. როგორც ქალაქის მერი ამბობს, ჩვენი რაიონის მუნიციპალიტეტის შენობა მალე იქნება თანამედროვედ _____.

3.5. წაიკითხეთ ელექტრონული წერილი და განიხილეთ შემდეგი საკითხები:

ა) რაზეა საუბარი წერილში? იმსჯელეთ პრობლემის შესახებ.

ბ) რა თანმიმდევრობით არის შედგენილი ტექსტი?

გ) რომელი ზმნური ფორმებია გამოყენებული ტექსტში და რა მიზნით?

დ) იპოვეთ ტექსტში თქვენთვის უცნობი სიტყვა და იმსჯელეთ, რას უნდა ნიშნავდეს ის და რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს მას?

ბატონო ელიზბარ,

მე და ჩემი კოლეგები ახლა ნინოწმინდაში ვართ, ვმუშაობთ ნინოწმინდის საავადმყოფოს რემონტისა და სკოლაში გათბობის სისტემის დამონტაჟების პროექტზე. პროექტი სასწრაფოდ უნდა დავასრულოთ ამ თვის ბოლომდე, რადგან თებერვალში უნდა დავიწყოთ ახალ პროექტზე მუშაობა მარნეულის რაიონში. სამწუხაროდ, თუ 25 იანვრამდე ვერ დავასრულებთ საავადმყოფოში რემონტს და სკოლაში ვერ დავამონტაჟებთ გათბობის სისტემას, მარნეულში პირველი თებერვლისთვის ვერ ჩამოვალთ და ვერ მივიღებთ მონაწილეობას

თქვენს კონკურსში.

გიორგი შალამბერიძე

3.6. დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

მომავალ წელს გავარემონტებთ ჩვენი სოფლის სახლს.

მომავალ წელს გვინდა ჩვენი სოფლის სახლის გარემონტება.

1. წლის ბოლოს მე და ჩემი მეგობრები სოფელში დიდ სახლს ავაშენებთ.
2. სკოლის დირექტორის მოთხოვნით შემოდგომაზე საკლასო ოთახებში გათბობის სისტემას დაამონტაჟებენ.
3. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ვანის ინჟინრები მონაწილეობას მიიღებენ რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებაში.
4. ხვალ გაკვეთილს კომპიუტერით აღჭურვილ ახალ საკლასო ოთახში ჩავატარებთ.
5. ქალაქის მერია ქობულეთში ახალ შემოვლით გზას წლის ბოლომდე დააგებს.

3.7. განმარტეთ შემდეგი ფრაზების მნიშვნელობა:

- ავარიული მდგომარეობა
- პირველადი სამედიცინო დახმარება
- გათბობის სისტემის დამონტაჟება

თითოეული ფრაზა დაუკავშირეთ სურათებს. აღწერეთ სურათები და შეაფასეთ სურათზე გადმოცემული ინფორმაცია.

1

2


3

ფრთხილად!

3.7. ა) წაიკითხეთ ფრაზები და ისაუბრეთ მათ დანიშნულებაზე:

- ფრთხილად, ბავშვები!
- ფრთხილად, შენობა დაზიანებულია!
- მანქანაში ბავშვია!
- შენობას არემონტებს ქალაქის მერია!
- მიიღე მონაწილეობა სპორტულ თამაშებში!

ბ) მიუსადაგეთ ზემოთ მოყვანილი ფრაზები სურათებს:

III თავი საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურა

3.1. საბავშვო ბაღები

3.2. საზაფხულო საბავშვო ბაღი

3.3. მწვანე საბავშვო ბაღი

გრამატიკა

მომავალი დრო

I თურმეობითი: **თურმე გამიკეთებია**

თანდებულები: **მიხედვით, მიერ**

კონსტრუქცია: **მინდა გავაკეთო; უნდა გავაკეთო, შეიძლება გავაკეთო**

უარყოფითი მიმღეობა: **გაუკეთებელი**

3.1. საბავშვო ბაღები

- **როგორი პირობებია თქვენი ქალაქის/რაიონის/სოფლის საბავშვო ბაღებში?**
- **თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს თანამედროვე საბავშვო ბაღი?**
- **როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს საბავშვო ბაღის მასწავლებელი?**

1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

რამდენიმე წლის წინ თბილისში სხვადასხვა მიზეზის გამო ორმოცდაათამდე საბავშვო ბაღი **დახურეს**. ორი საბავშვო ბაღი **მიწისძვრამ დაანგრია**. საბავშვო ბაღების რაოდენობა დღეს ძალიან შემცირებულია და ამიტომ ბევრი ბავშვი ვერ დადის ბაღში, ეს კი სერიოზული პრობლემაა მშობლებისთვის. თბილისის მერიაში შარშან დაიწყეს ახალ პროექტზე მუშაობა. წლის ბოლოსთვის ქალაქში ააშენებენ ათ ახალ საბავშვო ბაღს, რომლებშიც 3500 ბავშვი **ივლის**.

გლდანის მეოთხე მიკრორაიონში ძველი ავარიული საბავშვო ბაღი **დაუნგრევიათ**, თუმცა, შენობის ნახევარი მხარე ისედაც დანგრეული იყო. **გამგეობამ** ააშენა ახალი შენობა, რომელიც ყველა თანამედროვე მოთხოვნას პასუხობს. შენობა **კეთილმოწყობილია**. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა; მოწყობილია სათამაშო ოთახები. საძინებლებში კარადები და საწოლები დგას; დიდი და ნათელი სამზარეულოს გვერდით სასადილოა. ბაღში ყველაფერი ძალიან სუფთა და ახალია.

ბაღის პირველ სართულზე დიდი დარბაზია, სადაც **აღმზრდელებმა** ბევრი სხვადასხვა საინტერესო **ღონისძიება** შეიძლება ჩაატარონ. **აღსაზრდელები** კი **ხალხურ** ცეკვებსა და სიმღერებს შეასრულებენ. ალბათ, ახალ გარემონტებულ ბაღს დიდი ღონისძიებით გახსნიან.

შენობას აქვს დიდი ეზო, სადაც აღსაზრდელებს სუფთა ჰაერზე უსაფრთხოდ შეუძლიათ თამაში. აქ ყველა პირობაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვისაც. ბაღის დირექტორის აზრით, შენობა მზადაა და **აკმაყოფილებს** თანამედროვე სტანდარტებს. ბავშვებს აქ კეთილგანწყობილი პედაგოგები ჰყავთ და თბილი გარემოც ექნებათ, რაც აქტუალურია.

ახალი სიტყვები:	
ვინ? აღსაზრდელი აღმზრდელი **რა?** მიწისძვრა ღონისძიება კეთილმოწყობა კეთილგანწყობა აქტუალურობა დარწმუნება შეზღუდვა	**როგორი?** კეთილმოწყობილი აქტუალური დარწმუნებული ხალხური
ზმნები: ანგრევს აკმაყოფილებს დადის ხსნის ხურავს	

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რატომ დახურეს საბავშვო ბაღები თბილისში?
2. რატომ დაანგრიეს გლდანის მეოთხე მიკრორაიონში ძველი საბავშვო ბაღის შენობა?

შეიძლება + II კავშირებითი
შეიძლება **ჩაატაროს,** შეიძლება **დაასრულოს**

მერიამ კონცერტი **შეიძლება** ხვალ **ჩაატაროს**.
გიორგიმ **შეიძლება** ხვალ **დაასრულოს** პროექტი.

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დაკმაყოფილება	**დააკმაყოფილა**	**აკმაყოფილებს**	**დააკმაყოფილებს**	**დაუკმაყოფილებია**
დახურვა	**და**ხურა	**ხურავს**	**და**ხურავს	**და**უხურავს
დაანგრევა	**და**ანგრია	**ანგრევს**	**და**ანგრევს	**და**უნგრევია
გახსნა	**გა**ხსნა	**ხსნის**	**გა**ხსნის	**გა**უხსნია
სვლა	**და**დიოდა	**დადის**	ივლის	**გა**უვლია

ჯერ არ/თურმე/არასდროს არ/აქამდე არ დაუხურავს

- ქალაქის მერიას ავარიული ბაღი **ჯერ არ** დაუხურავს;
- **თურმე** დაუხურავს;
- **არასდროს** დაუხურავს;
- **აქამდე** არ დაუხურავს.

გამგეობა ატარებს **ღონიძიებას**.
გამგეობამ შეიძლება ჩაატაროს **ღონისძიება**.

1.2. ა) დააკვირდით სქემებს, შეადგინეთ წინადადებები და ისაუბრეთ:



ბ) შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ბაღის დირექტორი ამბობს, რომ შენობა აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.
ბაღის დირექტორი ამბობს, რომ შენობამ შეიძლება დააკმაყოფილოს თანამედროვე სტანდარტები.

1. საბავშვო ბაღის შენობაში ამონტაჟებენ ცენტრალური გათბობის სისტემას.
2. საბავშვო ბაღის ძველი ავარიული შენობა დაანგრიეს.
3. სხვადასხვა მიზეზის გამო თბილისში ორმოცდაათამდე საბავშვო ბაღი დახურეს.
4. ტრანსპორტის სამინისტრო ახალ შემოვლით გზას იმ წლის ბოლოს დააგებს.

1.3. წაიკითხეთ წერილი და იმსჯელეთ ქვემოთ მოყვანილ საკითხებზე:

ქალბატონო თამარ,

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა გიწვევთ ფოტოგამოფენაზე „მარნეულის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღები“. ღონისძიებას გახსნის მარნეულის რაიონის მესამე საშუალო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ზეინაბ ზურაბიშვილი. ფოტოგამოფენას დაასრულებს მარნეულის რაიონის მესამე და მეოთხე საბავშვო ბაღების აღსაზრდელების კონცერტი. ბავშვები შეასრულებენ ქართულ და აზერბაიჯანულ ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებს.

გთხოვთ, მობრძანდეთ!

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა

- ღონისძიების მიზეზი
- ღონისძიების გეგმა
- მოწვეული სტუმრები

დაიმახსოვრეთ!

გამგეობა გიწვევთ ღონისძიებაზე.
გთხოვთ, მობრძანდეთ!

1.4. **ა) მოისმინეთ დიალოგი:**

- გამარჯობა, ბატონო კობა, მობრძანდით, დაბრძანდით, დიდი მადლობა ჩვენს რადიოში მობრძანებისთვის.

- თქვენც გმადლობთ, ქალბატონო თეა.

- ბატონო კობა, თქვენ ხართ ახალქალაქის მერი, ამიტომ თქვენთან გვინდა ვისაუბროთ ახალქალაქის პრობლემებზე, როგორ ფიქრობთ, რა არის ახალქალაქში დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა?

- საინტერესო შეკითხვაა. ჩემი აზრით, დღეს ჩვენს ქალაქში, ისევე როგორც საქართველოს ბევრ სხვა პატარა თუ დიდ ქალაქში, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა. ცოტაა ისეთი საბავშვო ბაღები, რომლებიც აკმაყოფილებენ თანამედროვე სტანდარტებს და მოთხოვნებს. მშობელი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი შვილი კარგ პირობებში ატარებს მთელ დღეს, აქვთ გემრიელი საჭმელი და სასიამოვნო გარემო.

- კი, ნამდვილად, ეს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მეც მშობელი ვარ და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემი შვილი იყოს კარგ პირობებში. ბატონო კობა, რამდენი საბავშვო ბაღია დღეს ახალქალაქში და როგორი პირობებია იქ?

- დღეს ახალქალაქში ორი საბავშვო ბაღი მუშაობს, სამწუხაროდ, მესამე ბაღის შენობა ავარიულია, მაგრამ უკვე დაიწყო მისი შეკეთება. ეს შენობა **არასდროს გაურემონტებიათ**, ამიტომ აქ ძალიან ბევრი პრობლემაა. სარემონტო სამუშაოები ამ ბაღში შეიძლება უკვე წლის ბოლოსთვისაც დავასრულოთ.

- ბატონო კობა, ახლა მინდა ვილაპარაკოთ ახალქალაქის პირველ საბავშვო ბაღზე. ჩვენ ვიცით, რომ ეს ძველი შენობაა, მაგრამ ახლა აქ კარგი პირობებია, ვის **მიერ** არის ეს შენობა გარემონტებული?

- ეს შენობა გარემონტებულია ახალქალაქის რაიონის გამგეობის მიერ...

... + ნათ. ბრ. + **ის მიერ**
ქალაქის მერი**ის მიერ**, ბაღის დირექტორ**ის მიერ**

თბილისის შემოვლითი გზა დაგებულია ქალაქის მერი**ის მიერ.**
ბაღის შენობა გარემონტებულია ბაღის დირექტორ**ის მიერ**.

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

1. როგორ ფიქრობთ, რა არის ახალქალაქში დღეს ერთ-ერთი ყველაზე_____?

2. ცოტაა ისეთი საბავშვო ბაღი, რომელიც _____

3. სარემონტო სამუშაოები ამ ბაღში შეიძლება უკვე წლის ბოლოსთვისაც დავასრულოთ. ეს შენობა _____.

4. ადრე მეზობელ სოფელში კიდევ ერთი ბაღი მუშაობდა, დღეს ეს შენობაც ავარიულია და ამ შენობაში _____.

1.5. ჩასვით სახელები სათანადო ბრუნვაში და გააქტიურეთ ფრჩხილებში ჩასმული ზმნა:

ნიმუში:
სასკოლო ღონისძიება ჯერ (არავინ) _____ არავის _____ (გახსნა) _____ გაუხსნია _____.

1. (მარნეულის გამგეობა) _____ საბავშვო ბაღის შენობის რემონტი აქამდე არ (დამთავრება) _____.

2. (სკოლის მოსწავლეები) _____ პროექტზე მუშაობა ჯერ არ (დაწყება) _____.

3. (სკოლის დირექტორი) _____ მასწავლებლების მოთხოვნები აქამდე არ (დაკმაყოფილება) _____.

4. სოფელ ვარიანის საბავშვო ბაღის ავარიული შენობა (არავინ) _____ (გარემონტება) _____.

3.2. საზაფხულო საბავშვო ბაღი

2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტები და დაასათაურეთ:

1. _____

მე პროფესიით ქართული ენის მასწავლებელი ვარ და ქუთაისის პირველ საშუალო სკოლაში ვმუშაობ. მთელი დღე, დილიდან ხუთ საათამდე, სკოლაში ვარ. კვირაში ორი საღამო **დაკავებული** მაქვს, რადგან მოსწავლეები სახლში მოდიან და იქ ვატარებ კერძო გაკვეთილებს. ჩემი ქმარიც მთელი დღე მუშაობს, გზებს აგებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ხან სად არის და ხან სად... **დაუსრულებელია** მისი სამუშაო. ჩვენ ორივე ბევრს ვმუშაობთ, მთელი დღე სამსახურში ვართ. ძალიან დაკავებულები ვართ და **საერთოდ** არ გვაქვს თავისუფალი დრო. მგონი, ეს უკვე ყველას პრობლემაა. ამ ზაფხულში შვებულება ჯერ არ აგვიღია, ჩვენს ორ პატარა შვილს კი ძალიან სცხელა და სუფთა ჰაერი სჭირდება, ხოლო ჩვენ კი ამის დრო არ გვაქვს. ბევრი ვიფიქრეთ ამ პრობლემაზე და გამოსავალი ვნახეთ. თურმე ქუთაისთან ახლოს ახალი საზაფხულო ბაღია. შეიძლება ბავშვები ამ ბაღში **მივიყვანოთ**.

2. _____

მე არ ვმუშაობ, მაგრამ სამივე შვილი ყოველ დილით მიმყავს საბავშვო ბაღში, საღამოს, ხუთ საათზე კი სახლში მომყავს. მე ვფიქრობ, რომ საბავშვო ბაღი ბავშვებისთვის აუცილებელია, რადგან ისინი აქ ბევრ რამეს სწავლობენ, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ღონისძიებაში, შარშან კონცერტიც ჰქონდათ. ჩემი შვილები სხვა ბავშვებთან ერთად თამაშობენ, მათ უკვე მეგობრებიც ჰყავთ. წელს ჩემი შვილები საზაფხულო საბავშვო ბაღში მინდა წავიყვანო, ეს ბაღი უკვე სამი წელია მუშაობს და **თურმე** ძალიან კარგი პირობებიც ჰქონიათ. **პროფესიონალი** აღმზრდელები იქაც ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებას, ბავშვები ცეკვავენ, მღერიან და სუფთა ჰაერზე სეირნობენ, რაც ჩემთვის ძალიან აქტუალურია.

3. _____

მე საზაფხულო საბავშვო ბაღში უკვე სამი წელია ვმუშაობ. ადრე ეს ბაღი **მოუწყობელი** იყო, ახლა გაარემონტეს, კედლებიც შეღებეს ცისფრად და ვარდისფრად. ჩვენი ბაღი თბილისთან ახლოსაა, ამიტომ დაკავებულ მშობლებს ჩვენთან მოჰყავთ შვილები. ზოგიერთი ბავშვი აქ ორი ან მეტი კვირა ცხოვრობს, ჩვენი მასწავლებლები ბავშვების მიმართ **ყურადღებიანები** და **თბილები** არიან და ყოველთვის **ზრუნავენ** მათზე, განსაკუთრებით **ცელქ** ბავშვებზე. აქ ძალიან კარგი პირობებია, ბაღი თანამედროვედაა აღჭურვილი, გვაქვს სათამაშო და სასწავლო კლასები, ბავშვები სწავლობენ ინგლისურ ენას, მათემატიკას, წერასა და კითხვას. საზაფხულო ბაღში მთელი დღე ბავშვები ხან სწავლობენ, ხან ისვენებენ და ხან სუფთა ჰაერზე არიან. ბევრ მშობელს უნდა ატაროს თავისი შვილები ჩვენს საზაფხულო ბაღში ზაფხულის ცხელ დღეებში.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტები და თითოეულ ტექსტს შეურჩიეთ ქვემოთ მოყვანილი ფრაზები. განმარტეთ, რატომ შეარჩიეთ ეს პასუხი:

1. საზაფხულო საბავშვო ბაღში ბავშვები მთელი დღე სუფთა ჰაერზე არიან და ეს კარგია მათი ჯანმრთელობისთვის.
2. ყველა დაკავებულ მშობელს უნდა შვილები მიიყვანოს საზაფხულო საბავშვო ბაღში, რადგან იქ კარგი პირობებია მათთვის.
3. ყურადღებიანი აღმზრდელები კარგად ზრუნავენ აღსაზრდელებზე, ეს დიდი იმედია დაკავებული მშობლებისთვის და ამიტომაც არიან მშვიდად.

ახალი სიტყვები:	
როგორი? ყურადღებიანი დაკავებული მზრუნველი პროფესიონალი ცელქი მოუწყობელი დაუსრულებელი საერთო თბილი	**როგორ?** საერთოდ
ზმნები: ზრუნავს ღებავს მიჰყავს	

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	**დღეს**	ხვალ	ჯერ არ/თურმე
ზრუნვა	იზრუნა	**ზრუნავს**	იზრუნებს	უზრუნია
მიყვანა	**მი**იყვანა	**მიჰყავს**	**მი**იყვანს	**მი**უყვანია
მოყვანა	**მო**იყვანა	**მოჰყავს**	**მო**იყვანს	**მო**უყვანია
შეღებვა	**შე**ღება	**ღებავს**	**შე**ღებავს	**შე**უღებავს

დააკვირდით!

თურმე მუშაობს – ახლა (მე არ ვიცოდი, ეს ინფორმაცია ჩემთვის უცნობია)
თურმე მუშაობდა – ადრე (მე არ ვიცოდი, ეს ინფორმაცია ჩემთვის უცნობია)
თურმე გაუკეთებია – უკვე (მე არ ვიცი, არ მინახავს, ვინ გააკეთა, სხვისგან გავიგე)

სოფელ ჯანდარაში საბავშვო ბაღი **თურმე** ორი წელია **მუშაობს**.
ბაღი **თურმე** ორი წელი **მუშაობდა**.
ეს ნამცხვარი **თურმე** ქალბატონ ნინოს **გაუკეთებია**.

სურვილი (☺)	**აუცილებლობა (!)**	**შესაძლებლობა (?)**
მე მინდა გავაკეთო საქმე	მე უნდა გავაკეთო საქმე	მე შეიძლება გავაკეთო საქმე
შენ გინდა გააკეთო საქმე	შენ უნდა გააკეთო საქმე	შენ შეიძლება გააკეთო საქმე
მას უნდა გააკეთოს საქმე	**მან** უნდა გააკეთოს საქმე	**მან** შეიძლება გააკეთოს საქმე

დაიმახსოვრეთ!

გიორგის უნდა გააკეთოს საქმე.
გიორგიმ უნდა გააკეთოს საქმე!
გიორგიმ შეიძლება გააკეთოს საქმე?

2.2. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით და გამოიყენეთ ნაწილაკი – თურმე:

ნიმუში:

ჩვენი სკოლის შენობაში გათბობის სისტემა შარშან **დაამონტაჟეს**, მაგრამ წელს არ მუშაობს.

ჩვენი სკოლის შენობაში გათბობის სისტემა **თურმე** შარშან **დაუმონტაჟებიათ**, მაგრამ წელს არ მუშაობს.

1. გიორგის დედა ავად **იყო**, ამიტომ ბავშვზე ყურადღებიანმა მასწავლებელმა **იზრუნა**.
2. საბავშვო ბაღში ღონისძიებისთვის კედლები **შეღებეს**, ღონისძიება სკოლის დირექტორმა **გახსნა**.
3. გლდანის რაიონის მეშვიდე სკოლის ავარიული შენობა შარშან **დაანგრიეს**.

2.3. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

ლიკას **უნდა** ზეგ **წავიდეს** წიგნების მაღაზიაში. (!) ლიკა ზეგ **უნდა წავიდეს** წიგნების მაღაზიაში.

1. ჩემს შვილს ძალიან უნდა მიიღოს მონაწილეობა ხალხური მუსიკის კონცერტში. (!)
2. დავითს უნდა, რომ იზრუნოს თავის პატარა ლეკვზე.(!)
3. ქალაქის მერს უნდა გახსნას საბავშვო ნამუშევრების ფოტოგამოფენა.(!)
4. სკოლის დირექტორს უნდა დაამონტაჟოს ცენტრალური გათბობის სისტემა სკოლის ახალ შენობაში.(!)

2.4. ა) წაიკითხეთ ელექტრონული წერილი:

ჩემო ნანა,

როგორ მიდის საქმეები? როგორი ამინდებია საფრანგეთში?

ჩვენ ყველაფერი კარგად გვაქვს. მე და ჩემს კოლეგებს ძველ პროექტზე მუშაობა არ დაგვისრულებია. საბავშვო ბაღი ჯერ კიდევ მოუწყობელია. გვინდა მალე შევღებოთ კედლები და სწრაფად მოვამზადოთ შენობა ბავშვებისთვის. ჩვენ გვინდა ახალი საბავშვო ბაღი იყოს კეთილმოწყობილი და თანამედროვედ აღჭურვილი. აქ უნდა მუშაობდნენ განათლებული და ყურადღებიანი აღმზრდელები, ნამდვილი პროფესიონალები.

იმედი მაქვს, მალე ჩამოხვალ და ახალ პროექტზე ერთად ვიმუშავებთ.

ნათია

გაიხსენეთ!

უ–; უ—ელ; და**უ**სრულებ**ელ**ი, მო**უ**წყობ**ელ**ი

საბავშვო ბაღი **მოუწყობელია** ბავშვებისთვის.
ამ შენობაში რემონტი **დაუსრულებელია**.

ალბათ

ალბათ, აკეთებს; **ალბათ,** გააკეთებს; **ალბათ,** გააკეთა

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ წერილი და იმუშავეთ წყვილებში:

ა) იპოვეთ ფრაზა, რომელშიც საუბარია მიზანზე.
ბ) იპოვეთ მონაკვეთი, რომელშიც გამოთქმულია სურვილები.
გ) დააკვირდით, როგორ იწყება და როგორ სრულდება წერილი.
დ) იპოვეთ ფრაზები, რომლებიც ასახავს სამომავლო გეგმებს.

2.5. უპასუხეთ შეკითხვებს ანტონიმების გამოყენებით:

— ბატონო გიორგი, ხვალ, სამ საათზე, თავისუფალი იქნებით? გექნებათ დრო? თქვენთან გვინდა შეხვედრა.
— არა, ხვალ მთელი დღე დაკავებული ვარ.

1. - ჩემი შვილები საბავშვო ბაღში მინდა მივიყვანო და მაინტერესებს, ჩვენი უბნის ბაღი **კეთილმოწყობილია**?
- არა, _____.
2. დავითი **მშვიდი** ბავშვია?
- არა, _____.
3. ეს პროექტი უკვე **დასრულებულია**?
- არა, _____.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღის შენობა ჯერ კიდევ **დანგრეულია**?
- არა, _____.
5. დიანა, ვიცი, რომ თქვენს ახალ ბინაში რემონტი თითქმის დასრულებულია, კედლები **შეუღებავი** გაქვთ?
- არა, _____ .

3.3. მწვანე საბავშვო ბაღი

3.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

_____

ახალციხეში, ჯავახეთის ქუჩაზე, საქართველოში პირველად ააშენებენ ახალი ტიპის საბავშვო ბაღს. პროექტის მიხედვით, ეს იქნება მწვანე ბაღი, ანუ **ეკოლოგიურად სუფთა** შენობა, რომელიც **დააგროვებს** მზის ენერგიას, ხოლო **ელექტროენერგიას დაზოგავს**. ცენტრალური გათბობის სისტემა მთლიანად მზის ენერგიაზე იმუშავებს. პროექტს **აფინანსებს** ახალციხის გამგეობა და კომპანია „ჩვენი ენერგია“. გამგებელი ახალ საბავშვო ბაღს გახსნის 22 აპრილს, დედამიწის დღეს. ეს იქნება საინტერესო და მხიარული ღონისძიება. ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის გაიმართება ხალხური მუსიკისა და ცეკვის კონცერტი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მომავალი წლისთვის დაფინანსებულია მწვანე საბავშვო ბაღის კიდევ ერთი ახალი პროექტი. შემდეგ ეკოლოგიურად სუფთა საბავშვო ბაღს უკვე ყვარლის რაიონის **მოსახლეობისთვისაც** ააშენებენ.

ბ) ტექსტის მიხედვით ჩამოწერეთ მწვანე საბავშვო ბაღის დამახასიათებელი ნიშნები:



გ) ტექსტის მიხედვით იმსჯელეთ ჯგუფებში, უნდა იყოს თუ არა ბევრი ასეთი საბავშვო ბაღი საქართველოში და რატომ? პასუხი დაასაბუთეთ:

ახალი სიტყვები:	
ვინ? მოსახლეობა **რა?** ელექტროენერგია	**როგორი?** დაფინანსებული ეკოლოგიური
ზმნები: აგროვებს ზოგავს აფინანსებს	

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დაგროვება	**და**აგროვა	**აგროვებს**	**და**აგროვებს	**და**უგროვებია
დაფინანსება	**და**აფინანსა	**აფინანსებს**	**და**აფინანსებს	**და**უფინანსებია
დაზოგვა	**და**ზოგა	**ზოგავს**	**და**ზოგავს	**და**უზოგავს

... + ნათ. ბრ. + **ის მიხედვით**
ნიმუშ**ის მიხედვით**, დოკუმენტ**ის მიხედვით**

განცხადებ**ის მიხედვით**, რემონტს წლის ბოლოს დაასრულებენ.
დოკუმენტ**ის მიხედვით**, საბავშვო ბაღის რემონტს ახალქალაქის გამგეობა დააფინანსებს.

3.2. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო თანდებული:

მიხედვით	მიერ	მიმართ
გამო	შესახებ	გარეშე

ნიმუში:
ქალაქის მერიის განცხადებ**ის მიხედვით**, მესამე საბავშვო ბაღის ავარიულ შენობას ხვალ დაანგრევენ.

1. ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა დაფინანსებულია აჭარის ტრანსპორტის სამინისტროს _____.
2. ცუდი ამინდების _____ მამაჩემი სოფლიდან ქალაქში ვერ ჩამოვიდა.
3. რემონტის _____ მარნეულის პირველ საშუალო სკოლაში სწავლა, ალბათ, არ დაიწყება.
4. ახალციხის მწვანე ბაღის პროექტის _____ მთელი დღე ლაპარაკობენ ტელევიზორში.
5. ბავშვების _____ ჩვენი საბავშვო ბაღის მასწავლებელი ძალიან ყურადღებიანია.

3.3. ა) დაუკავშირეთ ერთმანეთს ფორმები:

კედლების	დაკმაყოფილება
მოთხოვნების	დაზოგვა
მზის ენერგიის	შეღებვა
პროექტების	დაგროვება
ელექტროენერგიის	დაფინანსება
გზების	**დამონტაჟება**
გათბობის სისტემის	დაგება

ბ) მიუწერეთ დადებითი მნიშვნელობის სიტყვებს უარყოფითი მნიშვნელობის ფორმები:

დადებითი მნიშვნელობა +	**უარყოფითი მნიშვნელობა –**
მომზადებული	**მოუმზადებელი**
შეღებილი	
დასრულებული	
მოწყობილი	
დამთავრებული	

3.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი ზმნები:

დააფინანსებს	დააკმაყოფილოს	აგროვებს
ზოგავს	მიიღონ	შეღებავენ

1. მწვანე ბაღი ეკოლოგიურად სუფთა პროექტია, ის _____ ელექტროენერგიას და _____ მზის ენერგიას.
2. განათლების სამინისტროს პროექტის მიხედვით, ახალქალაქის რაიონის პირველი საბავშვო ბაღის ახალმა შენობამ უნდა _____ თანამედროვე მოთხოვნები და სტანდარტები.
3. რემონტის შემდეგ ახალი საბავშვო ბაღის საძინებელ ოთახებში კედლებს, ალბათ, ღია ფერებში _____.

3. 5. მოუსმინეთ დიალოგს:

3.6. ა) კიდევ ერთხელ მოისმინეთ დიალოგი და სწორი პასუხი აღნიშნეთ:

1. დღეს ისწავლე ყველა საგანი/უნდა ისწავლო ყველა საგანი.
2. შაბათ-კვირას, ალბათ, სოფელში წავალთ /სოფელში უნდა წავიდეთ ბებოსთან,
3. კი, დედა, ძალიან მარტივი დავალებაა, ვაკეთებ და ამიტომ დღეს, ალბათ, გავაკეთებ ამ დავალებას/დღეს შეიძლება გავაკეთო ეს დავალება.
4. ძალიან საინტერესო თემაა. იცი, თურმე ახალციხეში მწვანე ბაღი გაუხსნიათ/ახალციხეში თურმე მწვანე ბაღი გახსნეს.
5. რა კარგია ასეთი ბაღი! იქ ბავშვები არ ისწავლიან ფიზიკას და მათემატიკას/არ ისწავლიან.

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

რაზე საუბრობენ დედა და შვილი?

რა უნდა გააკეთოს შვილმა?

რატომ ახსენებს დედა მწვანე ბაღს?

გ) დიალოგის მიხედვით დაახასიათეთ მწვანე ბაღი:

მწვანე ბაღი
•
•
•
•
•

შემაჯამებელი თავი I

1. დაუკავშირეთ სურათები, მოცემული წინადადებები და ფრაზები ერთმანეთს:

1


2

3

4

5

6

7

8

9

ფრთხილად, იატაკი სველია!	ჯანსაღი ცხოვრების წესი	გადაუდებელი სამედიცინო დახმარება
მოსახლეობა მოითხოვს შიდა გზის შეკეთებას	დაუსრულებელი მშენებლობა	გათბობის სისტემის დამონტაჟება
დიდი რაოდენობის გამონაბოლქვი ჰაერს აბინძურებს	სატვირთო ავტომობილების გადაადგილება შეზღუდულია	კეთილმოწყობილი კლინიკა

2. წაიკითხეთ ტექსტი:

(1) საქართველოს საგზაო დეპარტამენტში 250 ადამიანი მუშაობს. იგი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მეორე სართულზე მდებარეობს.

(2) საგზაო დეპარტამენტი საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად პროექტებზე მუშაობს და სხვადასხვა ღონისძიებას ატარებს საერთაშორისო მნიშვნელობისა თუ ქვეყნის შიდა გზებზე. დღეისათვის დეპარტამენტი ზრუნავს საერთაშორისო მნიშვნელობის 1455 კმ და ქვეყნის შიდა მნიშვნელობის 6943 კმ სიგრძის გზებზე.

(3) საერთაშორისო მნიშვნელობის გზებიდან განსაკუთრებით დიდი მოძრაობაა E-60 (ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი) და E-70 (ფოთი-ბათუმი-სარფი) სატრანზიტო მაგისტრალებზე. ეს ორი გზა საპორტო ქალაქ ფოთთან ერთდება და გრძელდება, როგორც ერთი სატრანზიტო მაგისტრალი. დეპარტამენტის უფროსის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში E-60 და E-70 მაგისტრალები ჩქაროსნული გზები გახდება. სარემონტო სამუშაოების დაწყება მომავალი წლის დასაწყისში იგეგმება.

(4) საქართველოს საგზაო დეპარტამენტის მიზანია დაზიანებული გზების შეკეთება და ახალი გზების დაგება, საერთაშორისო სტანდარტების მქონე უსაფრთხო საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, გადატვირთული მოძრაობის მოწესრიგება, მიწისზედა და მიწისქვეშა გადასასვლელების მოწყობა, გარემოზე ზრუნვა და უსაფრთხოების წესების დაცვა.

(5) საინტერესოა ის, რომ საგზაო დეპარტამენტი ინტენსიურად მუშაობს სასკოლო პროექტებზე, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და რომლებიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის მოძრაობისა და უსაფრთხოების წესების სწავლებას.

3. შეარჩიეთ სათაური, თქვენი არჩევანი დაასაბუთეთ:

1. საქართველოს საგზაო დეპარტამენტი
2. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის მიზნები
3. როგორ მუშაობს საქართველოს საგზაო დეპარტამენტი
4. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის პროექტები

4. მიუთითეთ, მოცემული ინფორმაცია სწორია, არ არის სწორი თუ არ არის მოცემული ტექსტში:

	სწორია	არ არის სწორი	არ არის მოცემული ტექსტში
საქართველოს საგზაო დეპარტამენტი არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ნაწილი.			
E-60 (ფოთი-თბილისი-წითელი ხიდი) და E-70 (ფოთი-ბათუმი-სარფი) სატრანზიტო მაგისტრალები ქალაქ ფოთიდან იწყება.			
საქართველოს საგზაო დეპარტამენტის მთავარი მიზანია საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობის გზების შეკეთება.			
საგზაო დეპარტამენტში სკოლის მოსწავლეებს ასწავლიან მოძრაობის წესებს.			
ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია უსაფრთხოების წესების შესახებ.			

5. შემოხაზეთ თითოეული აბზაცის მთავარი სათქმელი:

(1)

1. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის სტრუქტურა
2. საქართველოს საგზაო დეპარტამენტში მუშაობს 250 ადამიანი
3. საქართველოს საგზაო დეპარტამენტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ნაწილია.

(2)

1. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის ინფრასტრუქტურული პროექტები
2. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის მიზნები
3. საერთაშორისო მნიშვნელობისა და ქვეყნის შიდა გზების მდგომარეობის საკითხი

(3)

1. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის გეგმები ჩქაროსნული გზების შესახებ
2. ინფორმაცია საერთაშორისო მნიშვნელობის გზების შესახებ
3. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის სამომავლო გეგმები

(4)

1. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის მუშაობის მთავარი პრინციპები
2. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარება
3. საქართველოს გზების მდგომარეობაზე ზრუნვა

(5)

1. ახალგაზრდების გართობაზე ზრუნვა
2. ახალგაზრდების განათლებაზე ზრუნვა
3. ახალგაზრდების უსაფრთხოებაზე ზრუნვა

6. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

— მოგესალმებით, ბატონო ნოდარ, გმადლობთ, რომ დღეს თქვენ ჩვენი სტუდიის სტუმარი ბრძანდებით.

— გამარჯობა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენთან სტუმრობა.

— ბატონო ნოდარ, წინა კვირას გავრცელდა ინფორმაცია თქვენს სკოლაში განხორციელებული ახალი პროექტის შესახებ, რომელიც _____

_____

— კი, ჩვენს პროექტს „ეკოლოგიის სკოლა“ ჰქვია. სკოლაში მოწყობილი გვაქვს ეკოლოგიის კაბინეტი, რომელიც _____ _____. გვაქვს კომპიუტერები, წიგნები, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა.

— ბატონო ნოდარ, რას აკეთებენ ბავშვები ამ კაბინეტში? რას _____ _____?

— მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვები თან სწავლობენ და თან მუშაობენ. ისინი იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის ეკოლოგიურად სუფთა გარემო, რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის, რა არის ეკოლოგიური შენობა, როგორ უნდა დავზოგოთ ელექტროენერგია და ვიმუშავოთ მზის ენერგიაზე, როგორ _____ _____ _____.

— მართლაც ძალიან საინტერესო გარემო ჰქონიათ თქვენს მოსწავლეებს. დაბოლოს, _____ _____ _____

— პროექტი დააფინანსა ქუთაისის მერიამ.

— დიდი მადლობა, _____

— თქვენც მადლობა!

7. დაალაგეთ დიალოგი ლოგიკური თანმიმდევრობით:

— უკვე დავდგით საგზაო ნიშნები და გზაჯვარედინებზე დავამონტაჟეთ შუქნიშნები.

— გზის გაყვანის დროს დავანგრიეთ რამდენიმე დაზიანებული შენობა, რომელიც ქუჩის პირას იდგა.

— როდის დაიწყეთ მუშაობა და კიდევ რა დარჩა გასაკეთებელი?

— დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის. სამუშაო წლის ბოლომდე უნდა დავასრულოთ.

— სამშენებლო სამუშაოებს მხოლოდ საგზაო დეპარტამენტი ასრულებს?

— პროექტზე მუშაობა ორი წლის წინ დავიწყეთ და კიდევ უნდა დავაგოთ ქობულეთის შემოვლითი გზა სატვირთო ავტომანქანებისთვის.

— მოგესალმებით, ბატონო შოთა. შეგიძლიათ მითხრათ, როდის მთავრდება სარემონტო სამუშაოები?

— დიდი მადლობა დეტალური ინფორმაციისთვის.

— არა, სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობას იღებს რამდენიმე ქართული და გერმანული კომპანია.

— რა არის გაკეთებული ამ დროისთვის?

— არაფრის!

8. წაიკითხეთ დიალოგები და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები:

წავიყვანოთ	ვხარჯავთ	ცენტრალური
გყავთ	ტარება	დაზიანებული
დაუმონტაჟებიათ	თურმე	ღონისძიებებს
მონაკვეთი	პირობებია	გამონაბოლქვიც
	გვიფიქრია	

1)

— გამარჯობა, ნათელა, როგორ ხართ? როგორ _____ შვილი? რამდენი წლისაა თქვენი პატარა?

— ლანა, გამარჯობა, კარგად ვართ, ნინიკო უკვე ოთხი წლისაა და ახლა ბაღში გვინდა _____ _____, მაგრამ მე და ჩემს ქმარს ჯერ არ _____ რომელი ბაღი სჯობს.

— ჩემს მეგობარსაც ზუსტად ოთხი წლის შვილი ჰყავს და ბავშვი მეოთხე საბავშვო ბაღში დაჰყავს, აქვე, ახლოსაა. ის ამბობს, რომ იქ ძალიან კარგი _____, კეთილმოწყობილია, წელს _____ გათბობაც _____ _____, მასწავლებლები ძალიან მზრუნველები და ყურადღებიანები არიან. რა ვიცი, ჩემი მეგობარი ძალიან კმაყოფილია და ბავშვსაც მოსწონს იქ ყოფნა...

2)

— ბატონო რევაზ, ერთი სერიოზული პრობლემა გვაქვს.

— აბა რა პრობლემაა? გისმენთ...

— გზის ეს _____ ძალიან დაზიანებულია, ამიტომ აქ ასფალტის დაგება შეუძლებელია, ჯერ _____ ნაწილი უნდა შევაკეთოთ.

— კარგი, გასაგებია, ხვალ დილიდან დავიწყოთ სარემონტო სამუშაოები...

3)

— დაბრძანდით, ქალბატონო. ალბათ, იცით, რომ ჩვენი სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა გორის რაიონში.

— კი, ვიცი და ძალიან მინდა ჩემი შვილის თქვენს სკოლაში _____, თუ შეიძლება მითხარით, რამდენი ბავშვი სწავლობს აქ?

— ჩვენთან 200-მდე ბავშვი სწავლობს, ბევრი წარმატებული მოსწავლე გვყავს, ისინი სხვადასხვა ოლიმპიადასა და ჩემპიონატში იღებენ მონაწილეობას.

— თქვენს სკოლაშიც ატარებთ ასეთ _____?

— დიახ, რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველწლიურად დიდ თანხას _____ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების მოსაწყობად...

4)

— ნახე, როგორ გაურემონტებიათ ჩვენი სკოლა, _____ რა ლამაზი შენობა ყოფილა!

— კი, ნამდვილად, ეზოში ასფალტიც დაუგიათ, კედლებიც რა ლამაზ ფერებში შეუღებავთ. მოგწონს?

— კი, ძალიან მომწონს, შემოვლითი გზის დაგების შემდეგ ცოტა მანქანა მოძრაობს სკოლასთან, ჰაერიც სუფთაა და _____ აღარაა.

— მომავალ წელს ჩემს მეორე შვილსაც აუცილებლად ამ სკოლაში მოვიყვან...

9. ა) ჩასვით ჩარჩოში მოცემული სიტყვები შესაბამისი ფორმით საჭირო ადგილას:

საშუალო	საგზაო
სატვირთო	შეზღუდული
ცენტრალური	

საქართველოს _____ დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს ყველა _____ მაგისტრალზე მოძრაობა თავისუფალია. დიდთოვლობისა და უამინდობის გამო მოძრაობა _____ მხოლოდ რამდენიმე მონაკვეთზე, მათ შორის კობი-გუდაურის გზაზე. როგორც საგზაო დეპარტამენტის უფროსი, მიხეილ მრევლიშვილი, ამბობს, გზის ამ მონაკვეთებზე _____ სიჩქარით გადაადგილება შეუძლიათ მხოლოდ _____ და „ჯიპის“ ტიპის ავტომობილებს.

ბ) შეადარეთ ერთმანეთს ფოტოები და ისაუბრეთ მსგავსებასა და განსხვავებაზე:

10. ა) წაიკითხეთ ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები და შესიტყვებები; ისაუბრეთ სიტუაციებზე, გააქტიურეთ თითოელი სიტყვა; შექმენით ტექსტი და დაასათაურეთ:

1. _____ შეკეთებული გზები, საგზაო ნიშანი, აბრა, გზაჯვარედინი, შუქნიშანი, მიწისქვეშა გადასასვლელი, გადატვირთული მოძრაობა, უსაფრთხო გადაადგილება	2. _____ ღონისძიების გეგმა, მოწვეული სტუმრები, რაიონის გამგეობა, ფოტოგამოფენის მოწყობა, შეზღუდული შესაძლებლობა, აქტუალური პრობლემა, კეთილგანწყობილი გარემო
3. _____ დაზიანებული შენობა, ავარიული კედელი, შემოღობილი ტერიტორია, საყურადღებო ამბავი, გარე სპორტული დარბაზი, გაბზარული საძირკველი, აღჭურვილი დარბაზი, მდიდარი ბიბლიოთეკა	4. _____ თანამედროვე სტანდარტები, ახალი გარემონტებული შენობა, შეღებილი კედლები, ცენტრალური გათბობა, კეთილმოწყობილი ეზო, საბავშვო სათამაშოები, სამედიცინო კაბინეტი, მცირე ზომის სპორტული დარბაზი

ბ) მიუწერეთ სიტყვებს სინონიმები, ანტონიმები ან ახსენით:

ნიმუში: ავარიული = დანგრეული ≠ ახალგარემონტებული

სინონიმი =	**სიტყვა**	**ანტონიმი ≠**
	საყურადღებო	
	გადატვირთული	
	კეთილგანწყობილი	
	შემცირებული	
	აქტუალური	
	ეკოლოგიური	
	დაზიანებული	
	დაგეგმილი	
	უსაფრთხო	
	შეკეთებული	

გ) მისწერეთ ელექტრონული წერილი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის მენეჯერს:

წერილში მენეჯერს უნდა შეატყობინოთ ინფორმაცია სოფელ რუისის ცენტრალური გზის შესახებ, რომლის ზოგიერთ მონაკვეთზე გადაადგილება შეუძლებელია.

ტესტი I

1. მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალება:

ძვირფასო სტუდენტებო,

დღეს ჩვენი ლექციის თემაა საგზაო ინფრასტურქტურის მნიშვნელობა და საქართველოს გზები.

საგზაო ინფრასტრუქტურას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის, რადგან მასზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარება.

კეთილმოწყობილი გზები ხელს უწყობს სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ეფექტურად მოძრაობას, სწრაფად გადაადგილებასა და დროის დაზოგვას. შემოვლითი გზები დიდ ქალაქებს ათავისუფლებს ზედმეტი მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანებისაგან. გარდა ამისა, კარგად მოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურა ეხმარება ქვეყანას სატრანზიტო მოძრაობის მოწესრიგებასა და განვითარებაში. მნიშვნელოვანია, რომ სატვირთო ავტომანქანებმა, რომლებსაც შემოაქვთ ან ჩვენი ქვეყნის გავლით სხვა ქვეყნებში გააქვთ პროდუქცია, დროულად შეასრულონ შეკვეთა. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოწყობილი გზები დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გზების განვითარებას დიდი ისტორია აქვს. ამის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობაა ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, რაც მას ხდის სატრანზიტო ქვეყნად, რომლის პრიორიტეტი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაა.

არქეოლოგების ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში იყენებდნენ ტრანსპორტს, რაც საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიუთითებს.

ასევე, ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში მცხეთაში, მდინარე მტკვარზე პომპეუსის მიერ აშენებული ხიდიც განვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურის მაგალითია.

საინტერესოა ასევე ის, რომ V საუკუნეში ვახტანგ გორგასალი ზრუნავდა ქვეყანაში გზების მოწესრიგებაზე, სწორედ მან დაიწყო ქვეყანაში რთული გზების გაყვანა და მშენებლობა. გარდა ამისა, კანონის მიხედვით, ამ პერიოდში მოსახლეობას უნდა შეეკეთებინა თავიანთი ეზოების წინ მდებარე საგზაო მონაკვეთები. ასევე, ისტორიულ დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ თეიმურაზ I-ს 1638 წელს ახალი გზა გაუყვანია კავკასიის მთებში, დარიალიდან კახეთამდე.

კიდევ ბევრი შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოს გზებსა და მათი განვითარების ისტორიაზე, მაგრამ დღეს ამით დავასრულებთ ჩვენს ლექციას. მომავალ შეხვედრამდე.

ა) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი: **2.0 ქულა**

	სწორია	არ არის სწორი
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება უფრო მეტად უწყობს ხელს კულტურის განვითარებას, ვიდრე ეკონომიკის განვითარებას.		✓
საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება ბოლო პერიოში დაიწყო.		
ევროპულ ქვეყნებს გზების განვითარების უფრო დიდი ისტორია აქვთ.		
პომპეუსმა საქართველოში ხიდი ააშენა.		
მოსახლეობას თვითონ უნდა შეეკეთებინა ეზოების წინ მდებარე საგზაო მონაკვეთები.		

ბ) უპასუხეთ კითხვებს: **5.0 ქულა**

1. რას უწყობს ხელს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება?

_____

2. დაასახელეთ საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დამადასტურებელი უძველესი ფაქტი:

_____

3. ვინ გაიყვანა გზა დარიალიდან კახეთამდე?

_____

4. ვინ ააშენა ერთ-ერთი პირველი ხიდი საქართველოში?

_____

5. რატომ უწყობს კეთილმოწყობილი გზები ხელს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას?

_____

2. ჩასვით წინადადებებში მოცემული ზმნები სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით: **5.0 ქულა**

შეკეთება	გაყვანა	დაზოგვა	დაწყება	დაკმაყოფილება	დამონტაჟება

ნიმუში: ამ წელს პირველკლასელები სწავლას **იწყებენ** 15 სექტემბერს.

1. საქართველოს საგზაო დეპარტამენტი თბილისის შემოვლით გზებს მომავალ წელს _____.
2. ვანის რაიონში თანამედროვე სტანდარტების საავტომობილო გზა ჯერ არ _____ .
3. ქალბატონი ნინო ყოველთვის _____ ფულს.
4. სკოლის ძველი შენობა დაანგრიეს, რადგან ვერ _____ თანამედროვე მოთხოვნებს.
5. სოფელ კეხიჯვრის საბავშვო ბაღში ცენტრალური გათბობა არასდროს _____.

3. უპასუხეთ კითხვებს ანტონიმების გამოყენებით: **2.0 ქულა**

ნიმუში: - ქალბატონო ნინო, ხვალ **<u>თავისუფალი</u>** ბრძანდებით? - არა, სამწუხაროდ, **<u>დაკავებული</u>** ვარ.

1. - ქალბატონი ნატალია **<u>ყურადღებიანი</u>** ადამიანია? - არა _____
2. დღის ამ მონაკვეთში ცენტრალურ გზებზე მოძრაობა **<u>გადატვირთულია</u>**? - არა, _____
3. - ის აუდიტორია **<u>კეთილმოწყობილია</u>**? - არა, _____
4. - საბავშვო ბაღში აღსაზრდელების რაოდენობა **<u>გაზრდილია</u>**? - არა, _____

4. შეავსეთ ტექსტი: **10.0 ქულა**

ეს ჩვენი სოფლის სკოლაა. ადრე აქ ასამდე _____ სწავლობდა, მაგრამ დღეს ეს შენობა _____. ზოგიერთი კედელი დანგრეულია, დირექტორი ამბობს, რომ საძირკველიც დაზიანებულია. გარდა ამისა, შენობა _____, არ არის დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის _____, არ მოდის წყალი, სკოლაში _____ გვქონია თანამედროვე კომპიუტერები.

სოფლის გამგეობა ახალ პროექტზე _____, რომლის _____ ახალ სკოლას აგვიშენებენ სოფლის ბიბლიოთეკის გვერდით. ახალი შენობა _____ იქნება თანამედროვე _____ მიხედვით უახლესი კომპიუტერებით, ცენტრალური გათბობით. სკოლის დირექტორის მოთხოვნით, _____ შიდა სპორტული დარბაზიც და გარე სპორტული მოედანიც.

5. აწარმოეთ ახალი სიტყვები და გამოიყენეთ: –ულ / მ–ელ / სა– –ო / უ– –ელ / –იან : **2.5 ქულა**

ნიმუში: გიორგი ჟორჟიკაშვილი **პროფესიონალი** მშენებელია.

1. საქართველოს _____ დეპარტამენტი ასრულებს ახალ პროექტზე მუშაობას (გზა).
2. ბელა _____ გოგონაა (განათლება).
3. ქალბატონი დიანა _____ პედაგოგია (ყურადღება).
4. ნათია თბილი და _____ ადამიანია (ზრუნვა).
5. აღნიშნული პროექტი ჯერ _____ (დასრულება).

6. ჩასვით სათანადო ფორმით: **5.0 ქულა**

ნიმუში: ვანის მუნიციპალიტეტში ახალ **გზას** თვის ბოლოს **დააგებენ** (გზის დაგება).

1. ეკოლოგიური შენობა _____ (ელექტროენერგიის დაზოგვა).
2. ამ პროექტზე გამგეობა _____ (ფულის დახარჯვა).
3. პროექტის მენეჯერი მომავალ წელს რამდენიმე _____ (ღონისძიების დაგეგმვა).
4. საგზაო დეპარტამენტი ქალაქში მალე _____ (მოძრაობის მოწესრიგება)
5. გუშინ ქალაქის მერმა ხალხური სიმღერისა და ცეკვის _____ (კონცერტის გახსნა).

7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სათანადო სიტყვები და დააწყვილეთ შესაბამისი ბრუნვის ფორმასთან:

2.5 ქულა

~~შესახებ~~	მიერ	მიხედვით	გარდა	გარეშე	მიმართ

ნიმუში:

ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ მწვანე (ბაღი) _____ .
ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ მწვანე ბაღის **შესახებ**.

1. ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა თანამედროვე (სტანდარტები) _____დაიწყო.
2. ქობულეთის შემოვლითი (გზა) _____ კიდევ ბევრ ჩქაროსნულ გზას ააშენებენ მომავალ წელს.
3. ქალაქის შიდა გზების (გარემონტება) _____ მანქანებისთვის გადაადგილება რთული იქნება.
4. სპორტული დარბაზები მოწყობილია ქართველი (სპორტსმენები) _____.
5. ქალბატონი ნაირა ძალიან მზრუნველია ბაღის (ბავშვები) _____.

8. მოცემულ სიტყვებს მიუწერეთ სინონიმები: **2.0 ქულა**

ნიმუში: ავარიული - დაზიანებული

- მოწესრიგებული -
- გაყვანილი -
- კეთილმოწყობილი -
- აქტუალური -

9. დაასრულეთ წინადადებები: **10.0 ქულა**

1. გიწვევთ ახალი საბავშვო ბაღის გახსნის _____.

2. ხვალ გაიხსნება გამოფენა-გაყიდვა. გთხოვთ _____.

3. გერმანული სამშენებლო კომპანია აშენებს ეკოლოგიურად _____ სახლებს.

4. პროექტის _____ ქალაქის მერიის შენობის რემონტი წლის ბოლოსთვის დასრულდება.

5. ქალაქის ტროტუარები ადაპტირებულია შეზღუდული _____ _____ პირებისთვის.

6. ცენტრალურ გზებზე არის აბრები და საგზაო _____.

7. ქალაქის ცენტრალურ _____ მოწყობილია გამოფენა-გაყიდვა.

8. ავტობუსის _____ დილაობით ბევრი მგზავრი დგას.

9. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაყვანას 2017 წლის მარტში _____.

10. შემოვლითი გზების მშენებლობა _____ _____ ქალაქში გადატვირთული მოძრაობის მოწესრიგებას.

10. იპოვეთ შეცდომა და ჩაასწორეთ წინადადებებში: **5.0 ქულა**

1. ბევრი მოსწავლე მიიღო მონაწილეობა ღონისძიებაში.

_____

2. გიორგი დავითაშვილი განათლება მიუღია გერმანიის უნივერსიტეტში.

_____

3. მუშები ბაღის შენობაში ამონტაჟებენ ცენტრალური გათბობა.

_____

4. მზარეული გემრიელი საჭმელი მომამზადა.

_____

5. მენეჯერი ბევრი ფული ხარჯავდა ამ პროექტზე

_____

11. გახაზეთ სიტყვა, რომელიც არღვევს კანონზომიერებას: **5.0 ქულა**

ნიმუში: დღე კვირა **ინფორმაცია**

ა) კედელი	საძირკველი	მანქანა
ბ) ღონისძიება	გამოფენა	დაზოგვა
გ) მერია	აღსაზრდელი	გამგეობა
დ) ელექტროენერგია	გათბობის სისტემა	მოსახლეობა
ე) მოთხოვნა	ზრუნვა	ყურადღება

12. დაუსვით კითხვები წინადადებებში გამოყოფილ სიტყვებს: **5.0 ქულა**

კერძო კომპანია „ენერგოცენტრი საქართველო“ აცხადებს **კონკურსს**, რომელიც მიზნად ისახავს **მწვანე საბავშვო ბაღის** (1) საუკეთესო პროექტის შექმნას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების **სტუდენტებს** (2), რომლებმაც, კონკურსის პირობების მიხედვით, უნდა **დაგეგმონ** და **მოაწყონ** (3) ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ბაღი. ბაღში ივლის დაახლოებით **100 ბავშვი** (4), მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარებიც. შენობის ფართი უნდა იყოს 200 მ2 და პასუხობდეს **თანამედროვე მოთხოვნებს** (5).

ნიმუში: რა ღონისძიებას ატარებს კომპანია „ენერგოცენტრი საქართველო“?

(1) _____

(2) _____

(3) _____

(4) _____

(5) _____

13. გადაიყვანეთ ტექსტი მომავალ დროში: **10.0 ქულა**

ქალაქის მერიამ ააშენა ახალი სპორტული დარბაზი, რომელშიც მერვე სკოლის მოსწავლეებს **უტარდებათ** ფიზიკური კულტურის, ანუ სპორტის გაკვეთილები და სადაც ისინი სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებაში **იღებენ** მონაწილეობას. შენობა **აკმაყოფილებს** თანამედროვე სტანდარტებს, პროექტი **დააფინანსა** ამერიკის განვითარების ფონდმა, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში მშენებლობაზე დახარჯა 100 000 ლარი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

14. შეადარეთ ერთმანეთს სამი ნიმუში და შეავსეთ ცხრილი ქვემოთ მოყვანილი მონაცემების მიხედვით:
5.0 ქულა

ყველაზე დიდი ფართი:	
ყველაზე მეტი მოსწავლე:	
ყველაზე მეტი მასწავლებელი:	
ყველაზე მეტი კომპიუტერი:	
ყველაზე მაღალი შენობა:	

I

სკოლა:	162-ე საჯარო სკოლა
საერთო ფართი:	8000 მ²
მოსწავლეების რაოდენობა:	716
მასწავლებლების რაოდენობა:	41
კომპიუტერების რაოდენობა:	25
სართულების რაოდენობა	3

II

სკოლა:	165-ე საჯარო სკოლა
საერთო ფართი:	3246 მ2
მოსწავლეების რაოდენობა:	418
მასწავლებლების რაოდენობა:	58
კომპიუტერების რაოდენობა:	23
სართულების რაოდენობა	2

III

სკოლა:	ვანის რაიონის საჯარო სკოლა
საერთო ფართი:	1450 მ2
მოსწავლეების რაოდენობა:	254
მასწავლებლების რაოდენობა:	39
კომპიუტერების რაოდენობა:	26
სართულების რაოდენობა	1

15. წაიკითხეთ ტექსტი:

ვიქტორ გეგეშიძე პროფესიით ინჟინერია, მისი სპეციალობაა საგზაო ინჟინერია. ახლა ვიქტორ გეგეშიძე მუშაობს პროექტზე, რომლის მიზანია ზეკარის უღელტეხილზე ახალი გზის გაყვანა. მისი ინფორმაციით, დღეს გზის ეს მონაკვეთი არ არის უსაფრთხო და აქ მსუბუქი ავტომანქანებით გადაადგილება რთულია. გზა თითქმის დანგრეულია, ზოგიერთი მონაკვეთი ისეა დაზიანებული, რომ სატვირთო ავტომანქანაც კი ვერ გაივლის. ეს გზა ბოლო 30 წლის განმავლობაში არ გაურემონტებიათ, თუმცა ადრე ამ გზას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონია. ის აკავშირებდა მდინარე ლიახვისა და მდინარე თერგის აუზებს. სამშენებლო სამუშაოები მაისში დაიწყეს და უკვე 15-კილომეტრიანი მონაკვეთიც დააგეს. გზა ხარისხიანი და გამძლე უნდა იყოს, უნდა მოეწყოს მანქანის გასაჩერებელი და დასასვენებელი ადგილები, - ამბობს ვიქტორ გეგეშიძე.

უპასუხეთ შეკითხვებს: **5.0 ქულა**

1. რატომ არ არის უსაფრთხო ზეკარის უღელტეხილზე გადაადგილება?

_____

_____

2. გზის მონაკვეთი რა სიგრძის და როგორი დააგეს?

_____

_____

3. პროექტის მიხედვით, რა უპირატესობა ექნება ახალ გზას?

_____

_____

4. რას აკეთებს ვიქტორ გეგეშიძე?

_____

_____

5. რა ფუნქცია ჰქონდა ზეკარის უღელტეხილს?

_____

_____

დაწერეთ თემა: „ჩვენი გზები“ **14.0 ქულა**

აღწერეთ:

- **თქვენი სოფლის თუ ქალაქის გზების მდგომარეობა**
- **ვინ შეაკეთა ან შეაკეთებს გზას**
- **თქვენი კონკრეტული ხედვა გზების შესახებ**
- **საინტერესო ფაქტი**
- **როგორ ინფრასტრუქტურაზე ოცნებობ...**

შეფასება – თემა 14.0 ქულა:

2.0 ქულა — თემის ორგანიზება

2.0 ქულა — თემის მოცულობა (100-120 სიტყვა)

3.0 ქულა — მსჯელობა

2.0 ქულა — არგუმენტაცია, ფაქტების მართებულობა

2.0 ქულა — მორფოლოგია-ორთოგრაფია

1.0 ქულა — სინტაქსი

1.0 ქულა — პუნქტუაცია

1.0 ქულა — ლექსიკა, სტილი

IV თავი გარემო და ჯანმრთელობა

4.1. ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი

4.2. საავადმყოფოს ინფრასტრუქტურა

4.3. სპორტულ–გამაჯანსაღებელი კომპლექსი

გრამატიკა

მომავალი დრო: **ვნებითი გვარი**

მომავალი დროის მიმღეობა: **გასაკეთებელი**

კავშირები: **თან...თან...**

თანდებულები: **გარშემო, ირგვლივ**

ჩართულის მნიშვნელობით: **მართლაც, ამრიგად**

4.1. ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი

- **როგორი უნდა იყოს მუნიციპალური ტრანსპორტი?**
- **რა მდგომარეობაა დღეს თბილისში? რა და რა სახის ტრანსპორტი გადაადგილდება დედაქალაქში?**
- **რა განსხვავებაა პირველ და მეორე სურათებს შორის?**

1.1.

ა) წაიკითხეთ ტექსტი და ყურადღება მიაქციეთ ახალ სიტყვებს:

დღეს დედაქალაქში სასიამოვნო ახალი ამბავი **გავრცელდა**: სექტემბრიდან თბილისში ახალი ავტობუსები ივლის. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ და ქალაქის მერიამ **ხელშეკრულებას** ხელი დღეს მოაწერეს. კომპანია ვალდებულია, შვიდი თვის განმავლობაში თბილისის ავტოპარკისთვის 143 ავტომობილი და ავტობუსი ჩამოიყვანოს გერმანიიდან. ევროპული სტანდარტების თანახმად, ავტობუსები სრულად იქნება **ადაპტირებული** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. თითოეული ავტომობილი აღჭურვილი იქნება ბუნებრივ აირზე მომუშავე **ძრავით**. ასეთი **საწვავი** დიზელთან შედარებით უფრო მცირე რაოდენობის მავნე გამონაბოლქვს გამოყოფს, არ აქვს შავი **კვამლი** და **უსიამოვნო** სუნი. ამრიგად, თბილისში ივლის ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი. ეს ხელს შეუწყობს **გარემოს** დაცვას, რაც აუცილებელია ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

ეს ავტობუსები იქნება მგზავრებისთვის **მოხერხებული**, კეთილმოწყობილი და თბილისის მოქალაქეები და დედაქალაქის სტუმრები შეძლებენ უსაფრთხოდ და კომფორტულად მგზავრობას. ახალი ავტობუსები **გადაადგილდება** ქალაქის ნებისმიერ წერტილში.

ქალაქის მერმა „ინტერპრეს ნიუსთან“ ინტერვიუში თქვა, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც **დაფინანსდა** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდის მიერ. „უახლოეს მომავალში თბილისში ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსები ივლის. ეს თანამედროვე ევროპული ტიპის მუნიციპალური ტრანსპორტი არ **დააზიანებს** არც მოსახლეობის ჯანმრთელობას და არც გარემოს **დააბინძურებს**. გარემო ნაკლებად **დაზიანდება** და **დაბინძურდება**, როცა ხალხი ასეთი საწვავიანი ტრანსპორტით გადაადგილდება. თანაც, ეს ბევრად უფრო **ეკონომიური** იქნება და მნიშვნელოვნად დაზოგავს ქალაქის ბიუჯეტს,“ - **აღნიშნა** მან.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და შეურჩიეთ შესაბამისი სათაური:

- დედაქალაქის დაბინძურებული გარემო
- ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსები დედაქალაქში
- ახალი პროექტი საქართველოში
- დედაქალაქის სასიამოვნო სიახლე

ფრაზები:

ეკოლოგიური გარემო
ეკოლოგიურად სუფთა გარემო
ეკოლოგიური ტრანსპორტი
ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი

ახალი სიტყვები:	
რა? ძრავა საწვავი კვამლი ხელშეკრულება ხელმოწერა გარემო	**როგორი?** ადაპტირებული ეკონომიური მოხერხებული უსიამოვნო დაბინძურებული გამართული
ზმნები: ვრცელდება ფინანსდება გადაადგილდება ზიანდება ბინძურდება აღინიშნება იმართება გამოიყოფა აბინძურებს აზიანებს	

1.2. ტექსტის მიხედვით იმსჯელეთ ახალი ავტობუსების შესახებ და შეავსეთ მოცემული ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტი	
ტრანსპორტის სახეობა	ავტობუსი
საწვავი	ბუნებრივი აირი
ეკონომიურობა	
გამონაბოლქვი	
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები	
ეკოლოგიური ფაქტორი	
გადაადგილება	
ზომა	

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
გავრცელება	**გა**ვრცელდა	**ვრცელდება**	**გა**ვრცელდება	**გა**ვრცელებულა
დაფინანსება	**და**ფინანსდა	**ფინანსდება**	**და**ფინანსდება	**და**ფინანსებულა
გადაადგილება	**გადა**ადგილდა	**გადაადგილდება**	**გადა**ადგილდება	**გადა**ადგილებულა
დაზიანება	**და**ზიანდა	**ზიანდება**	**და**ზიანდება	**და**ზიანებულა
დაბინძურება	**და**ბინძურდა	**ბინძურდება**	**და**ბინძურდება	**და**ბინძურებულა
დასრულება	**და**სრულდა	**სრულდება**	**და**სრულდება	**და**სრულებულა
აღნიშვნა	**აღ**ინიშნა	**აღინიშნება**	**აღ**ინიშნება	**აღ**ნიშნულა
გამართვა	**გა**იმართა	**იმართება**	**გა**იმართება	**გა**მართულა
გამოყოფა	**გა**მოიყო	**იყოფა**	**გა**მოიყოფა	**გა**მოყოფილა

დააკვირდით!

პასიური ზმნები

ვრცელ**დება** ის

სრულ**დება** ის

ინფორმაცია სწრაფად ვრცელ**დება**.

პროექტი მალე დასრულ**დება**.

დააკვირდით!

აქტიური ზმნა – პასიური ზმნა

ავრცელებს ის მას - ვრცელდება ის

გადააადგილებს ის მას - გადაადგილდება ის

აზიანებს ის მას - ზიანდება ის

აბინძურებს ის მას - ბინძურდება ის

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
ავრცელებს	გავრცელება	ვრცელდება
აფინანსებს	დაფინანსება	ფინანსდება
აადგილებს	გადაადგილება	გადაადგილდება
აზიანებს	დაზიანება	ზიანდება
აბინძურებს	დაბინძურება	ბინძურდება
ასრულებს	დასრულება	სრულდება
აღნიშნავს	აღნიშვნა	აღინიშნება
მართავს	გამართვა	იმართება
ყოფს	გამოყოფა	იყოფა

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
გავრცელება	**გა**ავრცელა	**ავრცელებს**	**გა**ავრცელებს	**გა**უვრცელებია
დაფინანსება	**და**ااფინანსა	**აფინანსებს**	**და**ااფინანსებს	**და**უფინანსებია
გადაადგილება	**გადა**ااადგილა	**გადااადგილებს**	**გადა**ااადგილებს	**გადა**უადგილებია
დაზიანება	**და**ااზიანა	**აზიანებს**	**და**ااზიანებს	**და**უზიანებია
დაბინძურება	**და**ااბინძურა	**აბინძურებს**	**და**ااბინძურებს	**და**უბინძურებია
დასრულება	**და**ااსრულა	**ასრულებს**	**და**ااსრულებს	**და**უსრულებია
აღნიშვნა	**აღ**ნიშნა	**აღნიშნავს**	**აღ**ნიშნავს	**აღ**უნიშნავს
გამართვა	**გა**მართა	**მართავს**	**გა**მართავს	**გა**უმართავს
გამოყოფა	**გა**მოყო	**ყოფს**	**გა**მოყოფს	**გა**მოუყვია

დააკვირდით!

ხელშეკრულება
ხელმოწერა

გუშინ ხელი მოაწერეს ახალ **ხელშეკრულებას**.
ეს ჩემი **ხელმოწერაა**.

1.3. ჩასვით გამოტოვებულ ადგილას საჭირო ზმნები:

ნიმუში:
მუნიციპალური და კერძო ტრანსპორტი საღამოს საათებსა და დასვენების დღეებში თბილისის ცენტრალურ ქუჩებში თავისუფლად ვერ გადაადგილდება.

გადااადგილებს – გადაადგილდება
დااასრულებს – სრულდება; دااბინძურებს – ბინძურდება;
دااზიანებს – ზიანდება; გაავრცელებს – ვრცელდება.

1. მანქანების გამონაბოლქვი მთელ ქალაქში _____.
2. ცუდი საწვავის გამო გარემო _____.
3. დღესასწაულებზე ქუჩები ყოველთვის _____.

1.4. დააკავშირეთ ზმნები შესაბამის სიტყვებთან:

ფინანსდება	გარემო
გადაადგილდება	ბიუჯეტი
იზოგება	პროექტი
ბინძურდება	ავტობუსი
გამოიყოფა	**გამონაბოლქვი**

1.5. გადააკეთეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:
ქალაქის მერიამ გუშინ ახალი ინფორმაცია **გაავრცელა**.
გუშინ ახალი ინფორმაცია **გავრცელდა**.

1. პროექტის მიხედვით, საქართველოს პატარა ქალაქებსა და სოფლებში გზებს შეაკეთებენ.
2. ცუდ საწვავზე მომუშავე ძრავა აბინძურებს გარემოს.
3. გუშინდელმა ძლიერმა ქარმა დააზიანა შენობები.
4. პროექტზე მუშაობას წლის ბოლოსთვის დავასრულებთ.
5. ქარელის გამგებლის აზრით, ავტობუსების პარკს დეკემბერში გაარემონტებენ.

1.6. დააკვირდით სურათებს და ისაუბრეთ, რა აქვთ მათ საერთო. გამოიყენეთ ზმნები:

აბინძურებს - ბინძურდება; ავრცელებს - ვრცელდება; აზიანებს - ზიანდება; ასრულებს - სრულდება.

1.7. წაიკითხეთ დიალოგები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ა)

— გამარჯობა, თბილისში ხშირად _____ ავტობუსით?

— კი, სამსახურში ყოველთვის ავტობუსით მივდივარ.

— როგორ მოგწონთ ახალი ლურჯი ავტობუსით მგზავრობა?
— ძალიან კომფორტულია, დიდია და ბევრ ადამიანს შეუძლია მგზავრობა, გარდა ამისა, ეს ავტობუსები _____ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მე ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე საზოგადოებისთვის...

ბ)

— ბატონო დავით, თუ შეიძლება, გვითხარით, როდის _____ თბილისის მოქალაქეები და დედაქალაქის სტუმრები ახალი ავტობუსებით მგზავრობას?
— დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის, ახალი ავტობუსები სექტემბრიდან ივლის ჩვენს დედაქალაქში.
— რით არის გამორჩეული ეს ტრანსპორტი?
— პირველ რიგში, ახალი ავტობუსები მგზავრებისთვის არის მოხერხებული და _____ _____, ასევე არის _____, მუშაობს ბუნებრივ აირზე. ეს საწვავი კი ხელს უწყობს _____ დაცვას...

4.2. საავადმყოფოს ინფრასტრუქტურა

2.1.

ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

_____

ხელმისაწვდომი ფასები და პროფესიონალი ექიმები - სწორედ ამით იქნება **გამორჩეული** ახალი საავადმყოფო, რომელიც შენდება ქალაქ ქუთაისში. საავადმყოფოს მშენებლობა დაახლოებით ორ წელში დასრულდება. ეს იქნება რამდენიმე ობიექტისგან შემდგარი კომპლექსი, 220-ადგილიანი.

იქნება ცენტრალური **კორპუსი, სადაც** ექიმები მიიღებენ პაციენტებს. აქ მათ ჩაუტარდებათ სხვადასხვა **გამოკვლევა**. აქვე იქნება **პალატები**, სადაც დააწვენენ იმ პაციენტებს, რომლებსაც **გადაუდებელი** სამედიცინო დახმარება დასჭირდებათ. **საოპერაციო** ბლოკში **ოპერაციებს** 24 საათის განმავლობაში გააკეთებენ. ამავე კორპუსშია დაგეგმილი **რეგისტრატურის** მოწყობა. საავადმყოფოს **გარშემო** დიდი ეზოა, სადაც ცალკე აშენდება კვებისა და სამრეცხაო კორპუსები. კლინიკის ტერიტორიაზე **განთავსდება**, ასევე, სასწავლო კორპუსი და ბიბლიოთეკა, სადაც სამედიცინო პროფილის სტუდენტები მშვიდ და სასიამოვნო გარემოში შეძლებენ მეცადინეობას. კლინიკაში სამკურნალოდ ჩამოყვანილი პაციენტების ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის დაგეგმილია სასტუმროს მშენებლობაც. აქვე განთავსდება **სპორტულ-გამაჯანსაღებელი** ცენტრი, წყლის აუზი ავტოსადგომი და პარკი.

მშენებლობის დასრულების შემდეგ კლინიკაში 600-მდე ადამიანი დასაქმდება.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როგორი იქნება ახალი საავადმყოფო?
2. რა შემთხვევაში დააწვენენ პაციენტს პალატაში?
3. როგორ რეჟიმში იმუშავებს საოპერაციო ბლოკი?
4. რა არის მთავარი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მქონე კლინიკის მუშაობისთვის?

ახალი სიტყვები:	
რა? კლინიკა გამოკვლევა პალატა ოპერაცია რეგისტრატურა ბლოკი კორპუსი	**როგორი?** ხელმისაწვდომი გამორჩეული გადაუდებელი განთავსებული განხორციელებული საოპერაციო
ზმნები: განთავსდება ხორციელდება	

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	**დღეს**	**ხვალ**	**ჯერ არ**
განთავსება	**გ**ანთავსდა	**განთავსდება**	**გ**ანთავსდება	**გ**ანთავსებულა
განხორციელება	**გ**ანხორციელდა	**ხორციელდება**	**გ**ანხორციელდება	**გ**ანხორციელებულა

ფრაზები:

გადაუდებელი სამედიცინო დახმარება
საავადმყოფოს გარშემო
სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი

2.2. სიტყვებს შეურჩიეთ სწორი სინონიმური მნიშვნელობის ფორმები:

პალატა	ა) ექიმის კაბინეტი ბ) პაციენტის ოთახი გ) მისაღები
რეგისტრატურა	ა) მიმღები განყოფილება ბ) ადგილი, სადაც არიან პაციენტები გ) ოთახი, სადაც მუშაობს ექიმი
კლინიკა	ა) სპორტული დარბაზი ბ) საავადმყოფო გ) ექიმის კაბინეტი
გამოკვლევა	ა) მდგომარეობის შესწავლა ბ) მდგომარეობის დაზიანება გ) მდგომარეობის გამოსწორება

2.3. სიტყვები საჭირო ფორმით ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:

ხელმისაწვდომი	გარშემო
გამორჩეული	ჩაუტარდებათ
ოპერაციას	

1. ჩვენი უბნის ახალ სპორტულ ცენტრში _____ ფასებია.
2. კლინიკა „მედიში“ პენსიონრებს უფასო გამოკვლევა _____.
3. ცნობილი ამერიკელი ექიმი 3 წლის მარიამ ზედელაშვილს ურთულეს _____ თბილისში გაუკეთებს.
4. კლინიკის _____, კეთილმოწყობილი პარკი გაშენდება.
5. ეკატერინე გველესიანი კლინიკაში _____ ექიმია.

2.4. დაუკავშირეთ ერთმანეთს სინონიმები:

გადაუდებელი	იაფი
ხელმისაწვდომი	სასწრაფო
გამორჩეული	მნიშვნელოვანი
აქტუალური	შეკეთებული
გარემონტებული	განსაკუთრებული
ყურადღებიანი	**მზრუნველი**

2. 5. მოისმინეთ დიალოგი და დაალაგეთ თანმიმდევრულად:

დიალოგი 1:

— დიახ, ოთხშაბათს, ხუთ საათზე, ბატონი ჯაბა თავისუფალია, ჩაწერილი ხართ. მისაღებში მობრძანდით.
— გამარჯობა, რეგისტრატურაა?
— კლინიკა „ფარმაცია“ გისმენთ.
— ძალიან კარგი, ესე იგი ოთხშაბათს შემიძლია მოვიდე?
— მე ექიმ ჯაბა დიასამიძის პაციენტი ვარ და მასთან ჩაწერა მინდა.
— გმადლობთ.
— არა, არსად არ მიდის, მთელი კვირა თბილისშია და პაციენტებს იღებს.
— ბატონი ჯაბა თბილისშია? სადმე ხომ არ მიემგზავრება?
— თან გქონდეთ პასპორტი.
— კი, ბატონო. როდის გნებავთ ჩაწერა?

დიალოგი 2:

— დიდი მადლობა.
— ალო, კლინიკა „არდია“?
— ჩამწერეთ, თუ შეიძლება.
— დიახ, მისაღებიც და ბატონი არჩილის კაბინეტიც პირველ სართულზეა განთავსებული, პალატები, საოპერაციო ბლოკი, გამოკვლევა - მესამე სართულზე.
— სამშაბათს, სამზე.
— კარგად ბრძანდებოდეთ.
— გამოკვლევის ჩატარება მინდა. როდის იქნება თავისუფალი ბატონი არჩილი?
— დიახ, გისმენთ.
— ჩაწერილი ხართ, მობრძანდით სამშაბათს სამზე მისაღებში.
— მისაღები ბატონი არჩილის კაბინეტის გვერდითაა?

2.6. ნიმუშის მიხედვით დააკავშირეთ სურათები და სახელწოდებები:





- რეგისტრატურა - 7
- მთავარი კორპუსი -
- საოპერაციო ბლოკი -
- ექიმის კაბინეტი -
- პალატა -
- სასტუმრო -
- კაფე -

4.3. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი

3.1. წაიკითხეთ ტექსტი და დააკავშირეთ სურათებთან. ტექსტის წაკითხვის შემდეგ აღწერეთ სურათები:

1

2

3

წლების განმავლობაში დედაქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის პრობლემა **აქტუალური** იყო. არ არსებობდა კეთილმოწყობილი და ხელმისაწვდომი სპორტული დარბაზები, გამაჯანსაღებელი **კომპლექსები** და ცენტრები, სადაც თბილისის მოქალაქეები და სტუმრები შეძლებდნენ ვარჯიშს და იზრუნებდნენ ჯანმრთელობაზე. დღეს ეს პრობლემა უკვე **მოგვარებულია**, თბილისში უკვე არაერთი სპორტული დარბაზი გაიხსნა.

_____ **ლილოს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი:** სპორტული კომპლექსის მშენებლობა გასულ წელს დაიწყო, თუმცა დაფინანსების პრობლემების გამო სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილ ვადაში ვერ დასრულდა. წელს შენობა სრულად გარემონტდა და მზად არის **მომხმარებლების** მისაღებად. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი აღჭურვილია თანამედროვე ველოტრენაჟორებით, სარბენი ბილიკებით, სავარჯიშო სავარძლებით.

_____ **ვაკის საცურაო აუზი:** ვაკის საცურაო აუზი ყოველდღე 24 საათიანი რეჟიმით მუშაობს, რაც ძალიან მოსახერხებელია მათთვის, ვინც მთელ დღეს სამსახურში ატარებს. ვაკის საცურაო აუზი მომხმარებლებს სთავაზობს მაღალი დონის **მომსახურებას**. ეს საცურაო აუზი საქართველოში ყველაზე დიდი და კეთილმოწყობილია. აქ არის სამი სატრენაჟორო დარბაზი, მასაჟის კაბინეტი და ა.შ. სპორტულ კომპლექსში შექმნილი სასიამოვნო გარემო დაგეხმარებათ, დაისვენოთ მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, აქ მომუშავე პროფესიონალები იზრუნებენ თქვენს ჯანმრთელობაზე.

_____ **ჯანმრთელობის კუთხე:** ჯანმრთელობის კუთხე არის მრავალფუნქციური გამაჯანსაღებელი კლინიკა, სადაც შეიძლება პროფესიონალი ექიმების მომსახურებისა და დახმარების მიღება. გარდა ამისა, კლინიკაში მოწყობილია მცირე სპორტული დარბაზი, სადაც პაციენტებისთვის ტარდება სხვადასხვა ვარჯიში. დარბაზში დგას მაღალი **ხარისხის** თანამედროვე ტრენაჟორები, რომლებზეც ყველას შეუძლია ვარჯიში, ვისთვისაც **ჯანსაღი** ცხოვრება მნიშვნელოვანია. კლინიკის მენეჯმენტი მომსახურების სფეროში გამართულად მუშაობს, ამიტომ პაციენტი ყოველთვის კმაყოფილია. გარდა ამისა, შენობის **ირგვლივ** ლამაზი პარკია, სადაც სუფთა ჰაერზე სხვადასხვა სპორტული ღონისძიება **იმართება**.

... + ნათ. ბრ. + **ის ირგვლივ**; ------+**ის გარშემო**
შენობ**ის ირგვლივ** შენობ**ის გარშემო**

ფრაზები:
სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი
შენობის ირგვლივ
შენობის გარშემო

ახალი სიტყვები:	
ვინ? მომხმარებელი **რა?** მომსახურება ხარისხი კომპლექსი	**როგორი?** მოგვარებული მოსახერხებელი გამართული ჯანსაღი გამაჯანსაღებელი

3.2. ა) შეარჩიეთ შესიტყვება და ესაუბრეთ მეწყვილეს ამ თემაზე:



ბ) შემოხაზეთ სწორი ვარიანტი ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ეკონომიური ტრანსპორტი	ა) ბევრ საწვავს ხარჯავს ბ) ცოტა საწვავს ხარჯავს გ) კომფორტულია
ხელმისაწვდომი ფასი	ა) ძვირი ბ) იაფი გ) ზომიერი
გამორჩეული ნივთი	ა) არ ჰგავს სხვებს ბ) კარგად არის არჩეული გ) ისეთია, როგორც სხვა მსგავსი ნივთი
გადაუდებელი დახმარება	ა) ფულის გადახდა ბ) დახმარება, რომელიც არ არის საჩქარო გ) დახმარება, რომელიც აუცილებელია
აქტუალური პრობლემა	ა) მნიშვნელოვანი პრობლემა ბ) უმნიშვნელო პრობლემა გ) მოგვარებული პრობლემა

3.3. ა) წაიკითხეთ პრეზენტაციის ტექსტი. ყურადღება მიაქციეთ მისალმებისა და დამშვიდობების ფორმებს, შეჯამებასა და გადაბმებს:

მისალმება	ძვირფასო სტუმრებო, **მოგესალმებით**, დიდი მადლობა მობრძანებისთვის. მე გახლავართ ნანა გოგოლაძე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მენეჯერი.
მიზნები	ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზანია წარმოგიდგინოთ ახალი სპორტული დარბაზი.
საჭიროება	პრეზენტაციის დაწყებამდე მინდა გკითხოთ: რა არის **ჯანსაღი ცხოვრების წესი**? რატომ უნდა ვიაროთ სპორტულ დარბაზში? მნიშვნელოვანია თუ არა ფიზიკური ვარჯიში ჩვენი ჯანმრთელობისთვის?
პრობლემა	ეს პრობლემა ძალიან აქტუალურია, დღეს ბევრი ჩვენგანი დაკავებულია, მთელ დღეებს სამსახურში ვატარებთ და ნაკლებად ვფიქრობთ ჩვენს ჯანმრთელობაზე, დასვენებაზე. **მართლაც**, ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ყოველდღიურ პრობლემებზე ვიფიქროთ.
ძლიერი მხარეები	**ამრიგად**, ჩვენი ცენტრი დაგეხმარებათ, რომ იცხოვროთ ჯანსაღად და სწორად. გვინდა აღვნიშნოთ, რომ სპორტული დარბაზი აღჭურვილია უახლესი ტრენაჟორებით, რომლებსაც აქვთ მრავალი ფუნქცია და რომლებიც ხელს შეუწყობენ თქვენს ჯანმრთელობას.
სამომავლო გეგმები	ახლა მინდა ვილაპარაკო სამომავლო გეგმების შესახებ. ჩვენ მრავალი ღონისძიების ჩატარებას ვგეგმავთ ჩვენი კლიენტებისთვის. მაგალითად, შაბათობით გვექნება გაკვეთილები ბუნებაში - ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. ჩვენ, ასევე, ვგეგმავთ ჩამოვიყვანოთ უცხოელი ინსტრუქტორები, რომლებიც ჩაუტარებენ ჩვენს მომხმარებლებს ტრენინგს.
დამშვიდობება	დაბოლოს, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მობრძანებისთვის. გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს.

ა) დაწყვილდით, წაიკითხეთ ფრაზები და თითოეულმა შექმენით წინადადებები:

ფრაზები:
მოგესალმებით
გვინდა აღვნიშნოთ
ამრიგად
მართლაც
გისურვებთ წარმატებებს
დაბოლოს

დაიმახსოვრეთ!

გაკეთებ**ულ**ი - გა**სა**კეთებ**ელ**ი
დამთავრებ**ულ**ი - და**სა**მთავრებ**ელ**ი
გარემონტებ**ულ**ი - გა**სა**რემონტებ**ელ**ი

ფრაზები:
თან ვმუშაობ, **თან** ვსწავლობ.

3.4. დაწყვილდით, შექმენით მსგავსი საპრეზენტაციო ტექსტი და წარუდგინეთ აუდიტორიას. გამოიყენეთ შემდეგი ფრაზები:

მოგესალმებით	მართლაც
გისურვებთ წარმატებებს	განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ...
გვინდა აღვნიშნოთ, რომ...	ახლა უნდა ვილაპარაკოთ შემდეგ პრობლემაზე...
ჩემი აზრით	ჩვენ დაგეხმარებით...
ამრიგად	ჩვენი მიზანია...
	დაბოლოს

3.5. ა) მოისმინეთ დიალოგი:

ბ) უპასუხეთ შეკითხვებს:

- თქვენი აზრით, სად მუშაობს ქალბატონი ნატალია? რატომ ფიქრობთ ასე?
- ვინ შეიძლება იყოს ელისო? რატომ ფიქრობთ ასე?
- რა შეიძლება ვუწოდოთ ელისოს ცხოვრების წესს?

3.6. ფრჩხილებში მოცემული სიტყვები ჩასვით სათანადო ფორმით:

1. ინფორმაცია ახალი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის გახსნის შესახებ სწრაფად _____ (გავრცელება).
2. მრავალი მანქანის გამო ქალაქში დიდი მოძრაობაა და ამიტომ ცენტრალური გზები _____ (დაზიანება)
3. ცუდი ხარისხის საწვავისა და გამონაბოლქვის გამო გარემო _____(დაბინძურება).
4. ინფორმაცია სპორტულ სკოლაში მოსწავლეების მიღების შესახებ_____ (განთავსება) ინტერნეტში.
5. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი წლის ბოლოსთვის _____(გარემონტება).

V თავი წყლის რესურსები

5.1. სასმელი წყალი თბილისში

5.2. საქართველოს წყალსაცავები და ჰესები

5.3. საირიგაციო სისტემა

გრამატიკა

I თურმეობითი: **ვნებითი გვარი**

თანდებულები: **მაგივრად, ნაცვლად**

სხვათა სიტყვის ნაწილაკები: **–მეთქი, –თქო**

კონსტრუქცია: **მოდი გავაკეთოთ**

5.1. სასმელი წყალი თბილისში

- **სვამთ თუ არა წყალს ონკანიდან და რატომ იქცევით ასე?**
- **რა იცით წყლის უსაფრთხოებაზე ზრუნვის შესახებ?**
- **თუ იცით, რომელი კომპანია ამარაგებს წყლით თქვენს რაიონს?**

1.1. **ა) წაიკითხეთ ტექსტები და თითოეულს შეურჩიეთ შესაბამისი სათაური:**

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (GWP) უმსხვილესი კომპანიაა საქართველოში. ის თბილისის მოსახლეობას ხარისხიანი **სასმელი** წყლით **ამარაგებს**.

დედაქალაქის **წყალმომარაგებაზე** კომპანიის 2300-მდე თანამშრომელი ზრუნავს. სასმელი წყალი თითქმის ნახევარ მილიონ **აბონენტს მიეწოდება**.

წყლის **მოხმარება** სრულიად უსაფრთხოა თბილისში. ეს იმას ნიშნავს, რომ სასმელი წყლის ხარისხი დედაქალაქში **სრულად** აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნებს. სასმელი წყლის ხარისხი მუდმივად **მოწმდება**. კონტროლი **ხორციელდება** 53 პუნქტის მიხედვით. ზოგი მათგანი საათში ერთხელ **კონტროლდება** კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ქიმიური ლაბორატორიის სპეციალისტების მიერ, ზოგი - წელიწადში ერთხელ. როგორც კომპანიის მენეჯერი აღნიშნავს, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი განსაკუთრებით მკაცრია ზაფხულში. გარდა ამისა, **წყალდიდობისა** და დიდი წვიმების დროს ტარდება დამატებითი გამოკვლევები.

სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, დაზიანებულია კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 600-მილიმეტრიანი მაგისტრალური მილი. ადგილზე სასწრაფოდ მივიდა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სამუშაო ჯგუფი და დაზიანებული მონაკვეთის **აღდგენა** დაიწყო.

კომპანიის სამგორის რაიონის განყოფილების მენეჯერის ინფორმაციით, სამუშაო პროცესს ართულებს ავარიული შენობა-**ნაგებობები**, რის გამოც საჭიროა უსაფრთხოების წესების დაცვა.

კომპანია ავრცელებს შემდეგ **განცხადებას**: ავარიული მდგომარეობის გამო ხვალ, 17 ნოემბერს, საღამოს 18:00 საათიდან 18 ნოემბრის დილის 11:00 საათამდე, წყალმომარაგება **შეწყდება**: სამგორის რაიონში კახეთის გზატკეცილსა და ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში.

დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ ცხელ ხაზზე – 2 93 11 11.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტები და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როგორ ამოწმებენ თბილისში სასმელი წყლის ხარისხს?
2. თქვენი აზრით, რა სახის დამატებით კვლევას ატარებენ წყალდიდობისა და დიდი წვიმების დროს?
3. როგორ ფიქრობთ, რატომ არის რთული წყალსადენი მილის შეკეთება?

ახალი სიტყვები:	
რა? სასმელი ონკანი აბონენტი წყალმომარაგება წყალდიდობა მოხმარება საშინელება აღდგენა ნაგებობა განცხადება	**როგორი?** მკაცრი დეტალური **როგორ?** აბსოლუტურად
ზმნები: მარაგდება მიეწოდება მოწმდება წყდება კონტროლდება ამარაგებს	

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
მომარაგება	**მო**მარაგდა	**მარაგდება**	**მო**მარაგდება	**მო**მარაგებულა
მიწოდება	**მი**ეწოდა	**მიეწოდება**	**მი**ეწოდება	**მი**წოდებულა
შემოწმება	**შე**მოწმდა	**მოწმდება**	**შე**მოწმდება	**შე**მოწმებულა
შეწყვეტა	**შე**წყდა	**წყდება**	**შე**წყდება	**შე**წყვეტილა
განხორციელება	**განხ**ორციელდა	**ხორციელდება**	**განხ**ორციელდება	**განხ**ორციელებულა
გაკონტროლება	**გა**კონტროლდა	**კონტროლდება**	**გა**კონტროლდება	**გა**კონტროლებულა

ფრაზები:

უსაფრთხოების წესების დაცვა

დეტალური ინფორმაციის მიღება

ა) დააკავშირეთ ფორმები:

უსაფრთხოების	შეწყვეტა
დეტალური	მიწოდება
წყალმომარაგების	ზომები
ბუნებრივი აირის	ინფორმაცია
წყლის ხარისხის	კონტროლი

ბ) დაწყვილდით და იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- სასმელი წყლის ხარისხი დედაქალაქში
- **კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“** (GWP)
- ცხელი ხაზის ფუნქცია
- უსაფრთხოების წესების დაცვა

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
ამარაგებს	მომარაგება	მარაგ**დება**
აწოდებს	მიწოდება	მიეწო**დება**
ამოწმებს	შემოწმება	მოწმ**დება**
წყვეტს	შეწყვეტა	წყ**დება**
ახორციელებს	განხორციელება	ხორციელ**დება**
აკონტროლებს	გაკონტროლება	კონტროლ**დება**

1.3. მოისმინეთ და შეავსეთ დიალოგი:

— დედა, წყალი არ _____?
— არა, შვილო, არ მოდის, დღეს _____ _____,
— რა საშინელებაა, ნეტა, მთელი დღე არ იქნება წყალი?
— ტელევიზორში _____, მთელი დღე არ იქნებაო.
— ნეტა რა მოხდა?
— თბილისის წყლის კომპანიის _____, სადღაც _____ _____ მილი.
— სად? სად დაზიანდა?
— არ ვიცი, კარგად ვერ გავიგე.
— რა საშინელებაა...

1.4. ა) წაიკითხეთ განცხადება:

განცხადება

სტიქიური მოვლენებისა და დიდთოვლობის გამო დაზიანდა თბილისის გლდანის რაიონის ცენტრალური წყალსადენი. ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რის გამოც გლდანის რაიონს 15 იანვარს წყლის მიწოდება შეუწყდება დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე. აღნიშნული უხერხულობისთვის კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ბოდიშს უხდის გლდანის რაიონის მოსახლეობას.

დაიმახსოვრეთ!

აქტიური ზმნა – პასიური ზმნა
ამარაგებს ის მას - მარაგდება ის
მო**უ**მარაგებ**ია** მას ის - მომარაგებ**ულა** ის

ბ) კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხეთ განცხადება:

- ისაუბრეთ, თუ რით განსხვავდება ის ამავე თავში მოცემული პირველი განცხადებისგან.
- რა დანიშნულება აქვს ამ ტექსტს?
- იპოვეთ ტექსტში განცხადებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ფრაზები.

1.5. შეცვალეთ ზმნები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:
მავნე გამონაბოლქვი **აბინძურებს** გარემოს. მავნე გამონაბოლქვს გარემო **დაუბინძურებია**.

1. სასმელი წყლის მდგომარეობა მუდმივად **კონტროლდება** კომპანიის სპეციალისტების მიერ.
2. ბუნებრივი აირის მიწოდება ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას თვის ბოლომდე არ **შეუწყდება**.
3. წყლის ხარისხი საათში ერთხელ **მოწმდება** კომპანიის ლაბორატორიაში.
4. საქართველოს მოსახლეობას ელეტროენერგია შეუფერხებლად **მიეწოდება**.
5. ინფრასტრუქტურის მინისტრმა **აღნიშნა**, რომ დედაქალაქის ხარისხიანი სასმელი წყლით მომარაგება ადვილი არ არის.

მოდი + II კავშირებითი
მოდი, გავაკეთოთ; მოდი, დავწეროთ; მოდი, წავიდეთ.
მოდი, დავრეკოთ კომპანიის ცხელ ხაზზე.
მოდი, ახლავე შევაკეთოთ.

ფრაზები:
მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები

1.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

— ხვალ გამოცდა გვაქვს და ეს პროექტი აუცილებლად _____ _____.
— კი, უნდა დავასრულოთ, მაგრამ ჯერ ეს ორი დავალება უნდა დავწეროთ.
— რა უნდა გავაკეთოთ?
— უნდა _____ _____ და ინტერვიუ.
— კარგი და რით დავიწყოთ?
— ჯერ _____ _____, ხოლო შემდეგ _____ _____ _____.
— მართალი ხარ, მოდი, ასე გავაკეთოთ...

5.2. საქართველოს წყალსაცავები და ჰესები

წყალსაცავი – წყლის დასაგროვებელი და შესანახი ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

ირიგაცია – სარწყავი სისტემა.

2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

საქართველოს წყალსაცავები

ჰიდროელექტროსადგური

(**ჰ**იდრო **ე**ლექტრო**ს**ადგური - **ჰესი**)

ელექტროსადგურში იყენებენ წყლის ენერგიას. ჰიდროელექტროსადგურებს ძირითადად აშენებენ მდინარეებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე 40-ზე მეტი წყალსაცავია. აქ დაგროვილი წყალი ძირითადად გამოყენებულია **ჰიდროელექტროსადგურების** ასამუშავებლად და **ირიგაციისთვის**. მათ იყენებენ ასევე თევზის მეურნეობის მოსაწყობად.

ფართობით უდიდესია წალკის წყალსაცავი (33,7 კმ^2), ჯვრის წყალსაცავი კი ყველაზე ღრმაა (226 მ). წალკის წყალსაცავი **ემსახურება** ორ ჰესს — ხრამჰეს I-სა და ხრამჰეს II-ს.

თბილისშიც მდებარეობს წყალსაცავი, რომელსაც თბილისის ზღვა ჰქვია. 1951 წელს საირიგაციო მიზნით შეუქმნიათ. სამგორის ტერიტორიაზე წვიმა ძალიან იშვიათად მოდიოდა და ბევრი წყალი იყო საჭირო.

ასე იქმნებოდა თბილისის ზღვა.

დღევანდელი ვარკეთილის მიდამოები

1951 წლის ფოტო.

წყალსაცავში არხით ჩაედინება ივრის **ანკარა** წყალი. არხზე მოწყობილია სამი მცირე ზომის ელექტროსადგური. მორწყვამ სამგორის ველზე **ააღორძინა სამეურნეო** ცხოვრება. 4000 ჰექტარ ფართობზე გაშენდა მეურნეობები, ვენახები და ხეხილის ბაღები.

მთელი ზაფხულის განმავლობაში სიცხით შეწუხებული თბილისელები თბილისის ზღვაზე ადიან და ისვენებენ. გარდა ამისა, 250 ჰექტარ ფართობზე განთავსებულია დენდროპარკი, სადაც სამასამდე იშვიათი ჯიშის მცენარე იზრდება. ის თბილისის ზღვის მშვენებას **წარმოადგენს**.

ენგურჰესის მომრგვალებული კაშხალი ატარებს ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის სტატუსს.

ენგურჰესი ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური და უზარმაზარი კომპლექსია. ის მდებარეობს მდინარე ენგურზე და შენდებოდა 1961-1978 წლებში.

საქართველოს მდიდარი ჰიდრორესურსების გამოყენებაზე ფიქრი პირველად ნიკო ნიკოლაძემ დაიწყო XX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ მდინარე ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის აგებისკენ პირველი **ნაბიჯი** 50-იანი წლების მეორე ნახევარში **გადაიდგა**. საბოლოო პროექტი 1965-1970-იან წლებში შეიქმნა, მშენებლობა კი 1961 წელს დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა ენგურჰესის მშენებლობისა და მისი ეფექტური მუშაობის საკითხს, დღეს ეს კომპლექსი ერთ-ერთი წარმატებული საინჟინრო პროექტია, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებს მთელ საქართველოს და რომელიც ყოველთვის **იწვევს** უცხოელი სპეციალისტების დიდ **ინტერესს უცნაური** ფორმის გამო.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1) რა მიზნით აშენებენ ხელოვნურ წყალსაცავებს?
2) თქვენი აზრით, რით არის გამორჩეული ენგურჰესი და რატომ იწვევს ის უცხოელი სპეციალისტების ინტერესს?
3) რატომ აქვს თბილისის ზღვას განსაკუთრებული მნიშვნელობა?
4) რას აქვს და რის გამო ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის სტატუსი?

ახალი სიტყვები:	
რა? ნაკადი არხი ინტერესი ირიგაცია ნაბიჯი	**როგორი?** საირიგაციო/მოსარწყავი ანკარა/სუფთა უცნაური სასოფლო-სამეურნეო მიმდებარე უზარმაზარი
ზმნები: ემსახურება ხორციელდება წარმოადგენს აღორძინებს იყენებს იწვევს	

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	**დღეს**	**ხვალ**	**ჯერ არ/თურმე**
მომსახურება	**მო**ემსახურა	**ემსახურება**	**მო**ემსახურება	**მო**მსახურებია
წარმოდგენა	**წარმო**ადგენდა	**წარმოადგენს**	**წარმო**ადგენს	**წარმო**დგენილა
ხორციელდება	**გან**ხორციელდა	**ხორციელდება**	**გან**ხორციელდება	**გან**ხორციელებულა
აღორძინება	**ა**ღორძინა	**აღორძინებს**	**ა**ღორძინებს	**ა**ღორძინებია
გამოყენება	**გამო**იყენა	**იყენებს**	**გამო**იყენებს	**გამო**უყენებია

ფრაზები:

მთელი ზაფხულის განმავლობაში
ენერგიის წყარო
ეჭვის თვალით უყურებდა
ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის სტატუსი
გამოთქვეს აზრი
ნაბიჯი გადაიდგა
მიუხედავად იმისა, რომ
იწვევს ინტერესს
ეჭვის თვალით უყურებდა

2.2. სავარჯიშო 2.1. ტექსტის მიხედვით აღწერეთ წალკის წყალსაცავი, თბილისის ზღვა და ენგურჰესი. ცხრილში ჩამოწერეთ ძირითადი ინფორმაცია და ისაუბრეთ თითოეულ მათგანზე:

წალკის წყალსაცავი

ენგურჰესი

თბილისის ზღვა

2.3. დააკავშირეთ სინონიმური წყვილები და შეადგინეთ წინადადებები:

უდიდესი	გამოყენება
აბსოლუტურად	უზარმაზარი
წყალმომარაგება	წყლის მიწოდება
წესები	მთლიანად
მოხმარება	კანონები
ხელშეწყობა	დახმარება

2.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები:

ემსახურება	ხორციელდება
მიწოდება	აღდგენა
გაუმჯობესება	

1. სარემონტო სამუშაოები _____ ქალაქის მერიის მიერ.
2. სასმელი წყლის _____ გუშინ მთელი დღით შეწყდა.
3. ობიექტს _____ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“.
4. დაზიანებული ისტორიული შენობის _____ შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
5. მდგომარეობის _____ მიზნით მერიამ მიიღო სასწრაფო ზომები.

2.5. დააკავშირეთ ერთი და იმავე მნიშვნელობის ზმნები და განმარტეთ თითოეული:

წარმოადგენს	მიდის
კონტროლდება	არის
აგროვებს	მუდმივად მიმდინარეობს შემოწმება
მიმდინარეობს	აკეთებს
ახორციელებს	არ ხარჯავს

2.6. ქვემოთ მოცემულია ინტერვიუს პასუხები. დაწერეთ შესაბამისი შეკითხვები:

1.

— _____?

— წყალსაცავებში დაგროვილი წყალი ძირითადად გამოყენებულია ჰიდროელექტროსადგურების ასამუშავებლად და საირიგაციოდ. მათ იყენებენ ასევე თევზის მეურნეობის მოსაწყობად.

2.

— _____?

— სამგორის ველზე წვიმა ძალიან იშვიათად მოდიოდა და მისი მიდამოების მოსარწყავად საჭირო იყო დიდი რაოდენობით წყალი.

3.

— _____?

— დღეს თბილისის ზღვაზე მოქალაქეები დასასვენებლად ადიან. აქვე განთავსებულია დენდროპარკი, სადაც სამასამდე იშვიათი ჯიშის მცენარე იზრდება.

4.

— _____ ?

— მდინარე ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის აგებისკენ პირველი ნაბიჯი XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში გადაიდგა.

5.

— _____?

— ენგურჰესი ელექტროენერგიით ამარაგებს მთელ საქართველოს.

5.3. საირიგაციო სისტემა

ა) წაიკითხეთ ტექსტი:

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა საირიგაციო სისტემების მუშაობის **გაუმჯობესებაა**. საქართველოში **საირიგაციო** სისტემების აღდგენა სამი ათეული წლის განმავლობაში არ განხორციელებულა, რის შედეგადაც დაზიანებულია **სარწყავი არხები**, ამის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არაეფექტურად მიმდინარეობს. აღმოსავლეთ საქართველოში ცუდი მოსავლის მთავარი მიზეზი სწორედ წყლის ნაკლებობაა.

წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დააფინანსა პროექტი, რომლის მიზანიც კახეთის რეგიონის მოსახლეობისთვის სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდებაა. პროექტის მიხედვით, აშენდება ახალი საირიგაციო სისტემა, აღდგება და გაიწმინდება ძველი არხები, რათა არ **დაიტბოროს** საცხოვრებელი ადგილები და სასოფლო-სამეურნეო მიწები.

პროექტის დასრულების შემდეგ ახმეტის, თელავის და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 35 სოფელს მიეწოდება სარწყავი წყალი. მოსახლეობა შეძლებს სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავებასა და კარგი მოსავლის მიღებას. გაიზრდება მოსავალიც.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

1) რა არის ცუდი მოსავლის მიზეზი აღმოსავლეთ საქართველოში? როგორ უნდა გამოსწორდეს მდგომარეობა?
2) რას იტყვით პროექტის მიზნების შესახებ?
3) კერძოდ, როგორი იქნება პროექტის მუშაობის შედეგი?

ახალი სიტყვები:	
რა? გაუმჯობესება აღდგენა	**როგორი?** საირიგაციო გაწმენდილი ეფექტური უმჯობესი
ზმნები: იტბორება იზრდება	

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	**დღეს**	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დატბორვა	**და**იტბორა	**იტბორება**	**და**იტბორება	**და**ტბორილა
გაზრდა	**გა**იზარდა	**იზრდება**	**გა**იზრდება	**გა**ზრდილა

– მეთქი ნაწილაკი (< მე ვთქვი)

რამდენჯერ გითხარი, სახლში **წავიდეთ – მეთქი.**

– თქო ნაწილაკი (< მან თქვა)

დედას უთხარი, მეც მალე **მოვალ – თქო.**

3.2. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

— ნაზი, გამარჯობა, რას ამბობენ ტელევიზორში? _____
_____?

— რა ვიცი, ლიანა, ცხელი ზაფხული იქნებაო.

— როდის დასრულდება _____
_____
_____?

— რა თქვი? _____?

— რას ამბობენ, ჩვენი სოფლის სარწყავი არხის მშენებლობა _____
_____?

— ზაფხულისთვის _____.

— კარგია, კარგი, მიტოს უთხარი, ხვალ დილით ადრე _____
_____...

3.3. ჩასვით დიალოგში გამოტოვებული სიტყვები:

განცხადებით	სარწყავი	სადენები	ყოფილა
დენი	ძლიერი	მიმდებარე	

— როგორი _____ ქარია, ალბათ, წვიმაც წამოვა!

— კი, ნამდვილად, სოფლის გამგებლის _____, შეიძლება ჩვენი სოფელიც და _____ ტერიტორიაც დაიტბოროს, რადგან _____ არხები ჯერ კიდევ არ _____ გაწმენდილი,

— შეიძლება _____ დაზიანდეს და _____ აღარ გვქონდეს.

— კი, ასეთ ამინდში ყველაფერია შესაძლებელი...

... + ნათ. ბრ. + **ის მაგივრად; ნაცვლად**

დღეს ლევან**ის ნაცვლად** ნინო მუშაობს.
შენ მაგივრად არავინ გააკეთებს ამ საქმეს.

3.4. სათანადო ადგილას ჩასვით ფორმები მაგივრად; ნაცვლად, ხოლო სახელები ჩასვით შესაბამის ბრუნვაში:

ნიმუში:
დედა, შენ გააკეთე საშინაო დავალება (მე)_____.
დედა, შენ გააკეთე საშინაო დავალება ჩემ მაგივრად.

— დედა, ხვალ ძალიან ბევრი გაკვეთილი მაქვს და შენ წადი რა (მე) _____ სკოლაში?
— კარგი, არ არის პრობლემა, მაგრამ მაშინ შენ წადი (მე) _____ ვენახში, მოსავალია ასაღები, (შენი ძმა) _____ დილით ადრე წადი მაღაზიაში, იყიდე ხუთი კილო კარტოფილი, კილო-ნახევარი ვაშლი და სახლში მოიტანე, (მამაშენი) _____ მთელი დღე ბაღში იმუშავე...
— კარგი, ეგ უფრო ადვილია, ვიდრე მათემატიკის სწავლა...

3.5. დააკავშირეთ სურათები და სიტყვები. აღწერეთ თითოეული სურათი:

ჰესი	საირიგაციო სისტემა	სარწყავი არხი
წყალსაცავი	წყალსადენი მილები	დატბორილი ქუჩები

3.6. ჩასვით შესაბამისი ფორმები:

მიუხედავად იმისა, რომ...		რადგან
მიხედვით	გამო	განმავლობაში

1. სამი დღის _____ თბილისში გადაუღებლად წვიმდა.
2. აუცილებელია სარწყავი არხების სასწრაფოდ გაწმენდა, _____ დიდი წვიმების გამო შეიძლება სოფლები დაიტბოროს.
3. პროექტის მენეჯერის განცხადების _____, სარეაბილიტაციო სამუშაოები მალე დასრულდება.
4. მიწის დაგროვების _____ აუცილებელია სოფლის სარწყავი არხების სასწრაფოდ გაწმენდა.
5. _____ სოფლის საირიგაციო სისტემის აღდგენა ჯერ არ დასრულებულა, შესაძლებელია მიმდებარე მიწების მორწყვა.

3.7. მოცემული ინფორმაციის მიხედვით ისაუბრეთ ჟინვალის წყალსაცავის შესახებ და გამოიყენეთ ფრაზები:

... მაგივრად/ნაცვლად	ზაფხულის განმავლობაში
მიუხედავად იმისა, რომ...	ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის სტატუსი
უსაფრთხოების წესების დაცვა	გამოთქვეს აზრი
დეტალური ინფორმაციის მიღება	ნაბიჯი გადაიდგა
მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები	ინტერესს იწვევს

ჟინვალის წყალსაცავი

- აღმოსავლეთ საქართველო, დუშეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჟინვალის ჩრდილოეთით.
- მდინარე არაგვი.
- ფართობი 11.5 კმ^2.
- წყლის მოცულობა 520 მლნ. მ^2,
- ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური.
- ჰესი პირველად ამუშავდა 1985 წელს.
- ყველაზე ახალგაზრდა წყალსაცავი საქართველოში.
- თბილისის წყლით მომარაგება.

VI თავი გამწვანებული ქალაქი

6.1. საშემოდგომო გამწვანება

6.2. სკვერის მოწყობა

6.3. ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია

გრამატიკა

I თურმეობითი

მოქმედებების განცალკევება - კავშირები: **არა მარტო ეს, არამედ...**

კავშირი: **რომელთა**

კონსტრუქცია: **იქნებ გავაკეთოთ**

შედგენილი შემასმენელი: **გარემონტებულია**

6.1. საშემოდგომო გამწვანება

1.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

დედაქალაქში საშემოდგომო გამწვანების მასშტაბური სამუშაოები დაიწყო. მტკვრის სანაპიროების **ჭადრებით** განაშენიანების პროექტის მიხედვით, მარცხენა სანაპიროზე 3-3,5 მეტრი სიმაღლის 20 **ძირი** აღმოსავლური ჭადარი უკვე **დაირგო**. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე სულ 200 ჭადარი დაირგვება. ამასთან, **გამხმარ** ჭადრებს **მოჭრიან** და ერთი კვირის განმავლობაში ახალი **ნერგებით** ჩაანაცვლებენ.

გარდა ამისა, ქალაქის **შემოგარენსა** და ცენტრალურ უბნებს შემოდგომაზე 80 000 ნერგი შეემატება. 50 000 მცენარე მახათას მთაზე და თბილისის ზღვის გარშემო, ხოლო 30 000-მდე ნერგი სკვერებში, გამზირებსა და საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიებზე დაირგვება. საშემოდგომო **გამწვანების** პროცესი დეკემბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება.

სპეციალისტების **რეკომენდაციით** გამწვანება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქში არსებული მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. ქალაქში დარგულ **წიწვოვან** მცენარეებზე 4 წლის განმავლობაში იზრუნებენ კონტრაქტორი კომპანიები.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

✓ დაასათაურეთ ტექსტი

✓ გადმოეცით ტექსტის მთავარი სათქმელი 3-4 წინადადებით

✓ მოყვანილი წინადადებები დაალაგეთ ტექსტში მოცემული თანმიმდევრობით

- ქალაქის შემოგარენსა და ცენტრალურ უბნებს შემოდგომაზე 80 000 ნერგი შეემატება
- მტკვრის ორივე სანაპიროზე გამხმარ ჭადრებს მოჭრიან და მათ ერთი კვირის განმავლობაში ახალი ნერგებით ჩაანაცვლებენ
- ქალაქში დარგულ ხე-მცენარეებზე 4 წლის ვადით იზრუნებენ კონტრაქტორი კომპანიები
- მარცხენა სანაპიროზე 3-3,5 მეტრი სიმაღლის 20 ძირი აღმოსავლური ჭადარი დაირგო
- მიმდინარე პერიოდში მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე სულ 200 ჭადარი დაირგვება

ახალი სიტყვები:	
რა? ძირი ნერგი რეკომენდაცია შემოგარენი ჭადარი	**როგორი?** მიმდინარე გამხმარი ფოთლოვანი წიწვოვანი
ზმნები: ჭრის/იჭრება ამწვანებს/მწვანდება რგავს/ირგვება	**როგორ?** დაწვრილებით

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
მოჭრა	**მო**ჭრა	**ჭრის**	**მო**ჭრის	**მო**უჭრია
გამწვანება	**გა**ამწვანა	**ამწვანებს**	**გა**ამწვანებს	**გა**უმწვანებია
დარგვა	**და**რგო	**რგავს**	**და**რგავს	**და**ურგავს

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
ჭრის	მოჭრა	**ი**ჭრ**ება**
რგავს	დარგვა	**ი**რგვ**ება**
ამწვანებს	გამწვანება	მწვან**დება**

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
მოჭრა	**მო**იჭრა	**იჭრება**	**მო**იჭრება	**მო**ჭრილა
დარგვა	**და**ირგო	**ირგვება**	**და**ირგვება	**და**რგულა
გამწვანება	**გა**მწვანდა	**მწვანდება**	**გა**მწვანდება	**გა**მწვანებულა

არა მარტო..., არამედ...

1.2.

ა) მოისმინეთ დიალოგი:

— ბატონო ნოდარ, მოგესალმებით. ახლა შემოდგომაა და თბილისის ზოგიერთ უბანში ვხედავთ, თუ როგორ მუშაობენ სკვერებში და როგორ რგავენ ხეებსა და სხვადასხვა მცენარეს. თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით გვიამბეთ მერიის გეგმების შესახებ.

— დიდი სიამოვნებით. ყველამ ვიცით, რომ თბილისში არცთუ ისე კარგი მდგომარეობაა ეკოლოგიური დაბინძურების მხრივ, ამდენად, თბილისის მერია გეგმავს მნიშვნელოვანი ზომების მიღებას ვითარების გაუმჯობესებისთვის. პირველ რიგში, აუცილებელია ქალაქის გამწვანებაზე ზრუნვა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა მარტო ახალი ხეების დარგვაზე, არამედ ძველი ნარგავების მოვლაზეც. მიმდინარე წელს ქალაქის ცენტრალურ უბნებში უკვე დარგულია 10 000-მდე წიწვოვანი ნერგი, ახლა ვმუშაობთ ქალაქის გარეუბნებში, სადაც ასევე ვგეგმავთ 20 000-მდე ახალი ძირის დარგვას.

— მაინტერესებს, ახალი ნერგები ძირითადად სკვერებში ირგვება?

— არა მარტო სკვერებში, არამედ კორპუსების წინ და გზისპირა ზოლშიც.

— დიდი მადლობა, მომავალ შეხვედრამდე.

— თქვენც მადლობა, მე ყოველთვის მზად ვარ, ვუპასუხო თქვენს კითხვებს.

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ დიალოგი და წინადადებებში გახაზეთ სწორი ფორმები:

1. თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით/დაწვრილებით გვიამბეთ მერიის გეგმების შესახებ.
2. თბილისის მერია გეგმავს მნიშვნელოვანი/უსაფრთხოების ზომების მიღებას ვითარების გაუმჯობესებისთვის.
3. პირველ რიგში, აუცილებელია ქალაქის გამწვანებაზე/გაშენებაზე ზრუნვა.
4. ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა მარტო ახალი ხეების დარგვაზე, არამედ ძველი ნარგავების მოვლაზეც/დამუშავებაზეც.
5. ქალაქის ცენტრალურ უბნებში უკვე დარგულია/მოჭრილია 10 000-მდე წიწვოვანი/ფოთლოვანი ნერგი.

1.3. წრეებში ჩაწერეთ ქალაქის გამწვანებისთვის აუცილებელი ნაბიჯები:



1.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი ფორმები:

გარდა ამისა სპეციალისტების რეკომენდაციით არამედ	განმავლობაში იმის შესახებ

1. ქალაქის მერია ავრცელებს ინფორმაციას _____, რომ დედაქალაქში საშემოდგომო გამწვანების სამუშაოები დაიწყო.
2. _____ ქალაქის შემოგარენსა და ცენტრალურ უბნებს შემოდგომაზე 80 000 ნერგი შეემატება.
3. _____, საშემოდგომო გამწვანებისთვის შერჩეულ სახეობებს შორისაა არა წიწვოვანი, არამედ ფოთლოვანი მცენარეების ნერგები.
4. ქალაქის ცენტრალურ უბნებში - დაირგვება არა მარტო ახალი ნერგები, _____ მოიჭრება გამხმარი ხეებიც.
5. წლის _____ ქალაქის შემოსასვლელები და შიდა ტერიტორიები 80 000 ნერგით გამწვანდება.

1.5. გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში:

1. მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გამხმარი ჭადრის ხეები **მოჭრეს**.
2. ქალაქის მერიის გამწვანების სამსახურმა თეთრი აკაციის 10 000 ახალი ძირი **დარგო**.
3. შარშან ქალაქის გზისპირა ზოლში ბევრი ახალი ხე **დაირგო**.
4. ვერის ბაღის შემოსასვლელი ერთი წლის წინ **გამწვანდა**.
5. წიწვოვანი ნარგავები ახალი ფოთლოვანი ხეებით **ჩაანაცვლეს**.

1.6. შეადარეთ ერთმანეთს ორი სურათი. აღწერეთ და ისაუბრეთ მსგავსებასა და განსხვავებაზე. გამოიყენეთ ფრაზები:

უფრო მეტად ვიდრე... არა მარტო, არამედ... გარდა ამისა, მოცემულ სურათზე ჩანს, რომ... განსხვავებით მაგივრად ნაცვლად გარშემო ირგვლივ



6.2. სკვერის მოწყობა

2.1. ა) წაიკითხეთ ტექსტი:

თბილისში, ვაკის რაიონში, მალე დასრულდება **სკვერის** მოწყობა. ტერიტორიაზე შეკეთდა და შეიღება ლითონის დეკორატიული ღობეები, **განახლდა** კიბეები, **დაიდგა** ახალი ურნები და სკამები. პროექტის მიხედვით, სკვერის შესასვლელში აუცილებლად იქნება პანდუსი.

სკვერში ბავშვებისათვის **მოეწყო** სათამაშო მოედანი. აქ დაიგო **ხელოვნური** მწვანე **საფარი** და დაიდგა ატრაქციონები. ასევე **გაკეთდა** **პავილიონები**, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანებს შეეძლებათ დასვენება.

ვაკის რაიონში სარეაბილიტაციო სამუშაოები კიდევ ერთ სკვერში განხორციელდა. **შეკეთდა** **გზისპირა** კედელი, ტერიტორიაზე **გამოიცვალა** ბორდიურები, დაიგო ფერადი **ფილები**, განახლდა გარე განათების **ბოძები** და ატრაქციონები.

ბ) კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ტექსტი და შეურჩიეთ შესაბამისი სათაური:

1. თბილისის სკვერები
2. ახალი სკვერი ვაკის რაიონში
3. თბილისის სკვერების „ახალი სიცოცხლე“
4. ვაკის რაიონის სკვერის რეაბილიტაცია

ახალი სიტყვები:	
რა? სკვერი ბორდიური საფარი პავილიონი ბოძი ფილა	**როგორი?** გათვლილი ხელოვნური გზისპირა დეკორატიული ფერადი
ზმნები: კეთდება განახლდება იცვლება იდგმება ეწყობა განახლდება	

2.2. დააკვირდით ზმნის ცხრილებს. დაწყვილდით და შეადგინეთ ხუთ-ხუთი წინადადება:

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
შე/გაკეთება	შე/გაკეთდა	**კეთდება**	შე/გაკეთდება	შე/გაკეთებ**ულა**
განახლება	**განახლდა**	**ახლდება**	**განახლდება**	**განახლებ**ულა
შეცვლა	**შეიცვალა**	**იცვლება**	**შეიცვლება**	**შეცვლ**ილა
დადგმა	**დაიდგა**	**იდგმება**	**დადგება**	**დადგმ**ულა
მოწყობა	**მოეწყო**	**ეწყობა**	**მოეწყობა**	**მოწყობ**ილა

გაკეთება = შეკეთება

აქტიური ზმნები	საწყისი	პასიური ზმნები
აკეთებს	შე/გაკეთება	კეთ**დება**
განაახლებს	განახლება	განახლ**დება**
ცვლის	შეცვლა	**ი**ცვლ**ება**
დგამს	დადგომა	**ი**დგმ**ება**
აწყობს	მოწყობა	**ე**წყ**ობა**

დაიმახსოვრეთ!

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
შე/გაკეთება	შე/გააკეთა	**აკეთებს**	შე/გააკეთებს	შე/გაუკეთებია
განახლება	განაახლა	**განაახლებს**	განაახლებს	განუახლებია
შეცვლა	შეცვალა	**ცვლის**	შეცვლის	შეუცვლია
დადგომა	დადგა	**დგამს**	დადგამს	დაუდგამს
მოწყობა	მოაწყო	**აწყობს**	მოაწყობს	მოუწყვია

2.3. წრეებში ჩაწერეთ სკვერის მოწყობისთვის აუცილებელი ნაბიჯები:



2.4. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან:

ნიმუში:

დასასვენებელი	კედელი
მწვანე	ბოძი
გზისპირა	**პავილიონი**
განათების	საფარი
გასართობი	გარემო

2.5. ა) წაიკითხეთ განცხადება:

ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის
გამგებელს, ბატონ დემეტრე ნოზაძეს

ამავე რაიონის ცინცაძის ქუჩის მერვე კორპუსის
მაცხოვრებლების

განცხადება

გაცნობებთ, რომ დიდთოვლობის გამო დაზიანდა სკვერი, რომელიც ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის წინ მდებარეობს. კერძოდ, გაფუჭდა ეზოს ბილიკები, შეუძლებელია სკვერში სეირნობა, დასვენება, ბავშვების გაყვანა. გარდა ამისა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სკვერში არსებულ პავილიონში ყოველ შაბათ-კვირას იკრიბებიან ჩვენი ეზოს საბავშვო ინტელექტუალური გუნდის მონაწილეები და ემზადებიან შეჯიბრებისთვის. ახლა კი ეს შეუძლებელია, რადგან წინა კვირას მოსულმა თოვლმა პავილიონიც დააზიანა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობა და დააფინანსოთ სკვერის რეაბილიტაცია.

21.12. 2027.

ნ. კვარაცხელია
გ. გაჩეჩილაძე
დ. დევდარიანი
ნ. დარბინიანი
ბ. კვირიკაშვილი
ზ. ხალილოვი
ა. აბაშიშვილი

ბ) ტექსტის მიხედვით უჯრებში ჩაწერეთ შესაბამისი ინფორმაცია:

ვითარების აღწერა	სკვერი დაზიანებულია
მიზეზი	
მიზანი	
თხოვნა	

გ) ტექსტის მიხედვით უჯრებში ჩაწერეთ ინფორმაციის შესაბამისი ენობრივი ფორმები:

ვითარების აღწერა	გაცნობებთ, რომ...
მიზეზი	
მიზანი	
თხოვნა	

2.6. ჩასვით საჭირო სიტყვები გამოტოვებულ ადგილას:

უახლოვდება	დგას	ბორდიურები
ხელოვნური	პავილიონები	ბილიკი

1. სკვერის მოწყობის სამუშაოები დასასრულს _____.
2. გზის პირას შეკეთდა ტროტუარის_____.
3. სპორტულ მოედანზე შეაკეთეს ველოსიპედისტებისთვის _____.
4. სკვერში მოეწყო დასასვენებელი_____.
5. სკვერებში _____ საბავშვო ატრაქციონი.

2.7. ა) დააკავშირეთ ერთმანეთთან სურათები და ტექსტები:



ვაკის პარკი

ვაკის პარკს თბილისის „ფილტვებსაც“ უწოდებენ. იგი თრიალეთის ქედის ფერდობზე, ვაკის რაიონის ბოლოშია გაშენებული. ვაკის პარკის გაშენება მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღსანიშნად დაიწყეს 1945 წელს. პარკის შესაქმნელად 200 ჰექტარი მიწა გამოიყო. ჩრდილოეთის მხრიდან ვაკის პარკი ჭავჭავაძის პროსპექტთან ფართო კიბით არის დაკავშირებული. პარკის ცენტრში შადრევნების მთელი კომპლექსია, რომელიც ქედზე დიდების მემორიალით ბოლოვდება. პარკის სამხრეთ-დასავლეთით ლოკომოტივის სტადიონია. ვაკის პარკში განსაკუთრებული წითელი ქვიშაა, რომელიც სავალ გზებზეა დაყრილი. პარკში საბავშვო ქალაქი, ღია კინოთეატრი, კაფე-ბარები და რესტორანია განთავსებული.

ვერის ბაღი

მე-18 საუკუნის შუა ხანებისთვის ვერის პარკის ტერიტორია, ისევე როგორც ვერის უბნის სხვა ნაკვეთები, დანიბეგაშვილის ოჯახის საკუთრება იყო. 1898 წელს საქართველოს ეგზარქოს ფლაბიანე გოროდეცკის ქალაქის გამგეობისათვის ამ ადგილზე ბაღის გაშენების ნება მიუცია, მაგრამ გამგეობას ეს შესაძლებლობა მაშინ არ გამოუყენებია. ვერეს პარკი 1930 წელს გაუშენებიათ. ბაღის შუაგულში დგას ცნობილი ჭადრაკის სასახლე, სადაც ტარდება საერთაშორისო ტურნირები.

მუშტაედის პარკი

მუშტაედის ბაღი ერთ-ერთი უძველესია თბილისის პარკებს შორის. მისი შექმნის ისტორია ძალიან საინტერესოა. 1828 წელს ჩრდილოირანიდან მრავალრიცხოვან ოჯახთან ერთად შიიტური სექტის ცნობილი მოღვაწე მირ-ფეთეხ-აღა-სეიდ-მუშტეიდი თბილისში გადმოსახლდა. იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური სამსახურის ნაცვლად, რომელიც მან კავკასიის ადმინისტრაციას გაუწია, მუშტაიდს თითქმის ხუთ ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი გადასცეს, სადაც მან ულამაზესი ბაღი გააშენა. ბაღში მოწყობილია ატრაქციონები, გასართობი ცენტრები. მუშტაედში გაყვანილია ევროპაში პირველი საბავშვო რკინიგზა.

მზიური

მზიურის გაშენების იდეა მწერალ ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის. მდინარე ვერეს ხეობაში საბავშვო ქალაქის მშენებლობა 1981 წელს დაიწყო. მზიურის სიგრძე პროექტის მიხედვით 15 კმ-ია. პარკი ქალაქის ცენტრში მდებარეობს და დამშვენებულია ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების გმირების ქანდაკებებით.

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

1. რომელ პარკს აქვს ყველაზე საინტერესო ისტორია? რატომ ფიქრობთ ასე?
2. რომელ პარკში წახვიდოდით და რატომ?
3. რით არის თითოეული პარკი განსაკუთრებული?

6.3. ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია

3.1.

ა) წაიკითხეთ ტექსტი:

თბილისის ბოტანიკური ბაღი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესია, იგი 300 წლისაა. საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში **მნახველების** რაოდენობისა და **შემოსავლების** გაზრდის მიზნით მარტსა და აპრილში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება. უკვე **გამოცხადდა ტენდერი**. გამარჯვებული ჩაატარებს სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

სატენდერო პირობები **ითვალისწინებს** სავალი ბილიკებისთვის რელიეფის **მოსწორებას**, კიბის ახალი **საფეხურებისა** და დამცავი **მოაჯირების** გაკეთებას.

ძველი ორანჟერეის კეთილმოწყობის შემდეგ **ვიზიტორები** უფრო კომფორტულ გარემოში **მოახერხებენ** მის დათვალიერებას.

გარემონტდება, ასევე, სასტუმრო, რომელიც ძირითადად მოემსახურება სამეცნიერო კონფერენციებზე ჩამოსულ სტუმრებს. პირველ სართულზე განთავსდება ყვავილების მაღაზია, სადაც მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ ბოტანიკური ბაღის ყვავილები და სპეციალისტებისგან მიიღონ მათი მოვლისთვის საჭირო რჩევები.

ვიზიტორთა დასასვენებელი პირობების გასაუმჯობესებლად იგეგმება ვიზიტორთა სახლის რეაბილიტაცია. სწორედ ამ შენობაში იმუშავებს სწრაფი **კვების** კაფე, რომელიც მოემსახურება ორმოც-ორმოცდაათ მომხმარებელს.

სატენდერო პირობების მიხედვით, აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის ბოლოს. ასე რომ, თბილისელებსა და დედაქალაქში ჩამოსულ სტუმრებს მალე ექნებათ შესაძლებლობა ეწვიონ თბილისის ბოტანიკურ ბაღს და კარგად დაისვენონ ლამაზ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში.

ახალი სიტყვები:	
ვინ? მნახველი მომხმარებელი	**რა?** შემოსავალი ვიზიტორი ტენდერი კვება საფეხური მოაჯირი მოსწორება მომსახურება
ზმნები: აცხადებს/ცხადდება ახერხებს/ხერხდება ითვალისწინებს	

დაიმახსოვრეთ!

აქტიური ზმნები

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
გათვალისწინება	**გა**ითვალისწინა	**ითვალისწინებს**	**გა**ითვალისწინებს	**გა**უთვალისწინ**ებია**
მოხერხება	**მო**ახერხა	**ახერხებს**	**მო**ახერხებს	**მო**უხერხ**ებია**
გამოცხადება	**გა**მოაცხადა	**აცხადებს**	**გა**მოაცხადებს	**გა**მოუცხად**ებია**

დაიმახსოვრეთ!

პასიური ზმნები

	გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
მოხერხება	**მო**ხერხდა	**ხერხდება**	**მო**ხერხდება	**მო**ხერხებ**ულა**
გამოცხადება	**გამო**ცხადდა	**ცხადდება**	**გამო**ცხადდება	**გამო**ცხადებ**ულა**

ბ) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

ინფორმაცია	სწორია	არასწორია	არ არის მოცემული ტექსტში
საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში მნახველების რაოდენობისა და შემოსავლის გაზრდის მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება იგეგმება.			
ტენდერში გამარჯვებული კომპანიები მარტსა და აპრილში ჩაატარებენ ბოტანიკური ბაღის სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.			
რეაბილიტაციის შემდეგ ვიზიტორები შეძლებენ უფრო კომფორტულ გარემოში დაათვალიერონ ორანჟერეა.			
ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებული სატენდერო პირობები ძალიან მკაცრია.			
ყვავილების მაღაზიაში გაიყიდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი მცენარეები.			
ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნება სწრაფი კვების კაფე.			

3.2. დააკავშირეთ ანტონიმური წყვილები:

ნიმუში:

გამწვანებული	დანგრეული
აღდგენილი	ცენტრალური
მოვლილი	**გამხმარი**
განაპირა	ბუნებრივი
ხელოვნური	დაზიანებული

იქნებ + II კავშირებითი

იქნებ გავაკეთოთ, იქნებ დავასრულოთ...

იქნებ ხვალ დილისთვის დავასრულოთ პროექტზე მუშაობა.

3.3. მოისმინეთ მეგობრების სატელეფონო საუბარი და დაასრულეთ ტექსტი:

— ნატალია, როგორ ხარ? რას შვრები დღეს?

— _____

_____,

— არა, ისეთი არაფერი, პროექტზე მუშაობა დღეს დილით დავასრულე და ახლა მეც თავისუფალი დრო მაქვს, რამე ხომ არ დავგეგმოთ?

— _____?

— კარგი აზრია. ან იქნებ ჯერ ნინიასთან მოვახერხოთ წასვლა და ყველა ერთად წავიდეთ კინოში.

— _____.

— დროებით...

გარემონტებულია – შედეგი
შენობის დაზიანებული ნაწილი **გარემონტებულია.**

კავშირი – რომელთა (თანიან მრავლობითში)
ხეები, **რომელთა** მოჭრაც აუცილებელია, უნდა მოიჭრას.

3.4. ა) წაიკითხეთ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ანგარიში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ:

ანგარიში

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს დასრულდა ქ. თბილისის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია. ჩვენი კომპანიის მიერ ჩატარებულია შემდეგი ტიპის სამუშაოები:

1. აღდგენილია გზისპირა ბორდიურები;
2. მოწყობილია კიბის საფეხურები და დამცავი მოაჯირები;
3. სავალ გზებზე დაგებულია დეკორატიული ფილები;
4. გარემონტებულია ვიზიტორთა სახლი.

ბ) შექმენით ანგარიში თქვენი უბნის სკვერში ჩატარებული სამუშაოების შესახებ. გამოიყენეთ ზემოთ მოყვანილი ფორმები:



3.5. დააკვირდით თბილისის ბოტანიკური ბაღის რუკას და აღწერეთ ბაღი მოძიებული ინფორმაციის მიხედვით. საუბრისას გამოიყენეთ რუკის ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია და პირობითი ნიშნები:



განყოფილებები:

1. ბაღის ძველი ნაწილი
2. დასავლეთ საქართველოს მცენარეების კოლექცია
3. აღმოსავლეთ აზიის (ჩინეთ-იაპონიის) მცენარეების კოლექცია
4. ჩრდილოეთ ამერიკის მცენარეების კოლექცია
5. იშვიათი მცენარეების კოლექცია
6. სამკურნალო მცენარეების კოლექცია
7. ჰიმალაური მცენარეების კოლექცია
8. მცენარეთა კონსერვაცია

შენობები

1. სალარო და დაცვის ოფისი
2. ძველი სასტუმროს შენობა
3. მუზეუმი
4. მცენარეთა ლაბორატორია
5. ვიზიტორთა ცენტრი
6. ორანჟერეა
7. ადმინისტრაცია
8. მცენარეთა კონსერვაციის დეპარტამენტი

ნიშნები:

	მდინარე, აუზი, წყალსაცავი
	პარკი
	ევროპული მცენარეების კოლექცია
	იასამნების კოლექცია

3.6. აღწერეთ სურათი და გამოიყენეთ მოცემული სიტყვები:



აივანი, მოაჯირი, რელიეფი, ხე-მცენარეები, მთა, ზამთარი, კიბე, საფეხური, კედელი, სართული, თბილისი, ხის ფანჯრები, ხის კარები, ბოტანიკურის ქუჩა N8, ძველი თბილისი.

3.7. მოისმინეთ რეკლამა და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

თავისუფლების მოედანზე _____ ალექსანდრე პუშკინის სახელობის _____ ერთ-ერთი ყველაზე მყუდრო და _____ სკვერია თბილისში. მას მცირე ფართობი უკავია ქალაქის _____. სკვერს კიდევ უფრო მეტად ალამაზებს ფერადი მუსიკალური შადრევანი. დასვენების გარდა, პუშკინის სახელობის სკვერში მოქმედი wi-fi (უსადენო) ინტერნეტი _____ და სასარგებლოს შეთავსების საშუალებას იძლევა. ახლა უკვე _____ _____ მშვიდ გარემოში განმარტოვება და, ამავდროულად, _____.

შემაჯამებელი თავი II

1. დაუკავშირეთ სურათები და ფრაზები ერთმანეთს:

1

2

3

4

5

6

7

8

9

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ კლინიკაში კვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ.	სარბენ ბილიკზე ვარჯიში დღეში დაახლოებით 30 წუთის განმავლობაშია რეკომენდებული.	გამხმარი და დაზიანებული ხეების მოჭრა აუცილებელია ტყის საფარის გაუმჯობესებისათვის.
ჰესი ელექტროენერგიით ამარაგებს მოსახლეობას.	ქალაქის გარეუბნების გამწვანება თბილისის მერიის ახალი პროექტია.	შიდა ქართლის მინდვრებში დამონტაჟდა საირიგაციო სისტემა, რომელიც ავტომატური რეჟიმით მუშაობს და დღეში ორჯერ რწყავს მიმდებარე ტერიტორიას.
კმაყოფილი მომხმარებელი კომპანიის წარმატების მთავარი პირობაა.	საქართველოში ტყის უმეტესი ნაწილი მთებშია, ვაკეებზე კი ნაკლებადაა. საქართველოს ტყის 16% წიწვოვან ტყეს უკავია.	128 ჰექტარზე გაშენებულ ბოტანიკურ ბაღს მდინარე წავკისისწყალი ორ ნაწილად ყოფს. მდინარეზე რამდენიმე ხიდია გადებული, რომელთა შორისაც გამოირჩევა 1914 წელს ჩანჩქერზე აგებული ხიდი.

2. წაიკითხეთ ტექსტი:

(1) საქართველოში ავტომობილების რაოდენობა ყოველდღე იზრდება. უკვე მილიონზე მეტი მანქანაა რეგისტრირებული და შეიძლება ითქვას, რომ ყოველ მეორე ადამიანს, ანუ მოსახლეობის 40%-ს, მანქანა ჰყავს. ამ ავტომობილების თითქმის ნახევარი თბილისში გადაადგილდება, რაც რამდენიმე სერიოზულ პრობლემას უქმნის დედაქალაქის მოსახლეობას. ჯერ ერთი, სამუშაო საათებში ცენტრალური ქუჩები ყოველთვის გადატვირთულია, მეორე და მთავარი პრობლემა კი გარემოს დაბინძურებაა.

(2) სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში უფრო მეტად ძველი ავტომობილებია შემოყვანილი. უხარისხო საწვავზე მომუშავე ძველ ძრავას აქვს მავნე გამონაბოლქვი, შავი კვამლი და უსიამოვნო სუნი, რაც დამატებითსაფრთხეს უქმნის ჩვენს ჯანმრთელობას. ამ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობს საქართველოს გარემოს დაცვისა და ეკონომიკის სამინისტრო. იგეგმება არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარება. მაგალითად, ქალაქის შემოგარენსა და ცენტრალურ უბნებს გაზაფხულზე რამდენიმე ათასი ნერგი შეემატება. ქუჩებში მოჭრიან გამხმარ ხეებს და ახალგაზრდა მცენარეებით ჩაანაცვლებენ.

(3) გარემოს გამწვანებაზე ზრუნვა ჰაერის გაჯანსაღებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აქტუალურია არა მარტო ქალაქის ცენტრის, არამედ გარეუბნების გამწვანებაც. ყველა კორპუსის წინ უნდა მოეწყოს მწვანე ზოლი. ქალაქის მერია აფინანსებს 100 ახალი სკვერის გახსნას. გამოცხადდა ტენდერი. პროექტი თანამედროვე სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. ახალ სკვერებში უნდა იყოს ბავშვებისთვის სათამაშო მოედანი და ატრაქციონები, ასევე, განათების თანამედროვე სისტემა, დეკორატიული ფილებით დაგებული ბილიკები და ბევრი მცენარე.

(4) დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის იგეგმება სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაც. თბილისის ყველა პარკში უნდა ჩატარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვაკის პარკის, ვერის პარკის, მუშტაიდის პარკისა და ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორიის კეთილმოწყობა: ყველგან უნდა აშენდეს ახალი პავილიონები, ველობილიკები, სწრაფი კვების კაფეები და, რაც მთავარია, დაირგას ბევრი მცენარე და ყვავილი.

(5) ქალაქის მერია უყურადღებოდ არ ტოვებს კუს ტბისა და ლისის ტბის ინფრასტრუქტურას. ზაფხულის ცხელ დღეებში ბევრ თბილისელს და დედაქალაქის სტუმარს მოსწონს აქაური სუფთა ჰაერი და მწვანე გარემო. აქ შესაძლებელია ნავით სეირნობა და ცურვა. განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჰყავს თბილისის ზღვას. ის ზღვა კი არა, ტბაც კი არ არის. საირიგაციო მიზნით შექმნილი ეს ხელოვნური წყალსაცავი დიდი ხანია თბილისელების საყვარელი გართობისა და დასვენების ადგილია. ახლა აქ შენდება საზაფხულო კინოთეატრი, სადაც გაიმართება მუსიკალური კონკურსები. თბილისის ზღვის სანაპიროზე გაშენებულ დენდროპარკში ვიზიტორები ლამაზ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში შეძლებენ დასვენებას.

2.1. შეარჩიეთ სწორი სათაური:

1. თბილისი ავტომობილების ქალაქია
2. თბილისი მწვანე ქალაქია
3. თბილისელთა გასაჭირი

2.2. მიუთითეთ, მოცემული ინფორმაცია სწორია, არ არის სწორი თუ არ არის მოცემული ტექსტში?

	სწორია	არ არის სწორი	არ არის მოცემული ტექსტში
დედაქალაქში ჰაერის დაბინძურებას იწვევს დაუსრულებელი მშენებლობები			
სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში უფრო მეტად ძველი ავტომობილებია შემოყვანილი.			
ქალაქის მერიამ არ დააფინანსა ახალი სკვერების გახსნის პროექტი.			
ლისის ტბაზე შესაძლებელია ნავით სეირნობა და ცურვა.			
მოსახლეობის უმეტესობა სამუშაო საათებს გზაში ატარებს			
საქართველოში ყოველ მეორე ადამიანს, ანუ მოსახლეობის 40%-ს, მანქანა ჰყავს.			
ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორიის კეთილმოწყობა დღეს აქტუალური არ არის, რადგან იქ არავინ სეირნობს.			

2.3. შემოხაზეთ თითოეული აბზაცის მთავარი სათქმელი:

(I)

1. საუკეთესო მანქანები საქართველოში
2. საქართველოში მანქანების რაოდენობის სტატისტიკა
3. საქართველოში უყვართ ფეხით სიარული

(2)

1. საქართველოში მხოლოდ ძველი ავტომობილები ჩამოჰყავთ
2. თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობა გასაუმჯობესებელია
3. თბილისის ქუჩებში ბევრი ლამაზი ყვავილია

(3)

1. კორპუსების კეთილმოწყობა
2. ქუჩების განათება
3. სკვერების მოწყობა

(4)

1. უხარისხო საწვავის პრობლემა
2. ქალაქის ყველა პარკის რეაბილიტაცია
3. შემოვლითი გზების გაყვანა

(5)

1. ტბების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
2. თბილისის ზღვის შემოგარენი
3. მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება

3. წაიკითხეთ დიალოგი და დაალაგეთ თანმიმდევრობით სპორტულ–გამაჯანსაღებელი კომპლექსი:

— მოგესალმებით, მობრძანდით.
— გამარჯობა.
— რა თქმა უნდა, გვაქვს 25-მეტრიანი საცურაო აუზი, რომელიც 24 საათი მუშაობს. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს მომხმარებელზე, ამიტომ ჩვენთან მუშაობს კაფე, სადაც გვაქვს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები. ამ კაფეში ძალიან გემრიელ ყავას ამზადებენ.
— რა საინტერესოა, კი, ჯანსაღი ცხოვრების წესი მნიშვნელოვანია... და რა ღირს თქვენი მომსახურება?
— ძალიან სასიამოვნოა, გაინტერესებთ ჩვენი დარბაზები? წამობრძანდით, ჩვენი კომპლექსი აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, ჩვენ გვაქვს კარგი ხარისხის თანამედროვე ტრენაჟორები, სარბენი ბილიკები, რამდენიმე სავარჯიშო სავარძელი, ველოტრენაჟორები. ეს ყველაფერი განთავსებულია რამდენიმე სხვადასხვა დარბაზში. ჩვენ ახლა ყველაზე დიდ ოთახში ვართ, აქ ტარდება ხან თანამედროვე, ხან ხალხური ცეკვის გაკვეთილები. გვერდით უფრო მცირე ზომის დარბაზია, იქ ხშირად ვარჯიშობენ სპორტსმენები.
— საცურაო აუზი არის თქვენს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კორპუსში?
— ძალიან საინტერესოა, მე ჩემმა მეგობარმა მითხრა ამ სპორტული ცენტრის შესახებ. ის თქვენს დარბაზში ყოველ დღე დადის, მეც მინდა ვივარჯიშო თქვენთან, ასევე ვიცი, რომ გაქვთ სხვადასხვა სპორტული გაკვეთილები.
— ჩვენ ხელმისაწვდომი ფასები გვაქვს.
— ძალიან საინტერესოა, დიდი მადლობა...

4. წაიკითხეთ დიალოგები და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები:

ნომერია მითხარით შეუღებავთ დაუნგრევიათ გადაუდებელი განთავსებული ნახვა დაკავებულია გაურემონტებიათ დაზიანებული

1)

— გამარჯობა, თუ შეიძლება _____, სად არის ექიმ ნინო ბერაძის კაბინეტი?
— ნინო ბერაძის კაბინეტი მეორე სართულზეა.
— რა _____ მისი ოთახი?
— რეგისტრატურაში მიბრძანდით, იქ იციან ყველაფერი.
— დიდი მადლობა!

2)

— გისმენთ, ქალბატონო.
— გამარჯობა, ექიმ ნინო ბერაძის _____ მინდა, გამოკვლევის ჩატარება მჭირდება, ვიცი, რომ მისი კაბინეტი მეორე სართულზეა.
— დიახ, ნინო ბერაძის კაბინეტი და მისაღები მეორე სართულზეა, მარჯვენა მხარეს პალატებია _____, თქვენ კი უნდა წახვიდეთ მარცხნივ, მესამე ოთახი. მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, ქალბატონ ნინოს თავისუფალი დრო არ აქვს, _____ საოპერაციო ბლოკშია. პაციენტს სასწრაფო _____ დახმარების აღმოჩენა სჭირდებოდა და ახლა მას ოპერაციას უკეთებენ.

3)

— თქვენც ქალბატონ ნინო ბერაძესთან ხართ?
— კი, ნახევარი საათის წინ მოვედი.
— კარგით, მე თქვენ შემდეგ ვიქნები.
— კი ბატონო.
— ძალიან კარგი კლინიკაა, კარგი ექიმები ჰყავთ, ნამდვილი პროფესიონალები.
— კი და ძალიან კარგი მომსახურება აქვთ.
— შენობაც კარგია, წელს _____ და კედლებიც ერთი კვირის წინ _____ თურმე.
— როგორც ვიცი, ადრე აქ ძველი შენობა ყოფილა, _____ საძირკვლით, ის _____ და ახალი აუშენებიათ.
— ნამდვილად კარგი კლინიკაა...

5. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

1)

— ბატონო გიორგი, ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გლდანის რაიონში დაზიანებული მილის გამო მოსახლეობას _____ _____ _____.
— მოგესალმებით, ეს არ არის სიმართლე, კი, მილი დაზიანდა, მაგრამ აღდგენითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, _____ _____ _____ _____ _____ _____ _____
— ანუ მოსახლეობას შეუძლია მშვიდად იყოს?
— დიახ, წყალი სუფთაა _____ _____ _____ _____ _____ _____ _____.
— გმადლობთ. ძალიან მიხარია ამის მოსმენა.

2)

— ქალბატონო ნათელა, როდის და სად გაიმართება ქარელის მუნიციპალიტეტის _____ _____?

— საახალწლო ღონისძიების მოწყობას ვგეგმავთ 31 დეკემბერს, _____ _____ _____ _____ _____.

— ვინ მიიღებს კონცერტში მონაწილეობას?

— მომღერლები და მოწვეული სტუმრები ჩამოვლენ _____ _____ _____ _____ _____. როგორც ვიცი, მხოლოდ რამდენიმე მათგანი ვერ _____ _____.

— კონცერტი, ალბათ, საღამოს გაიმართება. _____ _____ _____ _____?

— დღისით მოეწყობა ბაზრობა, სადაც გაიყიდება ჩვენი ბავშვების მიერ გაკეთებული სათამაშოები. გარდა ამისა, ჩვენი პროექტი _____ _____ _____ _____ _____.

— რა კარგია! თელაველები _____ _____ _____ _____ _____ ახალ წელს.

6. დაალაგეთ წინადადებები ლოგიკური თანმიმდევრობით:

- საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ენერგეტიკის მინისტრმა 6 ოქტომბერს საზეიმოდ გახსნეს ქარის ელექტროსადგური.
- პროექტის ღირებულებამ შეადგინა 34 000 000 აშშ დოლარი.
- ქარის ელექტროსადგური ხელს შეუწყობს მთავრობის გეგმის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს ზამთრის სეზონზე იაფი ელექტროენერგიით დაკმაყოფილებას.
- სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა კომპანია „ქართლის ქარის ელექტროსადგურმა“.
- პროექტი ითვალისწინებს ენერგიის ალტერნატიული წყაროების ათვისებას.
- წელს დასრულდა შიდა ქართლის რეგიონში, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, საქართველოში ქარის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა.
- აღნიშნულ პროექტზე მუშაობა სამი წლის წინ, აგვისტოში, დაიწყო. ქარის მიმართულებისა და სხვა მონაცემების შესამოწმებლად დამონტაჟდა სპეციალური ანძა.

7. აღწერეთ სურათები, შეადარეთ და ისაუბრეთ რა აქვთ მათ საერთო?

8. წაიკითხეთ ჩარჩოში მოთავსებული სიტყვები და შესიტყვებები; ისაუბრეთ სიტუაციებზე, გააქტიურეთ თითოეული სიტყვა; შექმენით ტექსტი და დაასათაურეთ:

1. _____ უსაფრთხოების ზომები, დეტალური ინფორმაცია, წყალმომარაგების შეწყვეტა, წყლის ხარისხის კონტროლი, სასმელი წყალი, ონკანების შეკეთება, წყლის შეწყვეტა	2. _____ ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, უზარმაზარი ჭადრები, ჯანსაღი გარემო, წიწვოვანი ტყე, ფოთლოვანი გზისპირი
3. _____ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, საავადმყოფოს გარშემო, ხარისხიანი მომსახურება, სამედიცინო გამოკვლევა, ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, საოპერაციო ბლოკი, გარემონტებული კლინიკა	4. _____ სარწყავი სისტემა, წყლის დასაგროვებელი ნაგებობა, საირიგაციო სისტემა, ჰესი, წყალსაცავის არხები, მომრგვალებული კაშხალი, ენგურჰესი ძეგლია

9. **მიუწერეთ სიტყვებს სინონიმები, ანტონიმები ან განმარტეთ:**

ნიმუში: ავარიული = დანგრეული ≠ ახალგარემონტებული

სინონიმი =	სიტყვა	ანტონიმი ≠
	მოხერხებული	
	დაბინძურებული	
	უსიამოვნო	
	უზარმაზარი	
	ანკარა	
	დეტალური	
	ხელოვნური	
	ფერადი	
	ჯანსაღი	
	გამორჩეული	

10. **შეადგინეთ განცხადება თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე და სთხოვეთ, თელავის ცენტრში ძველი სკვერის გარემონტება, მუსიკალური შადრევნის შეკეთება და ქუჩების გამწვანება:**

ტესტი II

1. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალება:

სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის ტრადიციული და მნიშვნელოვანი სფეროა, ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის შემოსავლის 9 პროცენტს დღეს სოფლის მეურნეობა შეადგენს, ხოლო სოფლებში ქვეყნის მოსახლეობის 47% ცხოვრობს. სამწუხაროდ, 90-იანი წლებიდან სოფლის მეურნეობის მდგომარეობა უარესდება: დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ძალიან შემცირდა, მოსახლეობას ნაკლებად მოჰყავდა მოსავალი, ახალგაზრდები ან ქალაქებში გადადიოდნენ საცხოვრებლად, ან საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ.

შესაბამისად, შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტი. მიმდინარე პერიოდში საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ევროპულ ქვეყნებთან შედარებით სამჯერ ნაკლებია. მიუხედავად ამისა, დღეს ბევრს საუბრობენ სოფლის მეურნეობის მნიშვნელობის შესახებ, ამ სფეროს აღორძინებისთვის კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საირიგაციო სისტემის წარმატებულად მუშაობა. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს, ქვეყნისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის, კერძოდ კი სარწყავი სისტემის, რეაბილიტაცია და განვითარებაა. საირიგაციო სისტემის აღდგენის პროცესის პირველი ეტაპია ძველი და დაზიანებული სარწყავი არხების შეკეთება, ხოლო შემდეგ - ახალი სისტემების გაყვანა-დამონტაჟება. აღდგენილი საირიგაციო სისტემა მოემსახურება 275 000 ჰექტარ მიწის ფართობს. აღნიშნულ ღონისძიებებს სხვადასხვა ფონდი აფინანსებს. ბოლო წლებში საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციისთვის სულ 115 მილიონი ლარია დახარჯული.

ა) ტექსტის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

	სწორია	არ არის სწორი
ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ცხოვრობს სოფლებში.		
საირიგაციო სისტემის აღდგენის პროცესის პირველი ეტაპია ახალი სარწყავი არხების გაყვანა.		
სოფლის მეურნეობის აღორძინებას ხელს უწყობს სხვადასხვა ფონდი.		
ბოლო წლებში საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციისთვის სულ დახარჯულია 115 მილიონი ლარი.		
აღდგენილი საირიგაციო სისტემა მოემსახურება 175 000 ჰექტარ მიწის ფართობს.		

12.0 ქულა

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

- როგორი ვითარება იყო ქვეყანაში 90-იან წლებში?

- რა არის აუცილებელი სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის?

- რის გამო შემცირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტი?

- საქართველოს პრემიერ-მინისტრის აზრით, რა უნდა გაკეთდეს?

- რა მდგომარეობაა ამჟამად საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მიხედვით ევროპულ ქვეყნებთან შედარებით?

5.0 ქულა

2. ჩასვით მოცემული ზმნები სათანადო პირისა და რიცხვის ფორმაში:

მომსახურება	შემოწმება	გაკონტროლება	მიწოდება	შეწყვეტა	**განხორციელება**

ნიმუში: მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს **ახორციელებს** ქალაქის მერია.

1. სასმელი წყლის მდგომარეობა საათში ერთხელ _____ .
2. სასმელი წყალი ნახევარ ქალაქს არ _____.
3. სასმელი წყლის მდგომარეობა საათში ერთხელ _____ სპეციალისტების მიერ.
4. მომავალ წელს ურბნისის მოსახლეობას _____ახალი კომპანია.
5. დღის მეორე ნახევარში მოსახლეობას წყლის მიწოდება _____.

5.0 ქულა

3. მონიშნული სიტყვები შეცვალეთ სინონიმური მნიშვნელობის ფორმებით:

ნიმუში:

ქალაქის **შემოგარენში** ბევრი ხე მოჭრეს.

ქალაქის **გარეუბანში** ბევრი ხე მოჭრეს.

1. ქალაქში ბევრი ავტომობილი **გადაადგილდება**.

_____

2. დავითს **გადაუდებელი** სამედიცინო დახმარება სჭირდება.

_____

3. **სწორი** კვება ძალიან მნიშვნელოვანია.

_____

4. ამ სუპერმარკეტში სოფლის მეურნეობის პროდუქტები **იაფია**.

_____

5. ექიმის კაბინეტი **მდებარეობს** მეორე სართულზე.

_____

5.0 ქულა

4. შეავსეთ ტექსტი სიტყვებით და დაბოლოვეთ:

ქალაქის დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად პირველი _____ უკვე გადაიდგა. გარემოს დაცვის სამინისტრო აცხადებს _____ „ჩემი მწვანე ქალაქი“. კონკურსში მონაწილეობ _____ მიღება შეუძლიათ ახალგაზრდა არქიტექტორებს, რომლებმაც _____ დაგეგმონ ქალაქის ახალი უბანი. უბანი _____ გამწვანებული. იქ უნდა დარგონ ფოთლ _____ და წიწვ _____ ხეები. _____ ინფორმაცია შეგიძლიათ _____ გარემოს დაცვის სამინისტროს ვებგვერდზე. პროექტი განხორციელდება გაზაფხულზე.

10.0 ქულა

5. ნიმუშის მიხედვით აწარმოეთ ფორმები:

ნიმუში:

გაკეთება	**გაკეთებული**	**გასაკეთებელი**	**გაუკეთებელი**
მოწესრიგება			
დასრულება			
დაწყება			
გადადება			
მოგვარება			

2.5 ქულა

6. ჩასვით წინადადებაში ზმნა სათანადო ფორმით:

ნიმუში: გუშინ ეს საკითხი ქალაქის მერს არ **აღუნიშნავს** (აღნიშვნა).

1. თურმე ექიმის კაბინეტი მეორე სართულზე _____ (განთავსება).
2. ასეთი საინტერესო ღონისძიება არასდროს _____ (იმართება).
3. ჩვენი ეზო აქამდე არავის _____ (დაბინძურება).
4. თურმე პაციენტს თვალი ძალიან _____ (დაზიანება).
5. სასოფლო-სამეურნეო მიწები ჯერ არ _____ (დატბორვა).

5.0 ქულა

7. მიუწერეთ სიტყვებს სათანადო დაბოლოება:

ნიმუში:

დავით_____ მთელი დღე უნდა იმუშაოს.

დავითმა მთელი დღე უნდა იმუშაოს.

სპორტული დარბაზის_____ ახალი ინვენტარი შეიძინეს.

სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ორი კვირ_____ განმავლობაში.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარებ_____ დროზე აღმოჩენა მნიშვნელოვანია.

ჩვენს კოლეგას ამ პროექტ_____ ბევრი უმუშავია.

თურმე ქალბატონ ნინო_____ სამუშაო ჯერ არ დაუსრულებია.

2.5 ქულა

8. შეუცვალეთ ზმნებს ფორმა ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

ბოტანიკური ბაღის მდგომარეობა თვეში ერთხელ **კონტროლდება**.

ბოტანიკური ბაღის მდგომარეობა თვეში ერთხელ უნდა **გაკონტროლდეს**.

1) შემოვლით გზაზე ბევრი ავტომობილი **გადაადგილდება**.

_____

2) ღონისძიება ხვალ **გაიმართება.**

_____

3) ინფორმაცია სასწრაფოდ **ვრცელდება.**

_____

4) ტყე-პარკის ტერიტორია არ იტბორება.

_____

5) ინფორმაცია მოსახლეობას სწრაფად მიეწოდება.

_____

2.5 ქულა

9. დაასრულეთ წინადადებები:

1. აუცილებელია უსაფრთხოების ზომების_____.
2. დეტალური ინფორმაციის _____ შეგიძლიათ ქალაქის მერიაში.
3. ფრთხილად,_____ სარემონტო სამუშაოები.
4. ახალმა პროექტმა ჟურნალისტების დიდი ინტერესი _____.
5. სტუმრებსა და ვიზიტორებს ბოტანიკური ბაღის _____ ძალიან მოსწონთ.
6. აღნიშნული პროექტის _____ დაგეგმილია მომავალ წელს.
7. წიწვოვანი და ფოთლოვანი ნერგების _____ ხელს შეუწყობს ქალაქის მწვანე საფარის აღდგენას.
8. პაციენტს სჭირდება გადაუდებელი სამედიცინო _____.
9. სხვადასხვა გამოკვლევის _____ აუცილებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის.
10. განცხადება კონკურსის შესახებ_____ ინტერნეტში.

5.0 ქულა

10. **გაასწორეთ წინადადებებში დაშვებული შეცდომები:**

1. სპეციალისტები აკონტროლებენ სიტუაცია.

_____

2. მოსახლეობისთვის წყალი არავინ მიუწოდებია.

_____

3. წყლის მდგომარეობას გუშინ არ შემოწმებულა.

_____

4. იქნებ ქალაქის მერია სპორტული დარბაზი გაარემონტოს.

_____

5. საირიგაციო სისტემას რეაბილიტაცია მალე დაიწყება.

_____

5.0 ქულა

11. გახაზეთ სიტყვა, რომელიც არღვევს კანონზომიერებას:

ნიმუში:	აღდგენა	რეაბილიტაცია	<u>**დაწყება**</u>
ა)	მორწყვა	დარგვა	დაგება
ბ)	სასწრაფო	გადაუდებელი	მზრუნველი
გ)	ტვირთი	წყალსაცავი	ჰესი
დ)	დაბოლოს	ამრიგად	მიერ
ე)	გამორჩეული	ეკონომიური	არასტანდარტული

5.0 ქულა

12. დაუსვით კითხვები წინადადებებში გამოყოფილ სიტყვებს:

კლინიკა „მედი“ თბილისში **უკვე ორი წელია** (1) მუშაობს. იგი **წარმოადგენს** (2) სანკტ-პეტერბურგსა და პრაღაში წარმატებულ „მედი-ესთეტიკის კლინიკათა ჯგუფს“ საქართველოში.

კლინიკას ჰყავს **1 000 000-მდე** (3) კმაყოფილი პაციენტი. პროფესიონალი ექიმების მიერ ჩატარებულია 10 000 წარმატებული **პლასტიკური ოპერაცია** (4). საქართველოს სხვადასხვა ქალაქში: **თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში** (5) განთავსებულია 17 ფილიალი, რომლებიც აკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს. „ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს პაციენტებზე“ - ეს არის კლინიკა „მედის“ მთავარი **პრინციპი**.

ნიმუში:

რა პრინციპით მუშაობს კლინიკა?

(1) _____

(2) _____

(3) _____

(4) _____

(5) _____

5.0 ქულა

13. გამოტოვებული ადგილები შეავსეთ სათანადო შესიტყვებებით:

ირგვლივ	გარშემო	მიერ	ამრიგად	მართლაც	შესახებ	გამო

1) ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია _____ მნიშვნელოვანი პროექტია.

2) პრესაში არ წყდება საუბარი საირიგაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მნიშვნელობის _____.

3) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა დაწყებულია ქალაქის მერიის _____.

4) საავადმყოფოს შენობის_____განთავსებულია პარკი და პატარა ხელოვნური ტბა.

5) _____, შეხვედრა გაიმართება მომავალ კვირას.

5.0 ქულა

14. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით, თბილისი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია. სპეციალისტები ამის რამდენიმე მიზეზზე საუბრობენ. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ჰაერის დაბინძურება ავტომანქანების გამონაბოლქვით, რასაც, თავის მხრივ, იწვევს მანქანების დაძველებული ძრავები და უხარისხო საწვავი. ყველაფერთან ერთად, ავტომანქანების რაოდენობა დღითი დღე სწრაფად იზრდება, რაც ვითარებას უფრო ამძიმებს. მავნე გამონაბოლქვის გარდა, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თბილისის ცენტრალურ უბნებში ხეების მოჭრა და ამის შედეგად ჟანგბადის რაოდენობის შემცირება. ეს ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზიანებას. გარდა ამისა, საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: დაბინძურებული ქალაქი შეიძლება ნაკლებად საინტერესო გახდეს ტურისტებისთვის, ეს კი შეამცირებს თბილისის შემოსავალს.

პრობლემის მოგვარების გზებზე საუბრობს ფონდ „მწვანე სახლის“ დირექტორი გიორგი ვარდოშვილი. მისი აზრით, პირველ რიგში, აუცილებელია ქალაქის გამწვანებაზე ზრუნვა და ახალი მცენარეების დარგვა როგორც ქალაქის ცენტრალურ რაიონებში, ისე - გარეუბნებსა და გზისპირა ზოლებში. მეორე მხრივ, მდგომარეობა არ შეიცვლება, თუ მოსახლეობა თვითონ არ იზრუნებს თავის ქალაქზე. მესამეც, ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე უნდა შეწყდეს მშენებლობა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ სუფთა ჰაერზე და არა ახალ კორპუსებზე. მომავალ თვეში ფონდი აცხადებს კონკურსს, რომელიც ითვალისწინებს ქალაქის გამწვანების ახალი პროექტების შექმნას. „მეტი მწვანე საფარი, სკვერი, მეტი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე, უსაფრთხო გარემო ჩვენს შვილებს“ - ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი, - აცხადებს გიორგი ვარდოშვილი.

1) რატომ არის თბილისი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქი?

_____

2) რა იწვევს თბილისის დაბინძურებას?

_____

3) რა როლს თამაშობს ტრანსპორტი ქალაქის დაბინძურებაში?

_____

4) რას იწვევს ხეების მოჭრა?

_____

5) რა გამოსავალს ხედავს გიორგი ვარდოშვილი?

_____

10.0 ქულა

15. ა) თითოეულ ფოტოს მიუწერეთ მოკლე აღწერა:

I

II

III

I.

II.
III.

1.5 ქულა

ბ) დაწერეთ თემა: „წყალი და მისი მნიშვნელობა“

აღწერეთ:

- თქვენს კუთხეში ბუნებრივი წყლის მდგომარეობა
- თქვენს სახლში წყლის მდგომარეობა
- სასმელი წყლით უზრუნველყოფა
- ონკანის წყლის შესახებ
- საინტერესო ფაქტი ბუნებრივ წყალზე

14.0 ქულა

შეფასება – თემა 14.0 ქულა:

2.0 ქულა — თემის ორგანიზება

2.0 ქულა — თემის მოცულობა (100-120 სიტყვა)

3.0 ქულა — მსჯელობა

2.0 ქულა — არგუმენტაცია, ფაქტების მართებულობა

2.0 ქულა — მორფოლოგია-ორთოგრაფია

1.0 ქულა — სინტაქსი

1.0 ქულა — პუნქტუაცია

1.0 ქულა — ლექსიკა, სტილი

მოსასმენი დიალოგები

I თავი

2.6. ა) მოისმინეთ ინტერვიუ საბა პეტრიაშვილთან და დაუსვით ერთმანეთს კითხვები:

ჟურნალისტი: ბატონო საბა, საქართველოში დღეს ერთ-ერთი **სერიოზული** პრობლემა გზების **დაგება** და **შეკეთებაა**. თოვლიანი ამინდების გამო თქვენს დეპარტამენტს პრობლემები ხომ არ აქვს?

საბა პეტრიაშვილი: მართალი ბრძანდებით, თოვლის გამო პრობლემები ნამდვილად გვაქვს. მაგალითად, კობი-გუდაურის გზის მონაკვეთზე გადაადგილება ახლა აკრძალულია.

ჟურნალისტი: ბატონო საბა, შემოვლითი გზით არ შეიძლება გუდაურში წასვლა?

საბა პეტრიაშვილი: სამწუხაროდ, რთული რელიეფის გამო შემოვლითი გზის დაგება გუდაურში შეუძლებელია.

ჟურნალისტი: ხომ შეიძლება თოვლმა კობი-გუდაურის გზა სერიოზულად დააზიანოს?

საბა პეტრიაშვილი: რა თქმა უნდა, დაზიანებს, მაგრამ ჩვენ კვალიფიციური მუშები გვყავს. ისინი ყოველთვის სწრაფად და ხარისხიანად აკეთებენ საქმეს. მალე არა მარტო სატვირთო მანქანების, არამედ ავტომობილების მოძრაობაც იქნება შესაძლებელი.

ჟურნალისტი: ამ დროს გუდაურში ყოველთვის ბევრი ხალხია. გზის შეკეთება ხელს შეუწყობს ჩამოსულ სტუმრებს კომფორტულად გადაადგილებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

საბა პეტრიაშვილი: დიახ, ასეა. ახლა გზას მხოლოდ შევაკეთებთ, გაზაფხულზე კი ახალი გზის მშენებლობას ვგეგმავთ. ეს აუცილებელი გახდა რამდენიმე მიზეზის გამო: საქართველოსთვის ტურიზმის განვითარება პრიორიტეტულია, ინფრასტრუქტურის განვითარება კი ხელს შეუწყობს უცხოელი პარტნიორების დაინტერესებას.

ჟურნალისტი: ბატონო საბა, დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის.

საბა პეტრიაშვილი: მადლობა თქვენ, ნახვამდის!

3.8. ა) მოისმინეთ ტექსტი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

ალექსანდრე ლაითაძე – მუშა

- დღეში 40 ლარი გვაქვს ხელფასი. ჩვენ ყოველდღე გზის 50-მეტრიან მონაკვეთზე ვმუშაობთ. ჩვენ ვაგებთ გზას. სამუშაო ნაწილი სუფთა უნდა იყოს ყოველთვის, ამიტომ ერთი პრობლემა გვაქვს, თუ ცუდი ამინდია, კარგად ვერ ვმუშაობთ, დრო კი ცოტა გვაქვს.

გიორგი გეგენავა – ინჟინერი

- მე გიორგი გეგენავა ვარ, პროფესიით - ინჟინერი, საგზაო ინჟინერი. გოდერძის კურორტის პროექტზე კიდევ ერთი წელი ვიმუშავებთ. ჩვენ გოდერძის უღელტეხილზე ახალ გზას ვაგებთ, ეს კი რთული საქმეა, გოდერძის უღელტეხილი ძალიან რთული მონაკვეთია თავისი რელიეფით. აქ გადაადგილება უნდა იყოს უსაფრთხო და კომფორტული. ჩვენ უკვე დავასრულეთ 10-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა.

მენეჯერი – დავით დოიჯაშვილი

-გამარჯობა, მე დავით დოიჯაშვილი ვარ. გოდერძის უღელტეხილის მშენებლობაზე უკვე ნახევარი წელია ვმუშაობ. პროექტს დავასრულებთ ერთ წელიწადში, ჩვენ დავაგებთ ხარისხიან გზას, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას ამ რეგიონში. მე პროექტის მენეჯერი ვარ. აქ ყველა დილიდან დაღამებამდე გზის მშენებლობაზე ვმუშაობთ.

მღებავი – ჯემალ დარჩიაშვილი

მე ჯემალი ვარ, ჩემი საქმე მარტივია, მაგრამ, მე ვფიქრობ, მნიშვნელოვანი. მე ვხაზავ გზებს, ეს მნიშვნელოვანი საქმეა, მე ვხაზავ გზის განაპირა ზოლს, წყვეტილ ხაზებს და ღერძულა ხაზებს. მძღოლებმა იციან ამ ხაზების მნიშვნელობა, მაგალითად ღერძულა ხაზის გადაკვეთა არ შეიძლება...

მეორე თავი

2.5. ა) მოუსმინეთ დიალოგს:

ბატონო გიორგი, ყველამ ვიცით, რომ საქართველოს ბევრ სკოლაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. საჭიროა სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება, რა უნდა გავაკეთოთ დღეს ამ მიზნით?

დიდი მადლობა ამ საინტერესო კითხვისთვის. დღეს ბევრ სკოლაში მართლაც მძიმე მდგომარეობაა, ზოგ სკოლაში არ არის გათბობის სისტემა, ზოგ სკოლაში არ აქვთ დენი, ზოგ სკოლაში კი დაზიანებულია კედლები. ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის უნდა გავარემონტოთ სკოლები, უნდა შევაკეთოთ დაზიანებული შენობები, კარგად უნდა დავგეგმოთ ყველაფერი. ჩვენ ყველაფერს

ვაკეთებთ ამისთვის. მაგალითად, სოფელ ჯანდარის სკოლაში რემონტი ოცი წლის განმავლობაში ჯერ არავის გაუკეთებია, ჩვენ და ამერიკის ფონდი კი ამ წელს დავიწყებთ ამ სკოლის შენობის შეკეთებას.

ბატონო გიორგი, გმადლობთ ამ მნიშვნელოვანი ინფორმაციისათვის და იმისთვის, რომ დღეს ჩვენთან იყავით.

მადლობა თქვენ!

მესამე თავი

1.4. ა) მოისმინეთ დიალოგი:

— გამარჯობა, ბატონო კობა, მობრძანდით, დაბრძანდით, დიდი მადლობა ჩვენს რადიოში მობრძანებისთვის.

— თქვენც გმადლობთ, ქალბატონო თეა.

— ბატონო კობა, თქვენ ხართ ახალქალაქის მერი, ამიტომ თქვენთან გვინდა ვისაუბროთ ახალქალაქის პრობლემებზე, როგორ ფიქრობთ, რა არის ახალქალაქში დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა?

— საინტერესო შეკითხვაა. ჩემი აზრით, დღეს ჩვენს ქალაქში, ისევე როგორც საქართველოს ბევრ სხვა პატარა თუ დიდ ქალაქში, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა. ცოტაა ისეთი საბავშვო ბაღი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და მოთხოვნებს. მშობელი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი შვილი კარგ პირობებში ატარებს მთელ დღეს, აქვთ გემრიელი საჭმელი და სასიამოვნო გარემო.

— კი, ნამდვილად, ეს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მეც მშობელი ვარ და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემი შვილი იყოს კარგ პირობებში. ბატონო კობა, რამდენი საბავშვო ბაღია დღეს ახალქალაქში და როგორი პირობებია იქ?

— დღეს ახალქალაქში ორი საბავშვო ბაღი მუშაობს, სამწუხაროდ, მესამე ბაღის შენობა ავარიულია, მაგრამ უკვე დაიწყო მისი შეკეთება. ეს შენობა არასდროს გაურემონტებიათ, ამიტომ აქ ძალიან ბევრი პრობლემაა. სარემონტო სამუშაოები ამ ბაღში შეიძლება უკვე წლის ბოლოსთვისაც დავასრულოთ.

— ბატონო კობა, ახლა მინდა ვილაპარაკოთ ახალქალაქის პირველ საბავშვო ბაღზე. ჩვენ ვიცით, რომ ეს ძველი შენობაა, მაგრამ ახლა აქ კარგი პირობებია, ვის მიერ არის ეს შენობა გარემონტებული?

— ეს შენობა გარემონტებულია ახალქალაქის რაიონის გამგეობის მიერ...

3. 5. მოუსმინეთ დიალოგს:

დედა: როდის მოამზადებ საშინაო დავალებას მათემატიკაში? დღეს ისწავლე ყველა საგანი, შაბათ-კვირას, ალბათ, სოფელში წავალთ ბებოსთან.

შვილი: არ ვიცი, დედა, ალბათ, დღეს ვერ მოვამზადებ.

დედა: რამე პრობლემა გაქვს? რატომ ვერ აკეთებ ამ დავალებას? რთული დავალებაა?

შვილი: კი, დედა, ძალიან რთული დავალებაა, ვერ ვაკეთებ.

დედა: კარგი, მაშინ ფიზიკა ისწავლე, რა თემაზე ხართ ფიზიკაში?

შვილი: ფიზიკაში ვსწავლობთ ეკოლოგიას, მზის ენერგიას, მზის ენერგიის დაგროვებას და ელექტროენერგიის დაზოგვას.

დედა: ძალიან საინტერესო თემაა. იცი, თურმე ახალციხეში მწვანე ბაღი გაუხსნიათ.

შვილი: მწვანე ბაღი რაღა არის?

დედა: სწორედ ის არის, რასაც ახლა სწავლობ ფიზიკაში - ეკოლოგიურად სუფთა საბავშვო ბაღი, რომელიც ბავშვებისთვის იქნება უსაფრთხო და საინტერესო.

შვილი: რა კარგია ასეთი ბაღი! იქ ბავშვები, არ ისწავლიან ფიზიკას და მათემატიკას...

პირველი შემაჯამებელი

6 .მოსასმენის სრული ვარიანტი: ინტერვიუ სკოლის დირექტორთან:

— მოგესალმებით, ბატონო ნოდარ, გმადლობთ, რომ დღეს თქვენ ჩვენი სტუდიის სტუმარი ბრძანდებით.

— გამარჯობა, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თქვენთან სტუმრობა.

— ბატონო ნოდარ, წინა კვირას გავრცელდა ინფორმაცია თქვენს სკოლაში განხორციელებული ახალი პროექტის შესახებ, რომელიც ძალიან საინტერესოა და გამორჩეული.

— კი, ჩვენს პროექტს „ეკოლოგიის სკოლა“ ჰქვია. სკოლაში მოწყობილი გვაქვს ეკოლოგიის კაბინეტი, რომელიც თანამედროვე სტანდარტების მიხედვითაა აღჭურვილი, გვაქვს კომპიუტერები, წიგნები, დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა.

— ბატონო ნოდარ, რას აკეთებენ ბავშვები ამ კაბინეტში? რას ასწალით მათ?

— მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვები თან სწავლობენ და თან მუშაობენ. ისინი იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის

ეკოლოგიურად სუფთა გარემო, რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის, რა არის ეკოლოგიური შენობა, როგორ უნდა დავზოგოთ ელექტროენერგია და ვიმუშავოთ მზის ენერგიაზე, როგორ გვეხმარება ბუნება და როგორ უნდა ვიზრუნოთ მასზე.

— მართლაც ძალიან საინტერესო გარემო ჰქონიათ თქვენს მოსწავლეებს. დაბოლოს, ვინ დააფინანსა ეს პროექტი?
— პროექტი დააფინანსა ქუთაისის მერიამ.
— დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებებს.
— თქვენც მადლობა!

მეოთხე თავი

2. 5. მოისმინეთ დიალოგი და დაალაგეთ თანმიმდევრულად:

დიალოგი 1:

— გამარჯობა, რეგისტრატურაა?
— **კლინიკა „ფარმაცია“ გისმენთ.**
— მე ექიმ ჯაბა დიასამიძის პაციენტი ვარ და მასთან ჩაწერა მინდა.
— **კი, ბატონო. როდის გნებავთ ჩაწერა?**
— ბატონი ჯაბა თბილისშია? სადმე ხომ არ მიემგზავრება?
— არა, არსად არ მიდის, მთელი კვირა თბილისშია და პაციენტებს იღებს.
— ძალიან კარგი, ესე იგი ოთხშაბათს შემიძლია მოვიდე?
— **დიახ, ოთხშაბათს, ხუთ საათზე, ბატონი ჯაბა თავისუფალია, ჩაწერილი ხართ. მისაღებში მობრძანდით, თან გქონდეთ პასპორტი.**
— გმადლობთ.

დიალოგი 2:

— ალო, კლინიკა „არდია“?
— **დიახ, გისმენთ.**
— გამოკვლევის ჩატარება მინდა. როდის იქნება თავისუფალი ბატონი არჩილი?
— **სამშაბათს, სამზე.**
— ჩამწერეთ, თუ შეიძლება.
— **ჩაწერილი ხართ, მობრძანდით სამშაბათს სამზე მისაღებში.**
— მისაღები ბატონი არჩილის კაბინეტის გვერდითაა?
— **დიახ, მისაღებიც და ბატონი არჩილის კაბინეტიც პირველ სართულზეა განთავსებული, პალატები, საოპერაციო ბლოკი, გამოკვლევა – მესამე სართულზე.**
— დიდი მადლობა.
— **კარგად ბრძანდებოდეთ.**

3.5. ა) მოისმინეთ დიალოგი:

— გამარჯობა, ქალბატონო ნატალია.
— გამარჯობა, ელისო, როგორ ხარ? სად მიდიხარ?
— მე ახლა სპორტულ დარბაზში მივდივარ, ათ წუთში უნდა ვიყო იქ.
— რა კარგია, მეც მინდა სპორტულ დარბაზში სიარული, კარგი პირობებია მანდ?
— კი, არაჩვეულებრივი პირობებია. დარბაზი ახალგარემონტებულია, ინფრასტურქტურა შესანიშნავი; ხარისხიანი ტრენაჟორები, სარბენი ბილიკები და ა.შ. ყველა კმაყოფილია, რადგან ბევრი ხალხი დადის.
— შენ ხშირად დადიხარ?
— ისე რა. ყოველთვის ვერ მივდივარ. როცა დარბაზში ვარ, თან ვვარჯიშობ ტრენაჟორებზე და თან მუსიკას ვუსმენ.
— ძალიან კარგი, ამ კვირაში დასამთავრებელი მაქვს პროექტი, რომელსაც ქალაქის მერია აფინანსებს და შემდეგი კვირიდან მეც აუცილებლად წამოვალ სავარჯიშოდ.
— კარგი, აბა. მეც გასაკათებელი მაქვს საქმე. წავედი, დროებით.
— კარგად...

მეხუთე თავი

1.3. მოისმინეთ და შეავსეთ დიალოგი:

— დედა, წყალი არ მოდის?
— არა, შვილო, არ მოდის, დღეს დილით შეწყდა.
— რა საშინელებაა, ნეტა, მთელი დღე არ იქნება წყალი?
— ტელევიზორში თქვეს, მთელი დღე არ იქნებაო.
— ნეტა რა მოხდა?
— თბილისის წყლის კომპანიის განცხადებით, სადღაც დაზიანდა წყალსადენი მილი.
— სად? სად დაზიანდა?
— არ ვიცი, კარგად ვერ გავიგე.
— რა საშინელებაა...

1.6. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

— ხვალ გამოცდა გვაქვს და ეს პროექტი აუცილებლად უნდა დავასრულოთ.
— კი, უნდა დავასრულოთ, მაგრამ ჯერ ეს ორი დავალება უნდა დავწეროთ.
— რა უნდა გავაკეთოთ?
— უნდა **დავწეროთ განცხადება** და ინტერვიუ.
— კარგი და რით დავიწყოთ?
— ჯერ, მოდი, **განცხადება დავწეროთ**, ხოლო შემდეგ, მოდი, ინტერვიუ დავასრულოთ.
— კარგი, მართალი ხარ, მოდი, ასე გავაკეთოთ...

3.2. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

— ნაზი, გამარჯობა, რას ამბობენ ტელევიზორში? **როგორი ზაფხული გვექნებაო?**
— რა ვიცი, ლიანა, ცხელი ზაფხული იქნებაო.
— როდის დასრულდება **ჩვენი სოფლის სარწყავი არხის მშენებლობა?**
— რა თქვი? **რა დასრულდება?**
— რას ამბობენ, ჩვენი სოფლის სარწყავი არხის მშენებლობა **როდის დასრულდება–მეთქი?**
— ზაფხულისთვის **დავასრულებთო.**
— კარგია, კარგი, მიტოს უთხარი, ხვალ დილით ადრე **გავდივართ ვენახში–თქო...**

მეექვსე თავი

1.2. ა) მოისმინეთ დიალოგი:

— ბატონო ნოდარ, მოგესალმებით. ახლა შემოდგომაა და თბილისის ზოგიერთ უბანში ვხედავთ, თუ როგორ მუშაობენ სკვერებში და როგორ რგავენ ხეებსა და სხვადასხვა მცენარეს. თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით გვიამბეთ მერიის გეგმების შესახებ.
— დიდი სიამოვნებით. ყველამ ვიცით, რომ თბილისში არცთუ ისე კარგი მდგომარეობაა ეკოლოგიური დაბინძურების მხრივ, ამდენად, თბილისის მერია გეგმავს მნიშვნელოვანი ზომების მიღებას ვითარების გაუმჯობესებისთვის. პირველ რიგში, აუცილებელია ქალაქის გამწვანებაზე ზრუნვა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა მარტო ახალი ხეების დარგვაზე, არამედ ძველი ნარგავების მოვლაზეც. მიმდინარე წელს ქალაქის ცენტრალურ უბნეში უკვე დარგულია 10 000-მდე წიწვოვანი ნერგი, ახლა ვმუშაობთ ქალაქის გარეუბნებში, სადაც ასევე ვგეგმავთ 20 000-მდე ახალი ძირის დარგვას.
— მაინტერესებს, ახალი ნერგები ძირითადად სკვერებში ირგვება?
— არა მარტო სკვერებში, არამედ კორპუსების წინ და გზისპირა ზოლშიც.
— დიდი მადლობა, მომავალ შეხვედრამდე.
— თქვენც მადლობა, მე ყოველთვის მზად ვარ, ვუპასუხო თქვენს კითხვებს.

3.3. მოისმინეთ დიალოგი, მეგობრების სატელეფონო საუბარი:

— ნატალია, როგორ ხარ? რას შვრები დღეს?

— დღეს არაფერს, თავისუფალი ვარ, შენ რას შვრები? ბევრი საქმე გაქვს?

— არა, ისეთი არაფერი, პროექტზე მუშაობა დღეს დილით დავასრულე და ახლა მეც თავისუფალი დრო მაქვს, რამე ხომ არ დავგეგმოთ?

— კი შეიძლება, იქნებ კინოში წავიდეთ?

— კარგი აზრია ან იქნებ ჯერ ნინიასთან მოვახერხოთ წასვლა და ყველა ერთად წავიდეთ კინოში.

— კარგი, მაშინ დროებით.

— დროებით...

3.7. მოისმინეთ რეკლამა და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

თავისუფლების მოედანზე **მდებარე** ალექსანდრე პუშკინის სახელობის **სკვერი** ერთ-ერთი ყველაზე მყუდრო და **კეთილმოწყობილი** სკვერია თბილისში. მას მცირე ფართობი უკავია ქალაქის **შუაგულში**. სკვერს კიდევ უფრო მეტად ალამაზებს ფერადი მუსიკალური შადრევანი. დასვენების **გარდა**, პუშკინის სახელობის სკვერში მოქმედი wi-fi (უსადენო) ინტერნეტი სასიამოვნოსა და **სასარგებლოს** შეთავსების საშუალებას იძლევა. ახლა უკვე **შესაძლებელია ქალაქიდან გაუსვლელად** მშვიდ გარემოში განმარტოვება და ამავდრულად, საქმის კეთებაც.

მეორე შემაჯამებელი

5. მოისმინეთ დიალოგი და დაასრულეთ წინადადებები:

1)

— ბატონო გიორგი, ვრცელდება ინფორმაცია, რომ გლდანის რაიონში დაზიანებული მილის გამო მოსახლეობას დაბინძურებული სასმელი წყალი მიეწოდება.

— მოგესალმებით, ეს არ არის სიმართლე, კი, მილი დაზიანდა, მაგრამ აღდგენითი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, სიტუაცია კონტროლდება და სასმელი წყლის ხარისხი მუდმივად მოწმდება.

— ანუ მოსახლეობას შეუძლია მშვიდად იყოს?

— დიახ, წყალი სუფთაა და მისი დალევა თავისუფლად შეუძლიათ ჩვენი დედაქალაქის მაცხოვრებლებს.

— გმადლობთ. ძალიან მიხარია ამის მოსმენა.

2)

— ქალბატონო ნათელა, როდის და სად გაიმართება ქარელის მუნიციპალიტეტის საახალწლო ღონისძიება?

— საახალწლო ღონისძიების მოწყობას ვგეგმავთ 31 დეკემბერს, სცენას კი ქალაქის ცენტრში მოვაწყობთ.

— ვინ მიიღებს კონცერტში მონაწილეობას?

— მომღერლები და მოწვეული სტუმრები ჩამოვლენ თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან, როგორც ვიცი, მხოლოდ რამდენიმე მათგანი ვერ შეძლებს ჩამოსვლას.

— კონცერტი, ალბათ, საღამოს გაიმართება. დღისით თუ გეგმავთ რამეს?

— დღისით მოეწყობა ბაზრობა, სადაც გაიყიდება ჩვენი ბავშვების მიერ გაკეთებული სათამაშოები. გარდა ამისა, ჩვენი პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კონკურსისა და გათამაშების ჩატარებას...

— რა კარგია! თელაველები სასიამოვნოდ გაატარებენ დროს და ერთად შეხვდებიან ახალ წელს.

დანართი

თავი I

ახალი სიტყვები:	
ვინ? მაცხოვრებელი	**როგორი?** ცენტრალური შეკეთებული გაკეთებული გაფუჭებული დანგრეული სერიოზული ჩამოსული შემოვლითი ტრანზიტული სატვირთო საბაგირო დაგეგმილი გაზრდილი შემცირებული დაცული გადატვირთული შეზღუდული მიწისზედა მიწისქვეშა უსაფრთხო ღერძულა წყვეტილი განაპირა მქონე
რა? საგზაო ნიშანი აბრა გზაჯვარედინი შუქნიშანი გადასასვლელი კუთხე გრადუსი გაჩერება მოსაცდელი ნაკადი დაგება შეკეთება რელიეფი მშენებლობა მოძრაობა გადაადგილება გამონაბოლქვი მონაკვეთი ასფალტი ტროტუარი შესაძლებლობა	
როდის? მალე	
ზმნები: აჩერებს ასრულებს აგებს აკეთებს აწესრიგებს გამოდის გეგმავს იწყებს ასრულებს ხარჯავს ხაზავს	

ფრაზები:

- ხელს უწყობს
- ასე რომ

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)
		... ის მას	...ის მას / ...მან ის	...ის მას
1.	გაჩერება	აჩერებს ის მას	აჩერებდა ის მას გააჩერა მან ის	გააჩერებს ის მას
2.	დასრულება	ასრულებს ის მას	ასრულებდა ის მას დაასრულა მან ის	დაასრულებს ის მას
3.	დაგება	აგებს ის მას	აგებდა ის მას დააგო მან ის	დააგებს ის მას
4.	შეკეთება	აკეთებს ის მას	აკეთებდა ის მას შეაკეთა მან ის	შეაკეთებს ის მას
5.	მოწესრიგება	აწესრიგებს ის მას	აწესრიგებდა ის მას მოაწესრიგა მან ის	მოაწესრიგებს ის მას
6.	გამოსვლა	გამოდის ის	გამოდიოდა ის გამოვიდა ის	გამოვა ის
7.	დაგეგმვა	გეგმავს ის მას	გეგმავდა ის მას დაგეგმა მან ის	დაგეგმავს ის მას
8.	დაწყება	იწყებს ის მას	იწყებდა ის მას დაიწყო მან ის	დაიწყებს ის მას
9.	დახარჯვა	ხარჯავს ის მას	ხარჯავდა ის მას დახარჯა მან ის	დახარჯავს ის მას
10	დახაზვა	ხაზავს ის მას	ხაზავდა ის მას დახაზა მან ის	დახაზავს ის მას

თავი 11

ახალი სიტყვები:	
რა? მუნიციპალიტეტი დარბაზი ბილიკი ზომა პირობები გათბობა სისტემა შენობა საპრეგულო გამგეობა მდგომარეობა რემონტი ბზარი სადენი დენი პარ-ფანჯარა საძირკველი მონაწილეობა კაბინეტი ცოდნა	**რომელი?** აღჭურვილი დაზიანებული დანგრეული საპლასო შიდა გარე თანამედროვე ყოფილი მოწყობილი არასტანდარტული ახლანდელი ავარიული შემოღობილი საყურადღებო დამონტაჟებული კეთილგანწყობილი პირველადი სამედიცინო **როგორ?** სასწრაფოდ
ზმნები: იწყებს ატარებს ამზადებს დგამს ამონტაჟებს არემონტებს	

ფრაზები:

- იღებს მონაწილეობას
- იღებს ცოდნას
- იღებს განათლებას
- ფრთხილად

	საწყისი (რა?)	ახლან-დელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომა+ვალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
		... ის მას	...ის მას / ...მან ის	...ის მას	უნდა ... მან ის	ჯერ არ... მას ის თურმე... მას ის
1.	მომზადება	ამზადებს ის მას	ამზადებდა ის მას მოამზადა მან ის	მოამზადებს ის მას	უნდა მოამზადოს მან ის	მოუმზადებია მას ის
2.	დაწყება	იწყებს ის მას	იწყებდა ის მას დაიწყო მან ის	დაიწყებს ის მას	უნდა დაიწყოს მან ის	დაუწყია მას ის
3.	დასრულება	ასრულებს ის მას	ასრულებდა ის მას დაასრულა მან ის	დაასრუ-ლებს ის მას	უნდა დაასრულოს მან ის	დაუსრულებია მას ის
4.	ჩატარება	ატარებს ის მას	ატარებდა ის მას ჩაატარა მან ის	ჩაატარებს ის მას	უნდა ჩაატაროს მან ის	ჩაუტარებია მას ის
5.	დადგმა	დგამს ის მას	დგამდა ის მას დადგა მან ის	დადგამს ის მას	უნდა დადგას მან ის	დაუდგამს მას ის
6.	დამონ-ტაჟება	ამონტაჟებს ის მას	ამონტაჟებდა ის მას დაამონტაჟა მან ის	დაამონ-ტაჟებს ის მას	უნდა დაამონტაჟოს მან ის	დაუმონტაჟებია მას ის
7.	გარემონ-ტება	არემონ-ტებს ის მას	არემონტებდა ის მას გაარემონტა მან ის	გაარემონ-ტებს ის მას	უნდა გაარემონტოს მან ის	გაურემონტებია მას ის
8.	მონაწი-ლეობის მიღება	იღებს მონაწი-ლეობას ის	იღებდა მონაწილეობას ის მიიღო მონაწილეობა მან	მიიღებს მონაწი-ლეობას ის	უნდა მიიღოს მონაწილეობა მან	მიუღია მონაწილეობა მას

თავი III

ახალი სიტყვები:	
ვინ? აღსაზრდელი აღმზრდელი	**როგორი?** კეთილმოწყობილი კეთილგანწყობილი აქტუალური დარწმუნებული ხალხური ყურადღებიანი დაკავებული მზრუნველი პროფესიონალი ცელქი მოუწყობელი დაუსრულებელი საერთო დაფინანსებული ეკოლოგიური
რა? მიწისძვრა ღონისძიება კეთილმოწყობა კეთილგანწყობა აქტუალურობა დარწმუნება შეზღუდვა მოსახლეობა ელექტროენერგია	
ზმნები: ანგრევს აკმაყოფილებს დადის ხსნის ხურავს ზრუნავს ღებავს აგროვებს ზოგავს აფინანსებს	

ფრაზები:

- არ გაურემონტებია
- არასდროს გაურემონტებია
- აქამდე არ გაურემონტებია
- არასდროს გაურემონტებიათ
- აქამდე არ გაუკეთებიათ
- თურმე გაურემონტებიათ
- თურმე ჰქონიათ
- თურმე მუშაობს
- შეიძლება ჩაატაროს
- გიწვევთ ღონისძიებაზე
- გთხოვთ მობრძანდეთ
- პროექტის მიხედვით
- ქალაქის მერის მიერ

	საწყისი (რა?)	ახლანდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
		... ის მას	...ის მას / ...მან ის	...ის მას	უნდა ... მან ის	ჯერ არ... მას ის თურმე... მას ის
1.	დანგრევა	ანგრევს ის მას	ანგრევდა ის მას დაანგრია მან ის	დაანგრევს ის მას	უნდა დაანგრიოს მან ის	დაუნგრევია მას ის
2.	დაკმაყო-ფილება	აკმაყო-ფილებს ის მას	აკმაყოფილებდა ის მას დააკმაყოფილა მან ის	დააკმაყო-ფილებს ის მას	უნდა დააკმაყო-ფილოს მან ის	დაუკმაყო-ფილებია მას ის
3.	გახსნა	ხსნის ის მას	ხსნიდა ის მას გახსნა მან ის	გახსნის ის მას	უნდა გახსნას მან ის	გაუხსნია მას ის
4.	დახურვა	ხურავს ის მას	ხურავდა ის მას დახურა მან ის	დახურავს ის მას	უნდა დახუროს მან ის	დაუხურავს მას ის
5.	შეღებვა	ღებავს ის მას	ღებავდა ის მას შეღება მან ის	შეღებავს ის მას	უნდა შეღებოს მან ის	შეუღებავს მას ის
6.	დაგროვება	აგროვებს ის მას	აგროვებდა ის მას დააგროვა მან ის	დააგროვებს ის მას	უნდა დააგროვოს მან ის	დაუგროვებია მას ის
7.	დაზოგვა	ზოგავს ის მას	ზოგავდა ის მას დაზოგა მან ის	დაზოგავს ის მას	უნდა დაზოგოს მან ის	დაუზოგავს მას ის
8.	დაფი-ნანსება	აფინანსებს ის მას	აფინანსებდა ის მას დააფინანსა მან ის	დააფი-ნანსებს ის მას	უნდა დააფინანსოს მან ის	დაუფინანსებია მას ის
9.	ზრუნვა	ზრუნავს ის	ზრუნავდა ის იზრუნა მან	იზრუნებს ის	უნდა იზრუნოს მან	უზრუნია მას
10.	წასვლა	დადის ის	დადიოდა ის წავიდა ის	წავა ის	უნდა წავიდეს ის	წასულა ის

თავი IV

ახალი სიტყვები:	
რა? ძრავა საწვავი კვამლი ხელშეკრულება ხელმოწერა კლინიკა გამოკვლევა პალატა ოპერაცია რეგისტრატურა ბლოკი კომპლექსი მომხმარებელი მომსახურება ხარისხი	**როგორი?** ადაპტირებული ეკონომიური მოხერხებული უსიამოვნო დაბინძურებული გამართული ხელმისაწვდომი გამორჩეული გადაუდებელი განთავსებული განხორციელებული საოპერაციო მოგვარებული მოსახერხებელი გამართული ჯანსაღი გამაჯანსაღებელი
ზმნები: ვრცელდება ფინანსდება გადაადგილდება ზიანდება ბინძურდება აღინიშნება იმართება გამოიყოფა განთავსდება ხორციელდება	

ფრაზები:

- მოგესალმებით
- გვინდა აღვნიშნოთ
- დაბოლოს
- ამრიგად
- მართლაც
- თან ვმუშაობ, თან ვსწავლობ
- ეკოლოგიური გარემო
- ეკოლოგიურად სუფთა გარემო
- ეკოლოგიური ტრანსპორტი
- ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარება
- საავადმყოფოს გარშემო
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი
- შენობის ირგვლივ

	საწყისი (რა?)	ახლა-ნდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
		... ის	...ის	...ის	უნდა ... ის	ჯერ არ... ის თურმე... ის
1.	გავრცელება	ვრცელდება ის	ვრცელდებოდა ის გავრცელდა ის	გავრცე-ლდება ის	უნდა გავრცელდეს ის	გავრცე-ლებულა
2.	დაფინანსება	ფინანსდება ის	ფინანსდებოდა ის დაფინანსდა ის	დაფი-ნანსდება ის	უნდა დაფინანსდეს ის	დაფინან-სებულა ის
3.	გადაად-გილება	გადაად-გილდება ის	გადაად-გილდებოდა ის გადაადგილდა ის	გადაად-გილდება ის	უნდა გადაად-გილდეს ის	გადაად-გილებულა ის
4.	დაზიანება	ზიანდება ის	ზიანდებოდა ის დაზიანდა ის	დაზიანდება ის	უნდა დაზიანდეს ის	დაზიანებულა ის
5.	დაბინძურება	ბინძურდება ის	ბინძურდებოდა ის დაბინძურდა ის	დაბინ-ძურდება ის	უნდა დაბინძურდეს ის	დაბინძუ-რებულა ის
6.	აღნიშვნა	აღნიშნავს ის მას	აღნიშნავდა ის მას აღნიშნა მან ის	აღნიშნავს ის მას	უნდა აღნიშნოს მან ის	აღუნიშნავს მას ის
7.	გამართვა	იმართება ის	იმართებოდა ის გაიმართა ის	გაიმართება ის	უნდა გაიმართოს ის	გამართულა ის
8.	გამოყოფა	გამოიყოფა ის	გამოიყოფოდა ის გამოიყო ის	გამოიყოფა ის	უნდა გამოიყოს ის	გამოყოფილა ის
9.	განთავსება	განთა-ვსდება ის	განთავსდა ის	განთავსდება ის	უნდა განთავსდეს ის	განთავსებულა ის
10.	განხორ-ციელება	ხორ-ციელდება ის	ხორციე-ლდებოდა ის განხორ-ციელდა ის	განხორ-ციელდება ის	უნდა განხორ-ციელდეს ის	განხორ-ციელებულა ის

თავი V

ახალი სიტყვები:	
რა? სასმელი ონკანი აბონენტი წყალმომარაგება წყალდიდობა მოხმარება საშინელება აღდგენა ნაგებობა ნაკადი არხი ინტერესი გაუმჯობესება აღდგენა	**როგორი?** მკაცრი დეტალური საირიგაციო/მოსარწყავი ანკარა/სუფთა უცნაური სამეურნეო მიმდებარე უზარმაზარი უმჯობესი საირიგაციო სასოფლო-სამეურნეო გაწმენდილი ეფექტური **როგორ?** აბსოლუტურად
ზმნები: მარაგდება მიეწოდება მოწმდება წყდება კონტროლდება ხორციელდება იტბორება იზრდება ემსახურება წარმოადგენს აღორძინებს მიმდინარეობს იყენებს	

ფრაზები:

- ძმის მაგივრად
- დის ნაცვლად
- მიუხედავად იმისა, რომ
- უსაფრთხოების წესების დაცვა
- დეტალური ინფორმაციის მიღება
- მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები
- ზაფხულის განმავლობაში
- ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლის სტატუსი
- გამოთქვეს აზრი
- ნაბიჯი გადაიდგა
- ინტერესს იწვევს

ეფექტი	საწყისი (რა?)	ახლან+დელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
		... ის	...ის	...ის	უნდა ... ის	ჯერ არ... ის თურმე... ის
1.	მომარაგება	მარაგდება ის	მარაგდებოდა ის მომარაგდა ის	მომარაგდება ის	უნდა მომარაგდეს ის	მომარა-გებულა ის
2.	მიწოდება	მიეწოდება ის	მიეწოდებოდა ის მიეწოდა ის	მიეწოდება ის	უნდა მიეწოდოს ის	მიწოდებულა ის
3.	შემოწმება	მოწმდება ის	მოწმდებოდა ის შემოწმდა ის	შემოწმდება ის	უნდა შემოწმდეს ის	შემოწმებულა ის
4.	შეწყვეტა	წყდება ის	წყდებოდა ის შეწყდა ის	შეწყდება ის	უნდა შეწყდეს ის	შეწყვეტილა ის
5.	გაკონ-ტროლება	კონტრო-ლდება ის	კონტრო-ლდებოდა ის გაკონტ-როლდა ის	გაკონტ-როლდება ის	უნდა გაკონტ-როლდეს ის	გაკონტრო-ლებულა ის
6.	განხორ-ციელება	ხორციე-ლდება ის	ხორციე-ლდებოდა ის განხორ-ციელდა ის	განხორ-ციელდება ის	უნდა განხორ-ციელდეს ის	განხორცი-ელებულა ის
7.	დატბორვა	იტბორება ის	იტბორებოდა ის დაიტბორა ის	დაიტბორება ის	უნდა დაიტბოროს ის	დატბორილა ის
8.	გაზრდა	იზრდება ის	იზრდებოდა ის გაიზარდა ის	გაიზრდება ის	უნდა გაიზარდოს ის	გაზრდილა ის

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ	ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ (რა?)	ᲐᲮᲚᲐ-ᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲮᲚᲐ (რას შვრება?)	ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ (რას შვრებოდა?) ᲒᲣᲨᲘᲜ ᲣᲙᲕᲔ (რა ქნა?)	ᲛᲝᲛᲐ+ᲕᲐᲚᲘ ᲮᲕᲐᲚ (რას იზამს?)	ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ + ᲣᲜᲓᲐ (რა უნდა ქნას?)	ᲯᲔᲠ ᲐᲠ/ᲗᲣᲠᲛᲔ (რა უქნია?)
		... ᲘᲡ ᲛᲐᲡ	...ᲘᲡ ᲛᲐᲡ / ...ᲛᲐᲜ ᲘᲡ	...ᲘᲡ ᲛᲐᲡ	ᲣᲜᲓᲐ ... ᲛᲐᲜ ᲘᲡ	ᲯᲔᲠ ᲐᲠ... ᲛᲐᲡ ᲘᲡ ᲗᲣᲠᲛᲔ... ᲛᲐᲡ ᲘᲡ
1.	მომსა-ხურება	ემსახურება ის მას	ემსახურებოდა ის მას მოემსახურა ის მას	მოემსა-ხურება ის მას	უნდა მოემსა-ხუროს ის მას	მომსახურებია ის მას
2.	წარმო-დგენა	წარმოა-დგენს ის მას	წარმოადგენდა ის მას წარმოადგინა მან ის	წარმოა-დგენს ის მას	უნდა წარმოა-დგინოს მან ის	წარმოუდგენია მას ის
3.	აღორ-ძინება	აღორძინებს ის მას	აღორძინებდა ის მას ააღორძინა მან ის	ააღორ-ძინებს ის მას	უნდა ააღორძინოს მან ის	აუღორძინებია მას ის
4.	გამოყე-ნება	იყენებს ის მას	იყენებდა ის მას გამოიყენა მან ის	გამოი-ყენებს ის მას	უნდა გამოიყენოს მან ის	გამოუყენებია მას ის
5.	მიმდი-ნარეობა	მიმდინა-რეობს ის	მიმდინარეობდა ის	-	-	-

თავი VI

ახალი სიტყვები:	
ვინ? მნახველი მომხმარებელი	**როგორი?** მიმდინარე გამხმარი ფოთლოვანი წიწვოვანი გათვლილი ხელოვნური გზისპირა დეკორატიული ფერადი
რა? ძირი ნერგი რეკომენდაცია შემოგარენი ჭადარი სკვერი ბორდიური საფარი პავილიონი ბოძი ფილა შემოსავალი ვიზიტორი ტენდერი კვება საფეხური მოაჯირი მოსწორება მომსახურება	**როგორ?** დაწვრილებით
ზმნები: ჭრის/იჭრება ამწვანებს/მწვანდება რგავს/ირგვება აკეთებს/კეთდება აახლებს/ახლდება ცვლის/იცვლება დგამს/იდგმება აწყობს/ეწყობა აცხადებს/ცხადდება ახერხებს/ხერხდება ითვალისწინებს/ითვალისწინება	

ფრაზები:

- არა მარტო, არამედ...
- იქნებ გავაკეთოთ
- შეიძლება, გავაკეთოთ
- მოდი, გავაკეთოთ

პასიური	საწყისი (რა?)	ახლან-დელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრე+ბოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
		... ის	...ის	...ის	უნდა ... ის	ჯერ არ... ის თურმე... ის
1.	მოჭრა	იჭრება ის	იჭრებოდა ის მოიჭრა ის	მოიჭრება ის	უნდა მოიჭრას ის	მოჭრილა ის
2.	გამწვანება	მწვანდება ის	მწვანდებოდა ის გამწვანდა ის	გამწვანდება ის	უნდა გამწვანდეს ის	გამწვანებულა ის
3.	დარგვა	ირგვება ის	ირგვებოდა ის დაირგო ის	დაირგვება ის	უნდა დაირგოს ის	დარგულა ის
4.	შე/ გაკეთება	კეთდება ის	კეთდებოდა ის შე/გაკეთდა ის	შე/გაკეთდება ის	უნდა შე/გაკეთდეს ის	შე/ გაკეთებულა ის
5.	განახლება	ახლდება ის	ახლდებოდა ის განახლდა ის	განახლდება ის	უნდა განახლდეს ის	განახლებულა ის
6.	შეცვლა	იცვლება ის	იცვლებოდა ის შეიცვალა ის	შეიცვლება ის	უნდა შეიცვალოს ის	შეცვლილა ის
7.	დადგმა	იდგმება ის	იდგმებოდა ის დაიდგა ის	დაიდგმება ის	უნდა დაიდგას ის	დადგმულა ის
8.	მოწყობა	ეწყობა ის	ეწყობოდა ის მოეწყო ის	მოეწყობა ის	უნდა მოეწყოს ის	მოწყობილა ის
9.	გამოც- ხადება	ცხადდება ის	ცხადდებოდა ის გამოცხადდა ის	გამოც- ხადდება ის	უნდა გამოცხადდეს ის	გამოცხა- დებულა ის
10.	მოხერხება	ხერხდება ის	ხერხდებოდა ის მოხერხდა ის	მოხერხდება ის	უნდა მოხერხდეს ის	მოხერხებულა ის
11.	გათვალის- წინება	ითვალის- წინება ის	ითვალის- წინებოდა ის გათვალის- წინდა ის	გათვალის- წინდება ის	უნდა გათვალის- წინდეს ის	გათვალის- წინებულა ის

აქტიური	საწყისი (რა?)	ახლა-ნდელი ახლა (რას შვრება?)	წარსული გუშინ (რას შვრებოდა?) გუშინ უკვე (რა ქნა?)	მომავალი ხვალ (რას იზამს?)	მომავალი + უნდა (რა უნდა ქნას?)	ჯერ არ/თურმე (რა უქნია?)
		... ის მას	...ის მას / ...მან ის	...ის მას	უნდა ... მან ის	ჯერ არ... მას ის თურმე... მას ის
1.	მოჭრა	ჭრის ის მას	ჭრიდა ის მას მოჭრა მან ის	მოჭრის ის მას	უნდა მოჭრას მან ის	მოუჭრია მას ის
2.	გამწვანება	ამწვანებს ის მას	ამწვანებდა ის მას გაამწვანა მან ის	გაამწვანებს ის მას	უნდა გაამწვანოს მან ის	გაუმწვანებია მას ის
3.	დარგვა	რგავს ის მას	რგავდა ის მას დარგო მან ის	დარგავს ის მას	უნდა დარგოს მან ის	დაურგამს მას ის
4.	შე/ გაკეთება	აკეთებს ის მას	აკეთებდა ის მას შე/გააკეთა მან ის	შე/გააკეთებს ის მას	უნდა შე/გააკეთოს მან ის	შე/გაუკეთებია მას ის
5.	განახლება	აახლებს ის მას	აახლებდა ის მას განაახლა მან ის	განაახლებს ის მას	უნდა განაახლოს მან ის	განუახლებია მას ის
6.	შეცვლა	ცვლის ის მას	ცვლიდა ის მას შეცვალა მან ის	შეცვლის ის მას	უნდა შეცვალოს მან ის	შეუცვლია მას ის
7.	დადგმა	დგამს ის მას	დგამდა ის მას დადგა მან ის	დადგამს ის მას	უნდა დადგას მან ის	დაუდგამს მას ის
8.	მოწყობა	აწყობს ის მას	აწყობდა ის მას მოაწყო მან ის	მოაწყობს ის მას	უნდა მოაწყოს მან ის	მოუწყვია მას ის
9.	გამოც- ხადება	აცხადებს ის მას	აცხადებდა ის მას გამოაცხადა მან ის	გამოაც- ხადებს ის მას	უნდა გამოაცხადოს მან ის	გამოუცხადებია მას ის
10.	მოხერხება	ახერხებს ის მას	ახერხებდა ის მას მოახერხა მან ის	მოახერხებს ის მას	უნდა მოახერხოს მან ის	მოუხერხებია მას ის
11.	გათვალის- წინება	ითვალის- წინებს ის მას	ითვალის- წინებდა ის მას გაითვალისწინა მან ის	გაითვალის- წინებს ის მას	უნდა გაითვალის- წინოს მან ის	გაუთვალის- წინებია მას ის

გრამატიკა :

I თავი გზების მშენებლობა, გაყვანა, შეკეთება

გრამატიკა

მომავალი დრო

პირობითი წინადადება: კავშირი - **თუ**

წარსული დროის მიმღეობა: სუფიქსი - **ულ**

II თავი სკოლის ინფრასტრუქტურა

გრამატიკა

I თურმეობითი: **ჯერ არ გამიკეთებია**

კავშირი: **ანუ**

კონსტრუქცია: **მინდა შენობის შესყიდვა**

თანდებული: **მიმართ**

სხვათა სიტყვის ნაწილაკი: **-ო**

კონსტრუქცია: **უნდა გავაკეთო**

III თავი საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურა

გრამატიკა

მომავალი დრო

I თურმეობითი: **თურმე გამიკეთებია**

თანდებულები: **მიხედვით, მიერ**

კონსტრუქცია: **მინდა გავაკეთო; უნდა გავაკეთო, შეიძლება გავაკეთო**

უარყოფითი მიმღეობა: **გაუკეთებელი**

IV თავი გარემო და ჯანმრთელობა

გრამატიკა

მომავალი დრო: **ვნებითი გვარი**

მომავალი დროის მიმღეობა: **გასაკეთებელი**

კავშირები: **თან...თან...**

თანდებულები: **გარშემო, ირგვლივ**

ჩართულის მნიშვნელობით: **მართლაც, ამრიგად**

V თავი წყლის რესურსები

გრამატიკა

I თურმეობითი: **ვნებითი გვარი**

თანდებულები: **მაგივრად, ნაცვლად**

სხვათა სიტყვის ნაწილაკები: **–მეთქი, –თქო**

კონსტრუქცია: **მოდი გავაკეთოთ**

VI თავი გამწვანებული ქალაქი

გრამატიკა

I თურმეობითი

მოქმედებების განცალკევება - კავშირები: **არა მარტო ეს, არამედ...**

კავშირი: **რომელთა**

კონსტრუქცია: **იქნებ გავაკეთოთ**

შედგენილი შემასმენელი: **გარემონტებულია**

9 789941 276156